ლელო

გამოცემის 75-ე წელიწადი

№ 087 (12766) 15 აპრილი ოთხშაბათი 2009 ფასი 50 თეთრი



დამაინტრიგებელი ვახშამი

## ლიპი ისევ იუვეში?

» 7

# ვიტ ჯორჯიას თასი არ უნდა

## დინამო კი თითქმის ფინალშია



» 2

გუშინ, ვაკეში. ლოკომოტივი-დინამო 0:2

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო



## ქეცბაია შირერმა მიიწვია

თემურმა ანორთოსისი უკვე დატოვა » 3



## რატომ დუმს ჩივაძე?

ჩვენი Famous » 4



## სკიბას ძღვენი რეალს

ლეგიონი » 12

# გენიალური შოუ



## ჩელსიმ ბეწვის ხიდზე გაიარა

## 4:4

» 15

პირველი ნახევარფინალი:
ჩელსი vs ბარსელონა



## ბაიერნმა კარიც ვერ გაიჯახუნა

# დავით ყიფიანის სახელობის თასი

## ნახევარფინალი. პირველი მატჩები

# სერიოზული ჰანდიკაპი

**14.04. თბილისი. მ. მესხი. 300 მაყურებელი**

**ლოკომოტივი-დინამო**

**0:2**

**საპასუხო მატჩი 29 აპრილს**

0:1 მერებაშვილი (73-პენ), 0:2 აკირემი (85. კოშკაძის პასით)

ლოკომოტივი: გ. ლომაია - ფოფხაძე, გუშარაშვილი, მ. ლომიძე, ელიავა - დიაკვნიშვილი - კახელიშვილი, მახარაძე, ჩირიკაშვილი (60. შ. კვანტალიანი), სარალიძე (46. გილაური) - მოდებაძე (69. დ. ჩაგელიშვილი).

სათადარიგოები: ბელელური, კაიშაური, წულაძე, ბებუა

დინამო: ოვონო - თომაშვილი, გ. კაშია, ნერგაძე, ხმალაძე - ტომიჩი (59. შ. კაშია), ნემსაძე, დილმელაშვილი, კოშკაძე (87. სპასოევიჩი) - გ. მერებაშვილი, ჯიუსი (85. აკირემი).

სათადარიგოები: ლორია, კაკუბავა, გველესიანი, ლომია

გაფრთხილება: კახელიშვილი (43), დილმელაშვილი (75), კვანტალიანი (64)

არბიტრი: ლ. კვარაცხელია

„დინამო" წარმატებულ სვლას განაგრძობს - ჩემპიონატში ორ ძლიერ მეტოქესთან მოგებას ახლა უკვე სათასო შეხვედრაში გამარჯვება მოჰყვა. რა თქმა უნდა, წინ განმეორებითი შეხვედრაა და თასის სპეციფიკაც უნდა გავითვალისწინოთ, მაგრამ, არა გვგონია, რომ „დინამომ" ორბურთიანი უპირატესობა გაფლანგოს. მოკლედ, **კახა კაჭარავას** ხელმძღვანელობით ჩვენ ყველაზე ტიტულოვან გუნდს „დუბლის" გაკეთების მშვენიერი შანსიც ეძლევა. თანაც, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ „დინამოს" ფეხბურთელთა აბსოლუტური უმრავლესობა ამჟამად ჩინებულ ფორმაში იმყოფება, მაშინ მოვლენების ასეთი განვითარება სავსებით რეალურად გვეჩვენება.

ახლა კი უშუალოდ გუშინდელ შეხვედრაზეც, რომელიც თასისთვის დამახასიათებელი არაერთი საინტერესო ეპიზოდით დაგვამახსოვრდა. კაჭარავას ექსპერიმენტები არ ჩაუტარებია და ძირითადში ზუსტად ის 11 ფეხბურთელი დააყენა, სამი დღის წინ „ზესტაფონში" შთამბეჭდავი თამაში რომ უჩვენა. ასევე უძლიერესი და ამ მომენტისათვის, ფაქტობრივად, ოპტიმალური შემადგენლობით წარდგა „ლოკომოტივიც" და სტადიონზე შეკრებილი მცირერიცხოვანი გულშემატკივარი საინტერესო პაექრობის მოლოდინში იყო.

„ლოკომოტივმა" ჩემპიონატი, ფაქტობრივად, დაასრულა და არანაირი მოტივაცია აღარ დარჩა. აქედან გამომდინარე, ალბათ, ბევრს ეგონა, რომ ახალგაზრდა მწვრთნელების - **გიორგი კიკნაძისა** და **ზაზა ზამთარაძის** ასევე ახალგაზრდული გუნდი სათასო მატჩს აქტიურად ჩაატარებდა და ფავორიტ მეტოქეს არ შეუშინდებოდა. ბოლოს და ბოლოს, ახლახან არ იყო, ჩემპიონატში რომ მეტად საჭირო ორი ქულა დააკარგვინა იმავე მეტოქეს? სამწუხაროდ, გუშინ მასპინძლები, ცოტა არ იყოს, შებორკილად გამოიყურებოდნენ. თითქოს, არც სჯეროდათ, რომ „დინამოს" დამარცხება შესაძლებელი იყო - აბა, სხვა რას უნდა მივაწეროთ ის ფაქტი, რომ „ლოკომოტივის" ფეხბურთელებმა სტუმართა კარში, მეტ-ნაკლებად სახიფათო მომენტი მხოლოდ 45-ე (!) წუთზე შექმნეს: **ირაკლი ჩირიკაშვილის** კუთხურის მერე **მამუკა ლომიძე** თავით გზავნიდა ბურთს, მაგრამ დარტყმა არაზუსტი გამოდგა. ყოვლად უხეირო, და უფრო მეტიც, სამარცხვინო ხარისხის მინდვრის საფარზე ტექნიკური ფეხბურთის ჩვენება ფანტაზიის სფეროს რომ მიეკუთვნება, უკვე დიდი ხანია დავრწმუნდით. ხანდახან ესეც იყო მიზეზი, რომ „დინამო" დამაგვირგვინებელ ფაზაში სცოდავდა, ხან სტუმართა ზოგიერთი ფეხბურთელი ზედმეტ ინდივიდუალიზმს იჩენდა და ამიტომაც დამთავრდა პირველი ტაიმი უგოლოდ. ისე, სტუმრებს, ოთხი სახიფათო მომენტი მაინც ჰქონდათ: **მერებაშვილი-ჯიუსის** ეფექტური კომბინაციის მერე **ალექსანდრე კოშკაძე** ხელსაყრელ პოზიციაში აღმოჩნდა, მაგრამ ბურთი მასპინძელთა კარს მცირე მანძილით ასცდა. ასევე ცოტა დააკლდა მერებაშვილსაც, ვინც **ტომიჩის** აქტიურობის მერე ურტყამდა; სხვათა შორის, ტაიმის ბოლოს მერებაშვილსა და ჯიუსს კიდევ მშვენიერი მომენტი ჰქონდათ, მაგრამ „დინამოს" ორივე ფორვარდმა ინდივიდუალურად მოინდომა ფონს გასვლა. აი, ისეთივე სიტუაცია იყო, **კოშკაძეს** რომ შეექმნა - „დინამოს" მარცხენაფლანგელი აშკარად ჩინებულ ფორმაშია, მაგრამ იმ ეპიზოდში, ალბათ, ცოტა ზედმეტი მოინდომა და ხელსაყრელი მომენტი გააცუდა.



მერებაშვილმა ანგარიში პენალტით გახსნა

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

მეორე ტაიმის საწყისი წუთები თანაბარ ბრძოლაში წარიმართა, თუმცა მერე „დინამომ" ტემპს მოუმატა და **გიორგი ლომაიას** კართან ხიფათიც რამდენჯერმე შეიქმნა. მერებაშვილმა ჩინებულად შეასრულა საჯარიმო, მაგრამ ბურთი „ლოკომოტივის" კარის ხარიხას მოხვდა, ერთ წუთში კი ჯიუსი აღმოჩნდა ხელსაყრელ სიტუაციაში, მაგრამ „დინამოს" კამერუნელმა ლეგიონერმა ზედიზედ მესამე მატჩში გოლის გატანა ვერ მოახერხა. ამ დროის განმავლობაში მასპინძლებმა მხოლოდ ერთხელ შეაწუხეს **დიდიე ოვონო** - „დინამოს" მეკარემ **გიორგი დიაკვნიშვილის** შორეულ საჯარიმო დარტყმას ზუსტი პოზიცია შეურჩია. და აი, დადგა მატჩის კულმინაციაც: მოედნის ცენტრიდან **დავით დილმელაშვილმა** ეფექტური პასით გიორგი მერებაშვილი, ფაქტობრივად, მეკარესთან პირისპირ დატოვა; „დინამოს" ფორვარდმა მოასწრო და ლომაიას ბურთიანად გასცდა, მაგრამ ამ უკანასკნელმა წესების დარღვევით შეაჩერა! ყველაფერი ეს მასპინძელთა საჯარიმოში მოხდა და, ერთი შეხედვით, ვერავინ უარყოფდა, რომ „ბოლო იმედის" ჯარიმა იყო. ასეთ დროს კი, როგორც წესი, პენალტიც ინიშნება და მეკარესაც აძევებენ. სწორედ ასე მოიქცა კიდეც მატჩის არბიტრი **ლევან კვარაცხელია**, ოღონდ, საინტერესოა, რომ ამ ეპიზოდამდე ორიოდე წუთით ადრე „ლოკომოტივის" მწვრთნელებმა ცვლილებების ლიმიტი ამოწურეს! მოკლედ, კარში... მოედნის მოთამაშე უნდა ჩამდგარიყო და ეს არცთუ „სასიამოვნო" მისია **კახა მახარაძეს** დაეკისრა. რაღა თქმა უნდა, ამპლუაგამოცვლილი მახარაძე უშანსოდ იყო პენალტის შესრულების დროს - მერებაშვილის დარტყმა ზუსტი აღმოჩნდა. სხვათა შორის, „ახლადგამომცხვარმა" მეკარემ ჯერ **შოთა კაშიას**, მერე კი **ვაჟა ნემსაძის** შორეული დარტყმა მოიგერია; ეგ კი არა, იმავე შოთა კაშიას სულაც ისეთი ბურთი აუღო, ბევრ „ნამდვილ" მეკარეს რომ გაუჭირდებოდა...

და მაინც, „დინამომ" მაინც შეძლო განმეორებითი მატჩის წინ სერიოზული ჰანდიკაპის შექმნა: კოშკაძის ჩაწოდებულ კუთხურს **ჯორჯ აკირემის** ზუსტი თავური დარტყმა მოჰყვა! სხვათა შორის, ეს აკირემის პირველი გოლი იყო ამ სეზონში (თანაც, მხოლოდ მეორე მატჩს ატარებდა). თუმცა, ამ შემთხვევაში მთავარი მაინც ის იყო, რომ აკირემი მოედანზე შემოვიდა .თუ არა, ბურთთან პირველივე შეხება გოლით დაასრულა!..

**გია ტუხაშვილი**

# ისინი არ არიან პიონერები...

**14.04. რუსთავი. ფოლადი. 700 მაყურებელი**

**ოლიმპი-ვიტ ჯორჯია**

**4:2**

**საპასუხო მატჩი 29 აპრილს**

0:1 მაისაშვილი (9), 1:1 მეგრელაძე (10), 2:1 ჩიკვილაძე (32), 3:1 მეგრელაძე (37), 4:1 ჩხეტიანი (57), 4:2 ყველაშვილი (61)

ოლიმპი: ალავიძე - თ. ლონლაძე, აკუასაგა, მაჭავარიანი, ჩიკვილაძე - სეთურიძე, დობროვოლსკი (60. ქუცურუა), ბაბუნაშვილი, ხუბუა - გ. ნოდ. ჭელიძე (46. ჩხეტიანი), მეგრელაძე (46. ფიფია).

სათადარიგოები: სტურუა, დეკანოსიძე, გორდეზიანი, კაკულია

ვიტ ჯორჯია: მიქაბერიძე - ხურცილავა, მგელაძე, ყველაშვილი, ადამაძე - ვასაძე, კვალინიძე (46. ვეკუა), ჯანელიძე, მაისაშვილი (29. დათუნაშვილი) - როსტიაშვილი (68. ზაქრაძე), ი. სვანიძე.

სათადარიგოები: ლურბელეიშვილი, კასრაძე

არბიტრი: გ. ვადაჭკორია

აბა, რა გითხრათ, რით გაგახაროთ, როცა განსაკუთრებული არაფერი მომხდარა - ოთხი დღის წინ ეროვნული ჩემპიონატის მატჩში „ვიტ ჯორჯიამ" რუსთავის „ოლიმპს" სტუმრად 3:1 მოუგო, თასის ნახევარფინალის პირველ შეხვედრაში კი უკვე „ოლიმპის" ჯერი იყო და გაიმარჯვა კიდეც. შენ ჩემპიონატში გამიშვი, მე თასზე გაგიშვებ - საფუძვლიანი ეჭვები გუშინდელმა მატჩმაც გაამყარა, მაგრამ წერე და იკითხე - არ არის საბუთი, რომ ასეთი გარიგება მოხდა და მორჩა, ამით დამთავრდა ეს ამბავი.

სათქმელი „ვიტ ჯორჯიასა" და „ოლიმპსაც" აქვთ. ისინი პიონერები არ არიან ამ საქმეში. წინა სეზონი გაიხსენეთ - ვინ და როგორ გაატარეს თასზე და ჩემპიონატში. წინა სეზონის გარდა, არაერთხელ მომხდარა, რომ ერთი გუნდი სათასო ბრძოლას ირჩევს, მეორე - საჩემპიონოს. „ვიტ ჯორჯიამ" გუშინ მეორე შემადგენლობა გაუყვანა „ოლიმპს". ეს იყო, ფაქტობრივად, „ვიტ ჯორჯია 2", რომელიც ეროვნული ჩემპიონატის პირველ ლიგაში გამოდის დ ალმოსავლეთ ზონაში მეორე ადგილზეა.

ცხადია, მეორე შემადგენლობის გამოყვანა ავტომატურად იმას არ ნიშნავს, რომ მატჩი გარიგებული იყო, მაგრამ ვის რაში უნდა საქართველოს თასის ასეთი გათამაშება, როცა ნახევარფინალში, ანუ ფინალის წინ, გუნდი მეორე შემადგენლობით გამოდის? არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს ტურნირი დავით ყიფიანის სახელობისაა, მაგრამ ქართულ ფეხბურთში ბოლო დროს მენტალურ მხარეს ყურადღებას არავინ აქცევს, მენტალური ასპექტები ხშირად პათეტიკაში ერევათ და მათ შორის ზღვარი ვერ გაუვლიათ.

„ვიტ ჯორჯია" არ არის პირველი, რომელმაც ასე გადაანაწილა ძალები და კიდევ ერთხელ შეუძლია იმის თქმა, რომ ამ საქმეში მართლაც არ არის პიონერი. პიონერებმა და მათმა მიმდევრებმა სიმახინჯე ტრადიციად აქციეს და განმკითხავი არავინაა. არის ლაპარაკი და საქმეც საქართველოს ჩემპიონატისა და თასის გათამაშების კომერციალიზაციაზე, სწორედ ამ მიზნით ჩამოყალიბდა პროფესიული ფეხბურთის ლიგა, სწორედ ამ მიზნით შეიქმნა მედიაპროექტი „კოლხიდა", მაგრამ რა შერჩა ხელში გულშემატკივარს? თასის ნახევარფინალი, ფინალის წინა დაპირისპირება, სადაც ერთი გუნდი მეორე შემადგენლობით გამოდის...

გამეორება ცოდნის დედას კი არა, თუთიყუშობას დაემსგავსა. ფეხბურთის ფედერაცია და პროფლიგა უწინდელი შეცდომების გამო იმკიან ასეთ სიტუაციას და ოპოზიციის შემოტევებს. კლუბები პასიურობენ, თითქოს მათი პროდუქტი არ იყოს პროფლიგაცა და ფედერაციაც, მაგრამ იქმნება შთაბეჭდილება, რომ ყველას ყველაფერი აწყობს, რომ ყველა კლუბი ეგუება ტრადიციებით გამყარებულ მანკიერებებს. კლუბებს შეუძლიათ იმის თქმა, რომ ფედერაციის პრეზიდენტს მხოლოდ ისინი არ ირჩევენ, მაგრამ პროფლიგა ხომ ისეთი ორგანიზაციაა, სადაც არც ერთი კლუბისთვის არ დაუძალებიათ შესვლა და თუ კლუბების ნება იქნება, ვითარებას იოლად და მარტივად შეცვლიან. მაგრამ კლუბებს ცვლილებები არ აწყობთ.

„ვიტ ჯორჯიას" აქვს იმის პრეტენზია, იყოს სხვაზე უკეთესი, მაგრამ ვერც ის გამოდგა დისიდენტი კლუბი - ფაქტობრივად, საერთო მარაქაში გაერია. სხვა თუ აკეთებს ასეთ რამეებს, მე რატომ არ უნდა გავაკეთო, სხვანაირად ხომ სულელის პოზიციაში აღმოვჩნდები?! - დაახლოებით ასეთი გამოდის ლოგიკა.

...რაც შეეხება უშუალოდ გუშინდელ მატჩს, არ მგონია, ექვსივე გოლის აღწერა თავნება კალამს დიდად ეხალისებოდეს. ორისთვის კი გამოვიმეტებთ საქებარ სიტყვებს - **დავით მაისაშვილმა** მეკარისთვის ძალიან უხერხული ტრაექტორიით გაგზავნა ბურთი და გოლი მართლაც ესთეტიკური გამოდგა. **გიორგი მეგრელაძემ** კი ნახევარბრუნით უთავაზა ბურთს საგოლედ და ანგარიში 3:1 გახდა...

მოსაწყენი თამაში როდი გამოვიდა, დიდი ბრძოლა ვერ ვიხილეთ, თორემ ბურთაობა და ძიგძიგი კი იყო მოედანზე. გაცუდებული საგოლე მომენტები, ორთაბრძოლები და სხვა საფეხბურთო ელემენტები...

თუ „ოლიმპი" და „ვიტ ჯორჯია" ფიქრობენ, რომ ეს ყველაფერი გულშემატკივარს მოსწონს, მათი საქმეა, ოღონდაც, ყოველივე ამასთან შეგუება ვერ უნდა იყოს კარგი საქციელი...

**დავით თავართქილაძე**

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზქვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწვრთნელი

# ქეცბაია შირერმა მიიწვია

## ანორთოსისი უკვე წარსულია. თემური ბრიტანეთისკენ იხრება


თემურ ქეცბაია

**თემურ ქეცბაია** „ანორთოსისის" მწვრთნელის პოსტიდან გადადგა. ეს გადაწყვეტილება მან კლუბის ხელმძღვანელობას სამშაბათს აცნობა. მოლაპარაკება დიდხანს გრძელდებოდა. ფამაგუსტის „ანორთოსისის" მესვეურები დიდხანს ცდილობდნენ, თემურს როგორმე გადაწყვეტილება შეეცვალა, თუმცა მათი მცდელობა უშედეგოდ დასრულდა - ქეცბაიამ მტკიცე უარი განუცხადა. ეს ამბავი სამშაბათს, კლუბის დირექტორატის სხდომაზე გაცხადდა.

ფამაგუსტელები მომხდარს ძალიან განიცდიან, რადგან „ანორთოსისის" ბოლოდროინდელი წარმატებების სულისჩამდგმელი სწორედ ქართველი სპეციალისტი იყო. თემურმა სხდომაზე განაცხადა, რომ დიდი ხნის განმავლობაში ფიქრობდა და საბოლოოდ, ამ გადაწყვეტილებამდე მივიდა. *„ასე აჯობებს „ანორთოსისისთვისაც" და პირადად ჩემთვისაც. ეს გადაწყვეტილება საბოლოოა და აზრს აღარ შევიცვლი"*, - განუცხადა ქეცბაიამ სხდომის მონაწილეებს.

„ანორთოსისის" დირექტორატმა კარგად იცის მისი ფასი, თუმცა სხვა რა გზა აქვთ - უნდა მიიღონ ეს გადადგომა, როგორც ფაქტი. აი, კლუბის განცხადებაც:

*„გამოვხატავთ დიდ გულისტკივილს მომხდარის გამო და აქვე გვსურს, თემურ ქეცბაიას მადლობა გადავუხადოთ იმ დიდი და ეფექტური სამუშაოსთვის, რაც მან „ანორთოსისში" გასწია. კლუბის არსებობის 98-წლიან ისტორიაში მიმდინარე სეზონი ყველაზე წარმატებული გამოდგა. ქართველი ჩემპიონთა ლიგაში გუნდის წარმატებული გამოსვლის მთავარი სულისჩამდგმელი იყო".*

ქეცბაიამ გადადგომა იმით დაასაბუთა, რომ „ანორთოსისმა" საერთაშორისო წარმატება საშინაო პირველობაზე ვერ განამტკიცა და ამჟამად, მესამე პოზიციაზე იმყოფება. კლუბმა ჩემპიონის ტიტული ვერ შეინარჩუნა - კვიპროსის პირველობის დასრულებამდე 3 ტურით ადრე გაირკვა, რომ ფამაგუსტელები ნიქოზიის აპოელ-ს ველარ დაეწევიან და ოქროს მედლებს მათი კონკურენტები დაისაკუთრებენ.

თუმცა ყველა ხვდება, რომ ქეცბაიას გადადგომის რეალური მიზეზი სულ სხვა რამ იყო. ვგულისხმობთ „ანორთოსისის" პრეზიდენტ **ანდრეას პანტელის** დაკავებას. კლუბის ბოსი გისოსებს მილმა თანხის გაფლანგვის გამო მოხვდა. ქეცბაია ჯერ კიდევ მაშინ ამბობდა, რომ პანტელის გამო კლუბს დატოვებდა - პრეზიდენტი ხომ მისი უმთავრესი მოკავშირე და უახლოესი მეგობარი გახლდათ.

მთავარ სათქმელსაც მივადექით - სად გააგრძელებს ქეცბაია სამწვრთნელო კარიერას? ჩვენთვის ცნობილია, რომ თემურმა იმდენი შეთავაზება მიიღო, სერიოზული დაფიქრება სჭირდება იმაზე, თუ რა არჩევანი გააკეთოს. ზოგადად, „ანორთოსისის" ან უკვე ყოფილ მწვრთნელს ინგლისის, ესპანეთისა და საბერძნეთის კლუბები იწვევენ, კონკრეტული წინადადება კი საბერძნეთის უმაღლეს დივიზიონში მოასპარეზე „პანიონიოსისგან" მიიღო. თუმცა ჩვენებური ამ ვარიანტზე თავს იკავებს. მას თავისი პირობაც აქვს - „პანიონიოსის" მომავალი წლის ბიუჯეტი უნდა გაიზარდოს და სასურველ მოთამაშეთა შეძენის მყარი გარანტია მიიღოს. მეორე ფაქტორიცაა - „პანიონიოსი" მაინცდამაინც კარგი რეპუტაციით არ სარგებლობს და ქეცბაიას ესეც აკავებს.

მეორე წინადადება კი, რაც არ უნდა უცნაურად მოგეჩვენოთ, ისევ „ნიუკასლიდან" მოდის. შეგახსენებთ, რომ „ჯორდებმა" თემური ჯერ კიდევ შარშან მიიწვიეს. ეს უკვე ის პერიოდი იყო, როცა „ანორთოსისი" ჩემპიონთა ლიგაში მოხვდა და ევროპა ახალ მწვრთნელ-ვარსკვლავზე ალაპარაკდა...

თემურმა თავი შეიკავა, რადგან „ნიუკასლის" მეპატრონეთა წინადადება უცნაურად ჟღერდა - როგორც მას გუნდის მხოლოდ 6 მატჩში გაძღოლა შესთავაზეს. ამგვარ პირობებზე მომუშავე მწვრთნელებს „მეხანძრეებს" უწოდებენ. თავმოყვარე ქეცბაიასთვის კი ეს არა მხოლოდ მიუღებელი, არამედ შეურაცხმყოფელიც აღმოჩნდა. ეს თავადაც გვითხრა - არასერიოზული წინადადება იყო და არც კი განვიხილეო. უარის ერთ-ერთი მიზეზი „ნიუკასლის" გაურკვეველი მომავალიც გახლდათ - კლუბის მესვეურებმა მაშინ აქციათა საკონტროლო პაკეტის გაყიდვა გადაწყვიტეს. საერთოდ, ქეცბაია დიდ ფულს არ ხარბდება, უბრალოდ, მას ხანგრძლივი, ხელებდაკაპიწებული მუშაობა იზიდავს და ამბიციური გუნდის ჩამოყალიბებას ესწრაფვის.

ახლახან, „ნიუკასლის" მწვრთნელად ლეგენდარული **ალან შირერი** დანიშნეს და ვიცით, რომ მან მუშაობა შესთავაზა ქეცბაიასაც, რომელთანაც მეგობრობა აკავშირებს. რამდენად მისაღები იქნება თემურისთვის შირერის ასისტენტობა, ძნელი სათქმელია, თორემ მას „ჯორდებში" მუშაობა რომ შესთავაზეს, ეს დანამდვილებით ვიცით. წინასწარი ინფორმაციით, ქეცბაია ბრიტანეთისკენ იხრება, მაგრამ „ნიუკასლსა" თუ სხვა კლუბში, ამაზე ვერაფერს მოგახსენებთ. წესით, რომელიმე სერიოზული გუნდი უნდა იყოს.

*„ფეხბურთელობის დროს, დიდ კლუბში თამაშზე ვოცნებობდი და „ნიუკასლში" გადასვლით ეს სურვილი ავიხდინე. ახლა მწვრთნელი ვარ და ჩემი მიზანი ფეხბურთელი-ქეცბაიას ამბიციებისგან არ განსხვავდება. თუ დიდი საფეხბურთო ქვეყნის გუნდში მუშაობას შემომთავაზებენ, ამაზე უარს არ ვიტყვი"*, - განაცხადა ქეცბაიამ BBC-სთან ინტერვიუში.

შეგახსენებთ, რომ ქეცაბაია „ანორთოსისში" 1992-94 და 2002-2006 წლებში თამაშობდა. 2004 წლიდან ის მოთამაშე-მწვრთნელი გახდა. 1993 და 1994 წლებში ის ზედიზედ ორჯერ კვიპროსის საუკეთესო ფეხბურთელი გახდა. მისი მწვრთნელობის დროს, „ანორთოსისმა" ორჯერ მოიპოვა კვიპროსის ჩემპიონის ტიტული და ქვეყნის საფეხბურთო გრანდიც გახდა. ამ არაოფიციალურ ტიტულს მანამდე მხოლოდ „ომონია" და აპოელ ფლობდნენ.

**მერაბ მამულაშვილი**

ინტერვიუ

გოგა გახოკიძე

# ასე საქმე არ კეთდება!

## მერე უკვირთ, საფეხბურთო ქვეყანა ვართ და ჯგუფიდან რატომ ვერ გავედითო?


გოგა გახოკიძე

**ეროვნული** ნაკრების ბოლო მატჩებისა და გუნდის მწვრთნელ ექტორ კუპერის საქმიანობის შეფასებები, საფეხბურთო ოპოზიციის მოთხოვნების მიმართ საკუთარი პოზიციის დაფიქსირება, ქართული ფეხბურთის კრიზისიდან გამოსვლის გზები... ამ და სხვა საკითხებზე საქართველოს ნაკრების ყოფილ ფეხბურთელს, ამჟამად კი საფეხბურთო აგენტ გოგა **გახოკიძეს გავესაუბრეთ...**

**- გოგა, საუბარი ეროვნული ნაკრების ბოლო მატჩების შეფასებით დავიწყოთ...**

- ორი აზრი არ არსებობს, კვიპროსსა და ჩერნოგორიასთან ნაკრებმა ცუდად ითამაშა და შესაბამისი შედეგიც მივიღეთ. იმაში ვერავინ დამაჯერებს, რომ ფეხბურთელებს მონდომება აკლიათ. თავადვე ვიყავი ეროვნული გუნდის წევრი და უნდა გითხრათ, რომ სულ სხვა შემართება და განწყობა გაქვს, როცა ნაკრების მაისურით მოედანზე სათამაშოდ გადიხარ. ვინც იმას ამბობს, რომ ნაკრების ფეხბურთელები მონდომებულები არ არიან, მას ფეხბურთი, ალბათ, არ ესმის. ვფიქრობ, წარუმატებლობის მიზეზი მაღალი კლასის მოთამაშეთა ნაკლებობაა. ეს აშკარად იგრძნობა. გვყავს კარგი ფეხბურთელები, მაგრამ შუა აზში ისეთი არავინაა, რომ თამაშის დალაგება შეძლოს, ისე, როგორც ამას თავის დროზე ქინქლაძე და ჯამარაული აკეთებდნენ. კარგი მოთამაშეა ლევან ყენია და მისი დიდი იმედიც მაქვს, მაგრამ მას ბევრად უკეთ შეუძლია თამაში, ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული ფეხბურთელი. კიდევ ერთხელ ვამბობ - ნაკრებში არ გვყავს მაღალი კლასის ფეხბურთელები. ეს ნაკლი უფრო მეტად მაშინ ჩანს, როცა ტრავმებისა თუ დისკვალიფიკაციების გამო მოთამაშეები გვაკლდებიან ხოლმე...

**- ზოგი მიიჩნევს, რომ კუპერი უნდა გადადგეს...**

- ეს არ არის გამოსავალი. კუპერი არ უნდა წავიდეს. არგენტინელი მაღალი დონის მწვრთნელია და მოდით, ვაცადოთ. ისიც ხედავს, რომ კარგი ფეხბურთელების დეფიციტია და ამიტომაც სანთლით ეძებს ტალანტებს. მარტო სამშაბათის ვარჯიშები რად ღირს... მაგრამ ისიც მესმის, რომ როცა შედეგი არ არის, მწვრთნელის შეცვლას ითხოვენ, მაგრამ კიდევ ერთხელ ვამბობ - კუპერის გადაყენება შეცდომა იქნება...

**- ფეხბურთი და სახელმწიფო. როგორ წარმოგიდგენიათ მათ შორის ურთიერთობა?**

- ფეხბურთს სჭირდება სახელმწიფო და პირიქით. მაგალითად, ხშირად გვესმის - ხელისუფლება ფეხბურთში ამდენ თანხას ხარჯავს და შედეგი არ ჩანსო. მაგრამ ეს თანხა არ არის საკმარისი, გაცილებით მეტია საჭირო, თანაც ეს თანხა მიზანმიმართულად უნდა ჩაიდოს სხვადასხვა სფეროში.

**- კონკრეტულად...**

- კონკრეტულად, ბავშვთა ფეხბურთში, ბაზებისა და მოედნების კეთილმოწყობაში, მწვრთნელთა განათლებაში... და მერწმუნეთ, ეს შედეგს აუცილებლად გამოიღებს. სწორედ ეს გზა გაიარეს ევროპის ქვეყნებმა. რუსეთი და აზერბაიჯანიც ამ გზას ადგანან...

**- რამდენ ხანში უნდა ველოდოთ შედეგს?**

- ვფიქრობ, ხუთ წელიწადზე მეტი იქნება საჭირო. ასე არ ხდება - უცხოელი მწვრთნელი ჩამოიყვანო, დიდი თანხა გადაუხადო და მერე დიდი წარსულითა თუ ტრადიციებით იტრაბახო. ასე საქმე არ კეთდება! მერე უკვირთ, საფეხბურთო ქვეყანა ვართ და ჯგუფიდან რატომ ვერ გავედითო? კიდევ ერთხელ ვამბობ - ქართულ ფეხბურთში დიდი ფული უნდა ჩაიდოს და მიზანმიმართულად დაიხარჯოს. ეს შედეგს აუცილებლად მოიტანს. გამოსავალიც სწორედ ეს არის.

**- საფეხბურთო ოპოზიციამ ფედერაციის პრეზიდენტის გადადგომაც მოითხოვა. ამაზე რა აზრისა ხართ?**

- დღეს ხშირად გვესმის, თითქოს ქართული ფეხბურთის კრიზისიდან გამოყვანა 2-3 წელიწადში შეიძლება. ღმერთმა ქნას, ასე იყოს, მაგრამ ხომ ყველამ ვიცით, რომ ეს ვერ მოხდება?! ჩემი აზრით, მთავარი საქმის კეთებაა და არა - ათასგვარი პროექტი თუ პროგრამა. ახლა ქართულ ფეხბურთს შველა სჭირდება. ოპონირება აუცილებელია, მაგრამ პირველ რიგში - საქმე! ქართული ფეხბურთის კრიზისიდან გამოსვლაში ყველამ საკუთარი წვლილი უნდა შეიტანოს - საფეხბურთო ხელისუფლებამაც და ოპოზიციამაც.

**- ვიცით, რომ ჰოლანდიაში ჩვენი ჭაბუკების მატჩს დაესწარით...**

- მართალია, გიორგი დევდარიანის გუნდმა 2:0 წააგო, მაგრამ პირადად ჩემზე მშვენიერი შთაბეჭდილება დატოვა. ისიც ხომ უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს გუნდი ერთი წლით უფროსებს ეთამაშა და თან მოგებაც შეეძლო. თუმცა არბიტრმა საიდანღაც გამოიგონა პენალტი და როგორც გავიგე, მერე ბოდიშიც მოუხდია. მეორე თამაში კი ჩვენებმა მოიგეს... სხვათა შორის, ჩვენი 17-წლამდელების მატჩები ჩემმა ნაცნობმა ჰოლანდიელმა მწვრთნელებმაც ნახეს და საქებარი სიტყვები არ დაიშურეს... წლების განმავლობაში ევროპის სხვადასხვა კლუბში ვთამაშობდი. ვხედავდი, თუ როგორ მუშაობდნენ ბავშვთა ფეხბურთში. ეს მეტად ფაქიზი და სპეციფიკური სფეროა და ასეთივე მიდგომას საჭიროებს. გიორგი დევდარიანის მუშაობასაც დავაკვირდი და აშკარაა, რომ გულით მუშაობს, კარგი ბიჭებიც ჰყავს და მჯერა, შედეგიც ექნება.

**დავით ცაგაძე**

### საქართველოს ჩემპიონატი

[illegible] ლიგა

აღმოსავლეთი

| | |
|---|---|
| ერთობა-ზოოვეტი | 1:2 |
| გარეჯი-სამგორი | [illegible] |
| ალგეთი-ჰერეთი 2 | 1:0 |
| არაგველები-ბორჯომი 2 | 3:0 |
| სპარტაკი 2-ლოკომოტივი 2 | 2:1 |
| იმედი-დუშეთი | 1:1 |
| IBSU-ნ/დინამო 2 | 5:1 |
| ამერი 2-35-ე სკოლა | 1:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლოკომოტივი 2 | 24 | 15 | 4 | 5 | 55-28 | 49 |
| 2. ამერი 2 | 24 | 15 | 3 | 6 | 47-19 | 48 |
| 3. სპარტაკი 2 | 24 | 14 | 5 | 5 | 59-28 | 47 |
| 4. დუშეთი | 24 | 14 | 4 | 6 | 46-28 | 46 |
| 5. I.B.S.U. | 24 | 14 | 2 | 8 | 54-37 | 44 |
| 6. 35 ს.ს. | 24 | 13 | 4 | 7 | 48-36 | 43 |
| 7. გარეჯი | 24 | 13 | 3 | 7 | 40-24 | 43 |
| 8. ლიახვი | 24 | 13 | 4 | 7 | 47-35 | 43 |
| 9. სამგორი | 24 | 9 | 6 | 9 | 50-39 | 33 |
| 10. იმედი | 24 | 8 | 7 | 9 | 33-36 | 31 |
| 11. ჰერეთი 2 | 24 | 9 | 3 | 12 | 42-38 | 30 |
| 12. არაგველები | 24 | 8 | 6 | 10 | 30-34 | 30 |
| 13. ალგეთი | 24 | 8 | 4 | 12 | 31-53 | 28 |
| 14. ერთობა | 24 | 7 | 2 | 15 | 29-59 | 23 |
| 15. ბორჯომი 2* | 24 | 7 | 1 | 16 | 23-55 | 22 |
| 16. ალაზანი | 24 | 6 | 3 | 15 | 19-40 | 21 |
| 17. ზოოვეტი | 24 | 5 | 5 | 14 | 27-50 | 19 |
| 18. ნ. დინამო 2 | 24 | 3 | 3 | 18 | 17-58 | 12 |

*ბორჯომი 2 მოხსნილია გათამაშებიდან*

### მეორე ლიგა

დასავლეთი

XV ტური

| | |
|---|---|
| სამტრედია 2-ადელი | 1:0 |
| მარგვეთი-სქური | 2:1 |
| ძ. ტორპედო-გურია 2 | 4:2 |
| კოლხეთი 2-ბაია 2 | 3:1 |
| მერცხალი-იმერეთი | 3:1 |
| ჭიათურა 2-მარტვილი 2 | 0:3 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მერცხალი | 17 | 13 | 4 | 0 | 34-10 | 43 |
| 3. კოლხეთი 2 | 17 | 10 | 2 | 5 | 29-17 | 32 |
| 2. ბაია 2 | 17 | 9 | 5 | 3 | 35-16 | 32 |
| 4. მარტვილი 2 | 16 | 9 | 2 | 5 | 26-18 | 29 |
| 5. სამტრედია 2 | 17 | 8 | 3 | 6 | 21-18 | 27 |
| 6. იმერეთი | 16 | 8 | 1 | 7 | 22-20 | 25 |
| 7. გურია 2 | 17 | 6 | 2 | 9 | 29-30 | 20 |
| 8. ტორპედო 2 | 16 | 6 | 2 | 8 | 25-30 | 20 |
| 9. მარგვეთი | 16 | 5 | 4 | 7 | 17-25 | 19 |
| 11. ძ.ტორპედო | 16 | 5 | 2 | 9 | 14-21 | 17 |
| 12. სქური | 17 | 5 | 1 | 11 | 19-31 | 16 |
| 10. ადელი | 17 | 4 | 4 | 9 | 20-28 | 16 |
| 13. ჭიათურა 2 | 17 | 4 | 0 | 13 | 17-43 | 12 |

### ჭაბუკთა ლიგა

1991-92 წწ. XXI ტური

| | |
|---|---|
| მესხეთი-სპარტაკი | 2:3 |
| ვიტ ჯორჯია-მგლები | 1:0 |
| დინამო-ბორჯომი | 2:0 |
| ზესტაფონი-ლოკომოტივი | 1:2 |
| ოლიმპი-სიონი | 2:3 |
| გაგრა-U 16 ნაკრები | 4:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 22 | 18 | 2 | 2 | 67-16 | 56 |
| 2. გაგრა | 22 | 16 | 1 | 5 | 71-34 | 49 |
| 3. ვიტ ჯორჯია | 22 | 13 | 2 | 7 | 31-18 | 41 |
| 4. მგლები | 21 | 12 | 2 | 7 | 46-34 | 38 |
| 5. სპარტაკი | 22 | 10 | 5 | 7 | 41-28 | 35 |
| 6. ნაკრები U16 | 20 | 11 | 1 | 8 | 56-31 | 34 |
| 7. ზესტაფონი | 21 | 10 | 3 | 8 | 44-26 | 33 |
| 8. ლოკომოტივი | 22 | 9 | 1 | 12 | 35-51 | 28 |
| 9. ბორჯომი | 20 | 6 | 3 | 11 | 27-46 | 21 |
| 10. ოლიმპი | 22 | 5 | 3 | 14 | 47-60 | 18 |
| 11. სიონი | 22 | 5 | 1 | 16 | 25-61 | 16 |
| 12. მესხეთი | 21 | 0 | 2 | 20 | 14-105 | 2 |

1993-94 წ.წ. XXI ტური

| | |
|---|---|
| მესხეთი-სპარტაკი | 0:3 |
| მგლები-ვიტ ჯორჯია | 1:2 |
| ბორჯომი-დინამო | 0:4 |
| ლოკომოტივი-ზესტაფონი | 2:0 |
| სიონი-ოლიმპი | 0:1 |
| გაგრა-ამერი | 1:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 22 | 20 | 1 | 1 | 84-4 | 61 |
| 2. ვიტ ჯორჯია | 22 | 15 | 5 | 2 | 46-18 | 50 |
| 3. ამერი | 22 | 13 | 3 | 6 | 49-29 | 42 |
| 4. ზესტაფონი | 22 | 11 | 4 | 7 | 35-27 | 37 |
| 5. ლოკომოტივი | 22 | 11 | 3 | 8 | 38-18 | 36 |
| 6. მგლები | 22 | 9 | 5 | 8 | 46-28 | 32 |
| 7. სპარტაკი | 22 | 8 | 4 | 10 | 24-29 | 28 |
| 8. გაგრა | 22 | 7 | 7 | 8 | 29-28 | 28 |
| 9. ოლიმპი | 22 | 6 | 6 | 10 | 27-37 | 24 |
| 10. ბორჯომი | 22 | 4 | 7 | 11 | 17-46 | 19 |
| 11. სიონი | 22 | 2 | 2 | 18 | 10-58 | 8 |
| 12. მესხეთი | 22 | 1 | 3 | 18 | 9-92 | 6 |

1995-96 წწ. XXI ტური

| | |
|---|---|
| მესხეთი-სპარტაკი | 0:0 |
| მგლები-ვიტ ჯორჯია | 3:0 |
| ბორჯომი-დინამო | 1:1 |
| ლოკომოტივი-ზესტაფონი | 2:0 |
| სიონი-ოლიმპი | 1:2 |
| გაგრა-ამერი | 3:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლოკომოტივი | 22 | 18 | 2 | 2 | 56-9 | 56 |
| 2. გაგრა | 22 | 15 | 3 | 4 | 44-9 | 48 |
| 3. ოლიმპი | 22 | 12 | 3 | 7 | 34-26 | 39 |
| 4. ზესტაფონი | 22 | 11 | 5 | 6 | 39-27 | 38 |
| 5. დინამო | 22 | 40 | 8 | 4 | 21-19 | 38 |
| 6. ვიტ ჯორჯია | 22 | 11 | 3 | 8 | 34-28 | 36 |
| 7. მგლები | 22 | 10 | 4 | 8 | 32-21 | 34 |
| 8. ბორჯომი | 22 | 9 | 2 | 11 | 24-22 | 29 |
| 9. ამერი | 22 | 6 | 5 | 11 | 19-31 | 23 |
| 10. სიონი | 22 | 4 | 3 | 15 | 19-47 | 15 |
| 11. სპარტაკი | 22 | 2 | 6 | 14 | 12-43 | 12 |
| 12. მესხეთი | 22 | 0 | 4 | 18 | 4-57 | 4 |

Famous



ალექსანდრე ჩივაძე

# რატომ დუმს ჩივაძე?

**როცა რალაც ხდება, ყველა ელოდება ცნობილი სახეების გამოჩენას. მათ სიტყვას სულ სხვა ფასი აქვს, მისი რაგინდარა განცხადება სხვებზე უფრო რეზონანსული იქნება. Famous - ახლა ყველა ინგლისურზე გადავიდა და როცა ცნობილი სახის სახელსა და გვარს ახსენებენ, მის წინ ამ სიტყვას აკვეხებენ. Famous ნიშნავს „ცნობილს“ და მეტს არაფერს, ცნობილი კი ბევრს ნიშნავს, განსაკუთრებით მაშინ, როცა რალაცა ხდება...**

ფეხბურთის ფედერაციას უტევენ და რიგგარეშე არჩევნების ჩატარებას მოითხოვენ. ყველაფერი შედარებითია და ამ მოთხოვნით გამოდიან ცნობილი და ნაკლებად ცნობილი ყოფილი ფეხბურთელები, ყოფილი მწვრთნელები, გულშემატკივრები... მიდის კამათი და ზენოლა, იყო მიტინგიც და საუბარიც ფედერაცია-ოპოზიციას შორის, იყო თოქშოუები, სადაც კამათზე მეტი ის იყო, ვინ ვის უფრო მარჯვედ ჩააყენებდა უხერხულ სიტუაციაში. წინა თოქშოუ კი მეტწილად იმაზე იყო, რომ - „მე ეს შენ გითხარი“ და რომ - „არა, მე ეს შენთვის არ მითქვამს“. **შოთა არველაძისა** და **ლევან ყიფიანის** ტელეშეხლაში რალაც-რალაცები კი გაირკვა, ვინძლო, ერთობ საყურადღებოც და მნიშვნელოვანიც, მაგრამ ეს ალბათ ნაკლებად აინტერესებს ქომაგს, რომელიც დაიღალა გამომსვლელთა ქვეტექსტებით, რებუსებით, დაპირისპირებითა და ქართული ფეხბურთის წარუმატებლობებით...

მაგრამ მაინც, სად არიან ჩვენი სახელოვანი ვეტერანები? რატომ უყვარს მათ უმეტესობას ჩრდილში ყოფნა, როცა რალაც ხდება? ერთი-ორი გამონაკლისის გარდა, რატომ ერიდებიან მკვეთრ განცხადებებს? რა თქმა უნდა, ყველას აქვს იმის უფლება, არ იყოს საზოგადოებრივად აქტიური, მაგრამ როცა თანამდებობა გიკავია, ვალდებულიც ხარ, რომ აქტიური იყო.

2005 წელს, როცა ფეხბურთის ფედერაციის მმართველობა შეიცვალა, მხოლოდ პრეზიდენტი არ მიუბრძანებიათ სამსახურიდან. ვიცე-პრეზიდენტის პოსტი თვით **ალექსანდრე ჩივაძესაც** კი დაათმობინეს - ასეთი იყო ხელისუფლების ნება-სურვილი. ჩივაძე კორექტული ადამიანია და ამიტომაც მოერიდა დაპირისპირებასა და ვიცე-პრეზიდენტობისთვის ბრძოლას, მას ღიად არასდროს გაუკრიტიკებია ის ხალხი, რომლებმაც ფედერაციიდან გაუშვეს, არც **ნოდარ ახალკაცი-უმცროსზე** უთქვამს ოდესმე აუგი... ჩივაძეს აწყენინეს, ყოველგვარი ეტიკეტის დაცვის გარეშე დაითხოვეს ფედერაციიდან, რადგან მაშინ ქვეყნის თუ ფედერაციის ხელისუფლება თავისებურ ეიფორიაში იყო.

**მერაბ ჟორდანიას** თუ უფროსი **ნოდარ ახალკაცის** პრეზიდენტობისას ჩივაძე მაინცდამაინც არ იყო აქტიური ვიცე-პრეზიდენტი, მაგრამ ის ხომ ყოველთვის საშა ჩივაძე იყო თავის რეგალიებითა და ქარიზმით. თუმცა უფროსი ახალკაცის გარდაცვალების შემდეგ ჩივაძის, როგორც საფეხბურთო მოხელის მნიშვნელობა უალრესად აქტუალური და მასშტაბური გახდა. უფროსი ახალკაცის მომხრეები მას წინამძღოლობას სთხოვდნენ - ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებზე ჩვენს კანდიდატად უნდა წამოგაყენოთო. თავის გუნდში მას ჟორდანიაც ექაჩებოდა. ახალკაცის მომხრეებს ჩივაძის გარეშე გამარჯვების შანსი, ფაქტობრივად, არ ჰქონდათ. ჩივაძე ყოყმანობდა. ბოლოს ის მაინც უფროსი ახალკაცის მომხრეებთან აღმოჩნდა და წააგო არჩევნები ჟორდანიასთან. თუმცა თბილისის „დინამოსა“ და საბჭოთა კავშირის ნაკრების ყოფილ კაპიტანს, საქართველოს ნაკრების ექსმთავარ მწვრთნელს ჟორდანიაც დიდ პატივს სცემდა და ფედერაციის ერთ-ერთ ვიცე-პრეზიდენტადაც მიიწვია.

ჩივაძე არასდროს ყოფილა უამბიციო. სხვანაირად, ის ორჯერ ვერ გახდებოდა საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელი და ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი, თუმცა ყოველთვის ერიდებოდა მკვეთრ განცხადებებს. ფედერაციიდან წასვლის შემდეგ ძალიან კარგი შესაძლებლობა ჰქონდა, გაეკრიტიკებინა **კლაუს ტოპმიოლერის** ნაკრები და ფეხბურთის ფედერაცია, მაგრამ ჩივაძესთვის დუმილი თითქოს რჩეული ოქრო იყო. ერთი ხანობა, მან თითქოს დააპირა კრიტიკოსის როლში შესვლა, მაგრამ...

ამ ცოტა ხნის წინათ კი ფედერაციაში სიტუაცია შეიცვლა - მოხდა საკადრო გადაადგილებები და ცვლილებები, რასაც მოჰყვა ჩივაძის დაბრუნებაც, ამჯერად - საპატიო ვიცე-პრეზიდენტად. ჰოდა, ჩივაძეც უკვე აღარ არის ნეიტრალური ფიგურა, ის ფედერაციის თანამშრომელია და ვერ იქნება განზე იმ ყველაფრისგან, რაც ფედერაციაში, მის გარშემო და საერთოდ, ქართულ ფეხბურთში ხდება. ნაკრებს ჯერ თამაში არ მოუგია, საქართველოს ჩემპიონატსა და თასის გათამაშებაში ლამისაა აქოთდეს საქმე, ფედერაციას უტევენ, ჩივაძე კი... ჩივაძე ისევ დუმს...

ძალიან საინტერესოა, რას იტყვის ჩივაძე ამ ყველაფერზე? ძალიან საინტერესოა, რატომ არის ის ჩრდილში? ის ხომ ძალიან ცნობილი კაცია? ანუ, Famous, რომლის სიტყვა წყალი და ჰაერი ვერ იქნება. არ არის გამორიცხული, ჩივაძეს საფეხბურთო ოპოზიცია თავისკენ ექაჩებოდეს და ვინძლო, ეს აბრკოლებდეს ღია საუბრებისკენ...

რას იტყვის ბატონი საშა? განა არის ვინმე, ვისაც ეს არ აინტერესებს?

**დავით თავართქილაძე**

ლეგიონი

# ქართველები ევროპისთვის იბრძვიან

ქართველთა „დიორი ეტომ“ უნგრეთის თასის ნახევარფინალის პირველი რაუნდი მოიგო. **დავით ოდიკაძისა და რატი ალექსიძის** გუნდმა დიორიში უნგრეთის ჩემპიონატის 23-გზის გამარჯვებულს და თასის 12-გზის მფლობელ ბუდაპეშტის მტკ-ს უმასპინძლა და 2:1 აჯობა. ახლა ფინალისტის ვინაობა „ნანდორის“ სტადიონზე 21 აპრილს საპასუხო შეხვედრაში გადაწყდება. მეორე ნახევარფინალურ წყვილს „შიოფოკი“ და „ჰონვედი“ შეადგენენ.

მტკ-სთან მატჩის სასტარტო შემადგენლობაში ჩვენებურთაგან მხოლოდ დავით ოდიკაძე იყო, რომელმაც შეუცვლელად ითამაშა და პირველი ტაიმის მიწურულს ყვითელი ბარათი მიიღო. ყველა გოლი სწორედ პირველ ტაიმში გავიდა, ალექსიძე კი **ბრნოვიჩის** ნაცვლად 66-ე წუთზე გამოჩნდა. მატჩის ბოლო წუთზე მას გოლის გატანაც შეეძლო. შეგახსენებთ, რომ „დიორი ეტო“ უნგრეთის თასის 4-გზის მფლობელია. ამ სეზონში კი ევროთასების საგზურის მოსაპოვებლად „ეტოს“ მხოლოდ თასის აღება უშველის.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



დავით ოდიკაძე (მარჯვნივ)

პრობლემა

# სამაჩაბლო დახმარებას ითხოვს

## ჩვენი გაჭირვება გერმანელებმა მიიტანეს გულთან და ქართველებს რა დაგვემართა?!

ფაცო ნასუაშვილი, რომელმაც ვაჟთან, ზურაბ ნასუაშვილთან ერთად, წლების განმავლობაში ცხინვალის „სპარტაკი“ ზურგით ზე ათრია, კვლავ ქართული ფეხბურთისა და მთლიანად ქვეყნის სამსახურშია. საქართველოს ბედის უკულმართობამ ქნა, რომ ცხინვალის საფეხბურთო სკოლა „სამაჩაბლო“ გორში ჩამოყალიბდა. ინიციატორი ისევ ბატონი ფაცოა. თუმცა ამ საქმეში მარტო ჭაპანის გაწევა გაუჭირდება. წესით, „სამაჩაბლოს“ სატკივარი მხოლოდ ერთი საფეხბურთო სკოლის პრობლემა არ უნდა იყოს. მოკლედ, ჩვენი რესპონდენტი „სამაჩაბლოს“ დირექტორი ფაცო ნასუაშვილია...

**- რა მიზნით ჩამოყალიბდა „სამაჩაბლო“?**

- „სამაჩაბლო“ წელს ჩამოვაყალიბე და გორის „ქართლის“ სტადიონზე ვმუშაობთ. როცა სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე, კოტეჯებში ხალხი ჩაასახლეს, სკოლის გახსნა მას შემდეგ გადავწყვიტეთ. ეს 2009 წლის დასაწყისში მოხდა. ძირითადი ნაკადი სწორედ აქედანაა. ხალხი არა მარტო სამაჩაბლოდან ჩამოასახლეს, არამედ, თბილისიდანაც. ისინი საბავშვო ბაღებში შეიყვანეს. ამას გარდა, ბავშვები ახლომდებარე სოფლებიდან - ბერბუკიდან, შავშვებიდან და ხურვალეთიდანაც კი დადიან. თავიდან ასამდე მოსწავლე გვყავდა, ახლა მათი რაოდენობა ორასამდე გაიზარდა.

**- კარგა ხანია, საქართველოში საფეხბურთო სკოლებს არ აფინანსებენ. თქვენი სკოლის განსაკუთრებული სტატუსი თუ არის გათვალისწინებული?**

- როცა ეს საქმე დავიწყეთ, ამაზე არც ვფიქრობდით. ჩვენთვის მთავარი იყო, ბავშვები უმძიმესი სტრესიდან გამოგვეყვანა. სხვათა შორის, თავიდან უმრავლესობას მძიმე ფსიქოლოგიურიც მდგომარეობა აშკარად ეტყობოდა. ბავშვებს რომ ველაპარაკებოდი, თითქოს, არ მისმენდნენ, ყველა დაფიქრებული ჩანდა. მერე და მერე, გონს მოვიდნენ და საკმაოდ ბევრი ნიჭიერი ბავშვი აღმოვაჩინეთ. სხვათა შორის, ინტერნეტში მოვიძიეთ და მსგავსი სკოლა არავის ჰქონია. სპორტულის გარდა, ამას პოლიტიკური დატვირთვაც აქვს. გარდა ქართველებისა, ჩვენთან რუსები და ოსებიც ვარჯიშობენ. უნდა ნახოთ, როგორი მეგობრობა ჩამოუყალიბდათ ერთმანეთში. ბევრს უთქვამს კიდეც - რა კარგი საქმე გააკეთეთ, სკოლას „სამაჩაბლო“ რომ დაარქვით, მშობლიური კერიის ნოსტალგიას ამით მაინც ვიქარვებთო. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, ჩვენი სკოლის მიმართ მეტი ყურადღება მართებთ.

**- ვის? ალბათ, სახელმწიფო იგულისხმეთ...**

- დიახ, წერილით მივმართე თითქმის ყველას - პრეზიდენტს, პარლამენტის თავმჯდომარეს, სპორტის დეპარტამენტს, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, განათლების სამინისტროს, ფეხბურთის ფედერაციას... რა ვიცი, ყველას... წერილები აქეთ-იქით გადააგზავნეს, მაგრამ პასუხი არავისგან მიგვიღია და ძალიან გულნატკენები ვართ. არ მგონია, საჩვენო საქმეს ვაკეთებდეთ, „სამაჩაბლოს“ არსებობა საქართველოს სჭირდება, ამ დროს კი ყურადღებას არავინ გვაქცევს.

**- სახელმწიფოს უჭირს. ალბათ, საამისო თანხა ვერ გამოიძებნა...**

- მესმის, მაგრამ აქ არ არის დიდ თანხაზე ლაპარაკი. წელიწადში სულ რაღაც 50-60 ათასი ლარი გვჭირდება, რათა ბავშვები ფორმებითა და ბურთებით მოვამარაგოთ, ტურნირებზე ვატაროთ და ასე შემდეგ. ჩემთვის არ ვითხოვ ხელფასს, მწვრთნელები ენთუზიაზმზე მუშაობენ და რომ არ გაგვექცნენ, ელემენტარული პირობები უნდა შევუქმნათ. შეიძლება, ჩემპიონატში მონაწილეობისთვის გადასახდელი საწევროსგან გაგვათავისუფლონ, მაგრამ გზის ფული და ფორმები ხომ გვჭირდება? ელემენტარულ პირობებზეა ლაპარაკი, მაგრამ ვერ გავიგე, ვის ევალება ჩვენთან ურთიერთობა. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს პასუხი უკვე ვიცი - უსახსრობის მომიზეზებით უარის თქმას აპირებენ. ამხელა კაცი ვარ და ჭკუის სწავლებით მელაპარაკებიან - სად უნდა მივიდე და ვის უნდა მივმართო. აბა, გული როგორ არ დამწყდება?! განათლების სამინისტრო მეუბნება, სპორტის სამინისტროში მიდიო, იქიდან სპორტის დეპარტამენტში მიშვებენ, მივალ დეპარტამენტში და ფეხბურთის ფედერაციისკენ მითითებენ და გრძელდება ასე, დაუსრულებლად. ნორმალური პასუხიც არ მაღირსეს. ნუთუ, საკითხის გადაწყვეტა არ შეიძლება?

**- წესით, თქვენი გუნდი ცხინვალის „სპარტაკზე“ იყოს, ასე ვთქვათ, მიბმული...**

- „სპარტაკი“ თავადაც დოტაციაზეა და საჩვენო ფული სად აქვს? დამოუკიდებელი კლუბია და მისი არსებობაც მთლიანად დიმიტრი სანაკოევის კეთილი ნების შედეგია. ისე, სანაკოევი დახმარებას შეგვპირდა. თუკი ვითარება დროულად არ გამოსწორდა, ხარჯებს ველარ გავწვდებით და მწვრთნელები გაგვექცევიან. იმის წარმოდგენაც კი მზარავს, რომ შესაძლოა, სკოლა დაიშალოს. ყველაფერი ხომ ფულს უკავშირდება. ამ გაჭირვებაში როგორია უხელფასოდ მუშაობა?! ცხინვალის „სპარტაკი“ სიმწრით მოვიტანე, ჩვენი ფეხბურთისთვის რალაცა გამიკეთებია და ყურადღება მაინც მომაქციონ, არ შეიძლება?! ამ დროს, საქმის მოგვარებას ისეთი ხალხი დაგვპირდა, არავინ რომ არ ავალდებულებდა, მაგალითად, თბილისის „დინამოს“ მმართველი დირექტორი ბუბა ტყავაძე და უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელი გია ისიანი. ისინი პრობლემის მოგვარებაში აქტიურად არიან ჩართულები - ჩვენი სკოლით გერმანიის საფეხბურთო კავშირის ხელმძღვანელობაც კი დააინტერესეს. ეს ადამიანები მიხვდნენ, რომ ქართულ საქმეს ვაკეთებთ, „სამაჩაბლოს“ სატკივარი გულთან ახლოს მიიტანეს და გვერდში დაგვიდგნენ.

**- გერმანიის საფეხბურთო კავშირი როგორ დაგეხმარებათ?**

- ეს უნდა გადაწყდეს. გია ისიანმა ჯერ ბუბა ტყავაძეს შემახვედრა, რომელმაც გულიანად მიმიღო, შემდეგ კი ისიანი საკუთარი ინიციატივით გერმანიის საფეხბურთო კავშირის ვიცე-პრეზიდენტს დაუკავშირდა. წერილი ოფიციალურად გაუგზავნეს, საკითხი მუშავდება და არ არის გამორიცხული, დახმარება გაგვიწიონ. როგორც მითხრეს, დანიის ფეხბურთის ფედერაცია ეროვნულ უმცირესობათა კლუბებს აფინანსებს. „დინამოს“ ხელმძღვანელობის შუამდგომლობის შედეგად, გერმანელთაგან დახმარების იმედიც გაგვიჩნდა. ამის შემდეგ, როგორ არ უნდა დამწყდეს გული, რომ ქართველების ნაწილი ჩვენს სატკივარს გულგრილად ეკიდება? „სამაჩაბლო“ ხომ საქართველოსთვის ჩამოვაყალიბეთ?!

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერი

## სიომინმა ასათიანი შეაქო

ოდესის „ჩერნომორეცთან" მატჩის შემდეგ კიევის „დინამოს" თავკაც იური სიომინს უკრაინელი ჟურნალისტები გაესაუბრნენ. სიომინს კონკრეტულად ჰკითხეს რამდენიმე ფეხბურთელზე და, მათ შორის, **მალხაზ ასათიანზეც.** მან ქართველი მცველი ამ სიტყვებით გამოარჩია:

*„ასათიანმა ბრწყინვალედ ითამაშა და თავის პოზიციაზე არც ერთი შეცდომა არ დაუშვია. ცენტრალურ ზონაში პასები სათანადოდ ვერ გამოუვიდა, მაგრამ ფლანგზე ჩინებულად გაისარჯა და მასთან საპრეტენზიო არაფერი მაქვს - დაცვაში საიმედოდ გადაკეტა ზონები და არც ერთი ორთაბრძოლა არ წაუგია".*

## გოგუა, ამისულაშვილი და... ქალბატონი ნონა

ნალჩიკში ვაჟთა შორის ფიდე-ს გრანპრის ტურნირი დაიწყო, სადაც ექსპერტის რანგში ლეგენდარული **ნონა გაფრინდაშვილია** მიპატიჟებული. გუშინ ქალბატონ ნონას ადგილობრივი საფეხბურთო კლუბის „სპარტაკის" ქართველი ლეგიონერები - **გოგიტა გოგუა და ალექსანდრე ამისულაშვილი,** კლუბის მესვეურებთან ერთად შეხვდნენ. გოგუამ და ამისულაშვილმა ნონა გაფრინდაშვილს თაიგული, ნალჩიკის „სპარტაკის" შარფი და ავტოგრაფებიანი ბურთი გადასცეს. ქალბატონმა ნონამ თანამემამულე ფეხბურთელებსა და ნალჩიკური კლუბის მესვეურებს მადლობა გადაუხადა და წარმატებები უსურვა.

## აშვეთიამ გაიტანა და გაატანინა

რუსეთის მეორე დივიზიონში ახალი სეზონი ჯერ არ დაწყებულა და ბარნაულის „დინამოც" მზადებას განაგრძობს. მოგეხსენებათ, ამ გუნდში ორი ქართველია - მცველი **ვალერი აბრამიძე** და თავდამსხმელი **მიხეილ აშვეთია.** ბარნაულელებმა მორიგი მატჩი ყაზანის „რუბინის" დუბლებთან" გამართეს. ამის შესახებ „დინამოს" ოფიციალური ვებგვერდი გვამცნობს. ყაზანელებს კი ამ მატჩზე ცნობა ჯერ არ გაუვრცელებიათ და, შესაბამისად, არ ვიცით, იყვნენ თუ არა „რუბინის" რეზერვისტთა შორის ქართველი ლეგიონერები.

რაც შეეხება მატჩს, შეხვედრა დაძაბული გამოდგა და ბარნაულელთა გამარჯვებით 3:2 დასრულდა. აშვეთიამ და აბრამიძემ სრულად ითამაშეს. ანგარიში მე-3 წუთზე, აშვეთიას საჯარიმო გოლით გაიხსნა. საბოლოო ანგარიში კი კისილიოვმა, ამჯერად უკვე ქართველი ფორვარდის თანაშემწეობით დააფიქსირა.

დავით ცაბაძე



მიხეილ აშვეთია

ინტერვიუ

ინტერვიუ ვალტერ და პავლე ხორგუაშვილებთან




ვალტერ ხორგუაშვილი




პავლე ხორგუაშვილი

# თავისუფლება ძნელად მისაღწევია

**ახლო წარსულის ცნობილი გორელი ფეხბურთელები, ძმები ზურაბ და ზვიად ხორგუაშვილები ქართული ფეხბურთის ქომაგს კარგად ემახსოვრება. გორის „დილას" გარდა, ზურაბს თბილისის „დინამოსა" და სარატოვის „სოკოლში" არაერთი სეზონი უთამაშია, ხოლო ზვიადი ერთხანს „კოშიცესა" და „ფერენცვაროშშიც" აგორებდა ბურთს. ფეხბურთს ბავშვობიდანვე ეზიარნენ ზვიადის შვილები, ტყუპი ძმები - ვალტერ და პავლე ხორგუაშვილები. მათ ბავშვობაშივე რამდენიმე კარგ საფეხბურთო სკოლაში ისწავლეს და შემდეგ ოთხ წელზე მეტხანს მოლდოვის „შერიფში" ირჯებოდნენ. ბოლოს თავისუფალი აგენტის სტატუსისათვის ბრძოლაში გარკვეული დროის კარგვის შემდეგ საქართველოში დაბრუნება მოუწიათ და ამჟამად დროებით ახალციხის „მესხეთში" ასპარეზობენ.**

**პავლე ხორგუაშვილი:** - ბავშვობიდან როგორც უცხოეთის, ისე წამყვან ქართულ სკოლებში ვარჯიშის საკმაოდ კარგი გამოცდილება გვაქვს მიღებული. თავდაპირველად თამაში გორში დავიწყეთ, ათი წლის ასაკში კი თბილისში, „ავაზაში" გადავედით. ოთხი წელი იქ ვიყავით და არაერთ ბავშვთა ტურნირზე ვიმარჯვეთ ამ გუნდთან ერთად. ამის შემდგომ ერთი წელიწადი მოსკოვის „ლოკომოტივის" ბავშვთა საფეხბურთო სკოლაში ვვარჯიშობდით. რკინიგზელთა გუნდში კი გვიწევდა ასპარეზობა, მაგალითად ქალაქის პირველობაზე, მაგრამ ეს ძალიან მოკლევადიანი შეჯიბრება იყო, უკეთესი პერსპექტივისთვის, ანუ რუსეთის ჩემპიონატზე სათამაშოდ მოქალაქეობის გამოცვლას გვთხოვდნენ, პროფესიონალური კონტრაქტის დადება კი, მოგეხსენებათ, 14 წლის ასაკში შეუძლებელია. მოკლედ, მოქალაქეობის შეცვლის საკითხი ჩვენ არც კი განგვიხილავს, საქართველოში დავბრუნდით და გელა გომელაურის ხელმძღვანელობით შევუდექით სწავლას. 2003 წელს უკვე „შერიფში" წავედით გასინჯვაზე, სადაც დაგვიტოვეს კიდეც და ოთხ წელზე მეტი, გასული წლის გაზაფხულამდე ამ გუნდში ვთამაშობდით.

**ვალტერ ხორგუაშვილი:** - პავლემ კარიერის მთელი მოლდოვური პერიოდი „შერიფში" გაატარა, მაგრამ მე წელიწად-ნახევარი არენდის წესით ტირასპოლის, ამავე სახელწოდების კლუბშიც ვთამაშობდი, რომელიც „შერიფის" ფარმ-კლუბად ითვლება, თუმცა ისიც ასევე უმაღლეს ლიგაშია. „ტირასპოლში" გადასვლიდან მალევე კაპიტნის სამკლაური მოვირგე. ამ გუნდის სახელით ევროთასებზე მომიწია ასპარეზობამ, ხოლო ჩემმა ძმამ გარდა ევროთასებისა, შარშან, ზამთარში „შერიფის" რიგებში დსთ-ს თასზეც ითამაშა. სხვათა შორის უნდა ალვნიშნო, რომ მიუხედავად ამპლუისა იგი ერთხელ კლუბის ბომბარდირიც გახლდათ. საერთოდ პავლე მუდამ შემტევი ნახევარმცველის ფუნქციებს ასრულებდა, ხოლო მე ჩამშლელისა და მარჯვენა მცველის ამპლუას ვითავსებდი.

**- ტირასპოლი მოლდოვის სეპარატისტული რესპუბლიკის დედაქალაქია, მისი გუნდები „შერიფი" და „ტირასპოლი" კი რატომღაც მოლდოვის ჩემპიონატში ასპარეზობენ...**

**პავლე:** - დნესტრისპირეთი პოლიტიკური თვალსაზრისით მართალაც უქმნის პრობლემას მოლდოვას, აქვს თავისი ფულის ნიშანი და ხელისუფლება, რომელიც კიშინოვს არ ემორჩილება, მაგრამ სპორტზე ეს არანაირ გავლენას არ ახდენს, პირიქით, ისინი უპრობლემოდ თამაშობენ მოლდოვის ჩემპიონატში. ტირასპოლის სტადიონზე ამ ქვეყნის ნაკრებსაც არაერთხელ ჩაუტარებია სანაკრებო შეხვედრები. გეხსომებათ, ერთხელ მოლდოვა-საქართველოს მატჩი სწორედ ტირასპოლში გაიმართა. ისიც უნდა ალვნიშნოთ, რომ ერთი მხრივ, შესაძლებელია დნესტრისპირეთის ხელისუფლება კარგ ურთიერთობაშია ე. წ. სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობებთან, მაგრამ ქართველებზე რომ იქაურ მოსახლეობას კარგი წარმოდგენა და შესანიშნავი ურთიერთობა აქვთ, საკუთარი თვალით გვაქვს ნანახი და გამოცდილი. თანაც, ვაჟა თარხნიშვილი ხომ იქ მეტად პატივცემული პიროვნებაა...

**ვალტერი:** - ვაჟა „შერიფში", ბუნებრივია, შემთხვევით არაა კაპიტანი. იგი გუნდის ერთგვარი სიმბოლოც გახლავთ. ძალიან დიდ პატივს სცემენ როგორც თანაგუნდელები, ისე კლუბის ხელმძღვანელობა. მე და პავლესთვის ის მუდამ უფროსი ძმასავით იყო. საერთოდ, „შერიფს" ბევრი უცხოელი ლეგიონერი ჰყავს და მოლდოვაში განსაკუთრებით ადაპტაციის პერიოდში ძალიან დაგვეხმარა ძმებს მოედანსა და მის მიღმა ვაჟა თარხნიშვილი.

**- კარიერის შემდეგ „შერიფის" თავკაცებს ალბათ რაიმე თანამდებობა უკვე განსაზღვრულიც აქვთ მისთვის...**

**ვალტერი:** - ადვილი შესაძლებელია. სიმართლე გითხრათ, ჩვენც ვკითხეთ ამაზე, თუმცა გვიპასუხა, რომ ვიდრე თამაშობს, მხოლოდ ფეხბურთზე ფიქრობს და კარიერის შემდგომ რა გზას აირჩევს ჯერ არ იცის. შარშან კიდევ ორწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. გუნდში ეუბნებიან, რომ მიუხედავად ასაკისა, კიდევ ძალიან სჭირდებათ, ოღონდ თვითონ ვაჟამ გაგვიმხილა, ფეხბურთს მანამდე არ შევეშვები, ვიდრე ტრიბუნები ტაშს მიკრავენო.

**- ქართველი ფეხბურთელები უცხოეთიდან სამშობლოში ძალიან იშვიათად ბრუნდებიან, თქვენი დაბრუნება რამ გამოიწვია?**

**პავლე:** - სიმართლე გითხართ, საქართველოს ჩემპიონატზე გადმორთვას არც ვგეგმავდით. უბრალოდ, „შერიფში" კონტრაქტი გვეწურებოდა და ასეთ შემთხვევაში, როგორც ხშირად ხდება, ამ კლუბის ხელმძღვანელობამაც ახალი და გრძელვადიანი კონტრაქტი შემოგვთავაზა, რაც ჩვენს ინტერესებში არ შედიოდა. როგორც იცით, მსგავს პირობებში ფეხბურთელის გამოსყიდვა გვარიანად ძვირს. ამიტომ ჩვენ განთავისუფლების ფურცლისთვის ვიბრძოდით, რადგან უკეთეს ჩემპიონატში ასპარეზობა, ერთგვარად ახალი სპორტული თავგადასავალი გვინდოდა.

**- თუმცა არცთუ საინტერესო თავგადასავალზე გადმორთვამ მოგიწიათ საქართველოს ჩემპიონატის სახით...**

**ვალტერი:** - სამწუხაროდ, განთავისუფლების ფურცლის მისაღებად კლუბის თავკაცთა მხრიდან დიდი წინააღმდეგობა შეგვხვდა. გამოსასყიდად ისინი დიდ ფულს ითხოვდნენ, საბოლოოდ შეთანხმება შედგა და ზაფხულში თავისუფალი აგენტები გავხდით, მაგრამ არათუ უცხოურ, ქართულ კლუბშიც ძლივს ჩავირიცხეთ. თანაც უფრო დიდი, ოღონდ არასაფეხბურთო, თავგადასავალი თურმე წინ გველოდა... მსოფლიოს უამრავი ტელევიზია მოიარა ვიდეოკადრებმა, სადაც გორში პირდაპირ ჩვენს სახლს ეცემა ბომბი. საბედნიეროდ, იქიდან ახალი გამოსულები ვიყავით.

**პავლე:** - ბოლოს, როგორც იქნა, „ბორჯომში" ჩავირიცხეთ. წინა წელს ზამთარში „შერიფის" შემადგენლობაში ყოფნისას კვიპროსზე გავლილი შეკრების შემდეგ, შეკრება აღარსად გაგვივლია. გორში დაბრუნებულები, თავისუფალი აგენტის სტატუსის მოლოდინში მხოლოდ უბანში, მეგობრებთან ერთად თუ ვაგორებდით ბურთს. ასეთი მომზადებით კი ძნელი იყო სადმე რიგიან გუნდში მოხვედრა. „ბორჯომში" ფაქტობრივად ცარიელ ენთუზიაზმზე მოთამაშე გუნდი შეიკრიბა, და ბევრისთვის მოულოდნელად ზამთრის შესვენების წინ ცხრილის ფსკერზე რომ არ ვყოფილვართ, მხოლოდ ფეხბურთელთა და მწვრთნელთა თავდაუზოგავი შრომის დამსახურება იყო.

**- ახალციხელთა კლუბში უკეთესი ვითარებაა?**

**ვალტერი:** - „მესხეთი" მოედანზეც უკეთესია და პირობებიც კარგი აქვს. ჩემპიონატის ბოლომდე ბატონი კობა თედიაშვილის განკარგულებაში ვიქნებით. მან ჩვენზე გარკვეული იმედები დაამყარა და აუცილებლად გავუმართლებთ. სეზონის შემდეგ კი ვნახოთ, თავისუფალი აგენტები ვართ და კლუბის მოძებნა უფრო იოლია. ამ უკანასკნელზე კი თავის მხრივ აგენტებიც მუშაობენ.

**- ბოლოს იქნებ მოლდოვისა და ჩვენი ჩემპიონატიც შეადაროთ...**

**პავლე:** - ჩვენთან უფრო ინ[illegible] ფეხბურთი მიდის. ბურთის მიღების შემდეგ პარტნიორის ძებნა გიწევს. მოლდოვაში კი, ასე ვთქვათ, „ზეპირად" თამაშობ, იცი თანაგუნდელი სად ელოდება ბურთს და პასსაც დაუყოვნებლივ აკეთებ. სხვა მხრივ აქ, საქართველოში უმთავრესი პრობლემა ფინანსებია, თორემ პერსპექტიული ფეხბურთელები, თუნდაც იმავე მოლდოვაზე, ბევრად მეტი რომ გვყავს, ეს ცალსახაა.

ვასილ ბალახაძე


ფედერიკო მაკედასგან გადამწყვეტ გასროლას ელიან

● **ჩემპიონთა ლიგა.** 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩები

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დინამოს მიერ გაქვავებულ გუნდს

### არსენალი-ვილიარეალი (1:1)

სეზონის მიწურულს „არსენალს" მეორე სუნთქვა გაეხსნა. „მეთოფეებმა" პრემიერლიგაში ზედიზედ ხუთი მატჩი მოიგეს. ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის მდევარ „ასტონ ვილას" „მეთოფეებმა" უკვე რვა ქულით გაუსწრეს. ლონდონელებს მეოთხე ადგილი და ჩემპიონთა ლიგის საგზური თითქმის განაღდებული აქვთ.

დღეს „არსენალი" ლიგის ნახევარფინალში გასასვლელად იბრძოლებს. მეოთხედფინალის პირველი მატჩი მისთვის ხელსაყრელი ანგარიშით დასრულდა. „ვილიარეალის" „ელ მადრიგალზე" **ემანუელ ადებაიორმა** ეფექტური გოლით გააყაიმა (1:1). განმეორებით შეხვედრას „ემირიტს სთედიუმი" უმასპინძლებს. „არსენალს" ახალ საშინაო არენაზე ჩემპიონთა ლიგის მატჩი არასოდეს წაუგია. „მეთოფეებს" კაპიტანი **ფრანსესკ ფაბრეგასი** გამოუჯანმრთელდათ, მაგრამ პრობლემები ამით არ ამოწურულა. ლონდონელებს დაშავებული ჰყავთ ცენტრალური მცველები **ვილიამ გალასი და იოან ჟურუ**, მარცხენა მცველი **გაელ კლიში** და მეკარე **მანუელ ალმუნია.**

„არსენალს" უგოლო ფრეც აძლევს ხელს. მაგრამ აი, რა განაცხადა გუნდის თავკაცმა **არსენ ვენგერმა**: *„ჩვენ ის გუნდი არა ვართ, რომ 0:0-ისათვის ვითამაშოთ. ეს არ გახლავთ „არსენალის" სტილი. თამაშის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე ანგარიში რომ 0:0 იყოს, ჩვენს კარში დანიშნული თითოეული ჯარიმა და კუთხური სანერვიულო გაგვიხდება. ჩემი შეგირდებისაგან კარგ თამაშს ველოდები. გუნდს ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალისგან ერთი ნაბიჯი აშორებს. ვეცდებით, შანსი ხელიდან არ გავუშვათ."*

მოსიე ვენგერმა საგანგებო კომენტარი გააკეთა ფაბრეგასთან დაკავშირებით: *„ის თამაშიდან თამაშამდე უმატებს. სეზონის დასაწყისში მომეჩვენა, რომ ფრანსესკს დასვენება არ აწყენდა. მას ხანგრძლივი შეჰბულება გამოუვიდა. სამაგიეროდ, სეზონის დასკვნით ნაწილს ძლიერად ჩაატარებს".*

საკადრო პრობლემებს ვერც „ვილიარეალის" თავკაცი **მანუელ პელეგრინი** გაექცა. მას წამყვანი ნახევარმცველები, საყრდენი **მარკოს სენა** და მარჯვენაფლანგელი **სანტი კასორლა** ვერ დაეხმარებიან. ალბათ გახსოვთ, რომ სწორედ სენამ გახსნა ანგარიში ერთი კვირის წინანდელ შეხვედრაში. აღსანიშნავია, რომ ჩემპიონთა ლიგას შემორჩენილი რვა გუნდიდან უქმეებზე მხოლოდ „ვილიარეალს" დაუცდა ფეხი. ის მოულოდნელად „მალაგასთან" დამარცხდა - 0:2.

ესპანელ გულშემატკივარს გუშინდელ დღესავით ახსოვს ამ გუნდების სამი წლის წინანდელი ნახევარფინალი. 2006 წელს ფინალისტის ვინაობა განმეორებითი მატჩის ბოლო წუთზე გაფუჭებულმა პენალტმა გადაწყვიტა. „არსენალის" მეკარე **იენს ლემანმა** „ვილიარეალის" ლიდერის **ხუან რომან რიკელმეს** დარტყმა აილო. აი, რას აცხადებს მანუელ პელეგრინი: *„ასეთი დონის მატჩებში ფეხბურთელები მოტივაციის ნაკლებობას არასოდეს უჩივიან. „მალაგასთან" მარცხს ლონდონურ მატჩთან არავითარი კავშირი არ აქვს. დღეს სასწორზე ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალის საგზური დევს".*

სავარაუდო შემადგენლობები

**არსენალი:** ფაბიანსკი, სანია, კოლო ტურე, სილვესტრი, გიბსი, დენილსონი, სონგი, ფაბრეგასი, ვან პერსი, ნასრი, ადებაიორი.

**ვილიარეალი:** დიეგო ლოპესი, ანხელ ლოპესი, გოდინი, გონსალო როდრიგესი, კაპდევილა, კანი, სორიანო, ეგურენი, იბაგასა, ლორენტე, როსი.

**არბიტრი:** ვოლფგანგ შტარკი (გერმანია)

### პორტუ-მანჩესტერი (2:2)

ინგლისური კლუბები ტრადიციულად ძნელად აღწევენ წარმატებას „პორტუსთან" გასვლით შეხვედრებში. ამიტომ შეიძლება თამამად იმის თქმა, რომ „მანჩესტერ იუნაიტედს" ურთულესი გამოცდა ელის. თუმცა წელს ჩემპიონთა ლიგაში პორტუგალიის მრავალგზის ჩემპიონებმა ერთი შეხვედრა მაინც წააგეს საშინაო არენაზე. ჯგუფური ეტაპის მესამე ტურში კიევის „დინამომ" **ალექსანდრ ალიევის** ერთადერთი გოლის წყალობით მოახერხა სამი ქულის აღება. ფერგის მშვენიერი მაგალითი უდევს წინ. ინგლისური პრესა წერს, - ისე როგორც არასდროს, მთელი ინგლისი **ფედერიკო მაკედასგან** გადამწყვეტ გასროლას ელისო. გვებადება შეკითხვა, ძალიან ბევრს ხომ არ ითხოვენ ჯერ კიდევ თინეიჯერი ფეხბურთელისგან?

ყველას ესმის, რომ „პორტუ" ძალზე აგრესიული გუნდია, განსაკუთრებით საშინაო შეხვედრებში, მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ შემადგენლობას უბრუნდება **რიო ფერდინანდი**, ცენტრალური მცველი რომელზეც დიდწილად არის დამოკიდებული დაცვის გამართული თამაში. მწყობრშია მისი მეწყვილე **ნემანია ვიდიჩიც.**

*„საშინაო შეხვედრაში გაშვებულ გოლებში მხოლოდ თავად ვართ დამნაშავენი. ეს ნათლად მეტყველებს, რომ ჩვენი დაცვა ძალზე მყიფეა,"* - განაცხადა სერ **ალექს ფერგიუსონმა.** შოტლანდიელი შეშფოთებულია უკანა ხაზის სუსტი ასპარეზობით, რადგან „ინტერთან" თამაშის შემდეგ მის გუნდში რაღაც აირია, რომლის დალაგება დღემდე ვერ ხერხდება. „მანიუს" უბრუნდება **დიმიტარ ბერბატოვი**, ფეხბურთელი, ვინც მიმდინარე სეზონში **რონალდოს** შემდეგ გუნდის საუკეთესო ბომბარდირად მიიჩნევა.

რაც შეეხება „პორტუს" ბანაკს, **ჟოზუალდე ფერეირას** განცხადებით, მისი გუნდის მიერ „ოლდ ტრეფორდზე" ნაჩვენები თამაშის ხარისხი უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ორი გატანილი ბურთი. აი, რას აცხადებს ის: *„შემიძლია ხაზი გავუსვა იმ ფაქტორებს, რაც ჩემში ოპტიმიზმს აორმაგებს. დიახ, იყო მომენტები, როცა მანჩესტერში მასპინძელს ყველაფერში ვჯობდით". „2:2 დადებითი შედეგია, მაგრამ წინ კიდევ 90 უმძიმესი წუთი გვაქვს. თუკი ნახევარფინალში გასვლა გვინდა, ისეთივე გუნდური თამაში უნდა ვაჩვენოთ, როგორც პირველ შეხვედრაში,"* - განაცხადა კაპიტანმა **ლუჩო გონსალესმა.**

სავარაუდო შემადგენლობები

**პორტუ:** ელტონი, ბრუნო ალვეში, როლანდო, საპუნარუ, სისოხო, ლუჩო გონსალესი, მეირელეში, ფერნანდო, ლისანდრო ლოპესი, კრისტიან როდრიგესი, ჰალკი.

**მანჩესტერი:** ვან დერ სარი, ოში, ფერდინანდი, ვიდიჩი, ევრა, ფლეტჩერი, ქერიკი, სქოულზი, რონალდო, რუნი, ბერბატოვი.

**არბიტრი:** მასიმო ბუსაკა (შვეიცარია)

● არსენალი

# ვან პერსი რჩება, ფაბრეგასიც

„არსენალს" ჰაერივით სჭირდება წამყვან ფეხბურთელებთან ახალი კონტრაქტების გაფორმება. ლონდონში ამ მიზნით ყველაფერს აკეთებენ, მაგრამ საქმე ის არის, რომ გუნდში ჯერ კიდევ არის რამდენიმე ლიდერი, რომელსაც ახალ შეთავაზებაზე ხელი არ მოუწერია. ლოგიკურია, რადგან ისინი **არსენ ვენგერის** მომავლის გარკვევას ელიან. აქამდე ასე ხდებოდა, ვენგერს კონტრაქტის ამოწურვამდე ერთი წლით ადრე სთავაზობდნენ ახალ, გაუმჯობესებულ პირობებს, ისიც დიდი ფიქრის გარეშე აწერდა ხელს. დღეს მოქმედი კონტრაქტი 2011 წლამდეა გაფორმებული. მაშ ასე, იმისთვის, რომ ლიდერების სავარაუდო ტრანსფერებზე ლაპარაკი შეწყდეს, საჭიროა, ვენგერმა ტრადიცია დაარღვიოს და ახალი კონტრაქტი ორი წლით ადრე გააფორმოს. კლუბის მმართველთა საბჭოში არ სურთ, მაინცდამაინც ბოლო წუთს უცადონ. მით უფრო, რომ ვენგერის სამსახურით დაინტერესება „ბაიერნმა" გამოთქვა. როგორც კულუარებში წერენ, გერმანელები მწვრთნელს მეგაკონტრაქტსა და სოლიდურ სატრანსფერო ბიუჯეტს სთავაზობენ. ეს ვარიანტი მაინც ნაკლებად მოსალოდნელია. ყველამ იცის, რომ ფრანგი სიტყვის კაცია, მას კი პირობა აქვს დადებული, რომ კონტრაქტის ბოლომდე ლონდონიდან აბარგებაზე არც კი იფიქრებს. გარდა ვენგერის ახალი ხელშეკრულებისა, არის ასევე ერთი ფაქტორი, რომლის შესახებაც ნაკლებს ლაპარაკობენ, მაგრამ არანაკლებ აღელვებს „არსენალის" ყველა გულშემატკივარს. ესაა რბოლა კლუბის ხელში ჩასაგდებად, რომელშიც გავლენიანი ბიზნესმენები **ალიშერ უსმანოვი** და **სტენ კროენკე** არიან ჩაბმულნი. ბუნებრივია, დირექტორთა საბჭოს არ შეუძლია მოვლენების წინასწარ განჭვრეტა, შესაბამისად, იქამდე, ვიდრე ვითარება კიდევ უფრო მეტად დაიძაბება, მათ სამომავლო ბაზისის გამყარება სურთ.

საქმე ყინულოვანი წერტილიდან უკვე დაიძრა. **რობინ ვან პერსისა** და **თეო უოლკოტს** ახალი კონტრაქტები უკვე შესთავაზეს, მაგრამ ჯერჯერობით თვალში საცემი პროგრესი არ შეინიშნება. არადა, ორივე ფეხბურთელს „არსენალთან" ხელშეკრულება 2010 წელს უსრულდება. მათი სამსახურით არაერთი სუპერკლუბია დაინტერესებული. თავდამსხმელების დაკარგვა ლონდონელებს ძალზე ძვირი დაუჯდებათ. რაც შეეხება **ფრანსესკ ფაბრეგასს**, კაპიტნის კონტრაქტს 2014 წელს გასდის ვადა, თუმცა მისი მომავალი მუდამ იდგება ეჭვის ქვეშ თუნდაც იმიტომ, რომ მისით „ბარსელონა" და „რეალი" არიან დაინტერესებულნი. ესპანურ გრანდებს კი, როგორც წესი, ფეხბურთელების მოხიბვლა არ უჭირთ ხოლმე. სასიხარულო ერთადერთი რამ არის, თავად ფეხბურთელი „არსენალში" თამაშზე ოცნებობს, ის „ემირიტსის" დატოვებაზე ჯერჯერობით არც კი ფიქრობს, თუმცა ვინ იცის, როდემდე გაჰყვება მას ენთუზიაზმი, მით უფრო, თუკი გუნდიდან ვენგერი აიბარგება...

ამასობაში „დეილი მირორმა" თავად რობინ ვან პერსის კომენტარი გამოაქვეყნა, სადაც ჰოლანდიელი ვარსკვლავი აცხადებს, რომ ის „არსენალთან" ახალ ხელშეკრულებას ყველაზე გვიან, ზაფხულში გააფორმებს. მისთვის მთავარია, დარწმუნდეს, რომ მის გუნდს ამბიციური სამომავლო გეგმები აქვს. მისთვის შეთავაზებული ფინანსური პირობებით ფეხბურთელი კმაყოფილია. „არსენალი" მას კვირაში 80 ათას ფუნტს გადაუხდის. გთავაზობთ ფეხბურთელის კომენტარს: *„მოლაპარაკებათა პროცესი გეგმის მიხედვით და სასიამოვნო ატმოსფეროში მიმდინარეობს. მეც და კლუბსაც ერთი მიზანი გვაქვს - ტიტულების მოგება. მიზნის მისაღწევად გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმაღა დაგვრჩა. დარწმუნებული ვარ, მნიშვნელოვან როლს შევასრულებ „არსენალის" ახალ დონეზე გაყვანაში. სეზონის დასრულებამდე კიდევ ერთხელ შეხვდებით, ყველაფერს სწორედ მაშინ დაესმება წერტილი. აქვე გეტყვით, რომ რობინი „არსენალში" 2004 წლის ზაფხულიდან თამაშობს, მის ანგარიშზე პრემიერლიგაში ჩატარებულ 170 შეხვედრაში გატანილი 59 გოლია.*

მოსიე არსენმა „არსენალში" მუშაობის პირველი ცხრა წლის განმავლობაში (1996/2005), პრემიერლიგის ჩემპიონის ტიტული სამჯერ 1997/98, 2001/02, 2003/04 სეზონებში მოიგო, ოთხჯერ 1997/98, 2001/02, 2002/03, 2004/05 სეზონებში გაიმარჯვა ასოციაციის თასის გათამაშებაში, ოთხჯერ 1998, 1999, 2002, 2004 წლებში მოიგო ინგლისის სუპერთასი. 2005 წლის შემდეგ გუნდს კოლექციისთვის ერთი ტიტულიც არ მიუმატებია, რის გამოც, როგორც გულშემატკივართა, ისე კლუბის ბოსების მხრიდან, მასზე ზეწოლა იზრდება. თუმცა სალი აზრი ყოველთვის გამარჯვებული რჩება, ყველა ხვდება, რომ დღევანდელი გუნდი ძირითადად მის მხრებზე დგას და ამ შემადგენლობით შეიძლება ბევრმა მწვრთნელმა ლიგის საგზურზე ოცნებაც კი არ დააივიწყოს გულშემატკივარს. ვენგერმა ბოლო ხელშეკრულება 2007 წელს გააფორმა, თუმცა მას შემდეგ კლუბში მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა, გუნდიდან წავიდა მისი საუკეთესო მეგობარი **დევიდ დინი.** შეიძლება ვენგერის სამომავლო გეგმებზე ამანაც იქონიოს გავლენა.

**შალვა ბიბილაშვილი**


ვინ მიდის? ვენგერი?

● ამბები

## აგბონლაორი შეშფოთებულია

„ასტონ ვილას" თავდამსხმელი **გაბრიელ აგბონლაორი** შეშფოთებულია მუხლის ტრავმის გამო. შეგახსენებთ, „ევერტონთან" შეხვედრის 54-ე წუთზე **მარტინ ონილი** იძულებული გახდა, გუნდის ლიდერი შეეცვალა და მის ნაცვლად **ნათან დელფონზო** შეეშვა. არადა, გაბის თამაში ეჭქვეშ იყო, თუმცა სულ სხვა მიზეზით, ის გაცივებული გახლდათ. შეხვედრის დასრულებისთანავე ფეხბურთელს პირველადი სამედიცინო შემოწმება ჩაუტარეს. ჯერჯერობით დასკვნა არ გამოქვეყნებულა.

*„არ ვიცი, რა მოხდა, ვერაფერს გეტყვით, ერთი რამ ცხადია, მუხლი წესრიგში არ მაქვს. შეცვლაც იმიტომ მოვითხოვე, რომ ტრავმა არ გამერთულებინა".* კომენტარი გააკეთა თავად ონილმაც: *„ევერტონთან" შეხვედრის დაწყებამდე გაბრიელმა მიჯრით ორი ვარჯიში გამოტოვა, რადგან თავს შეუძლოდ გრძნობდა. შეხვედრის დაწყებამდე კი გამომიცხადა, რომ გუნდის დახმარების დიდი სურვილი ჰქონდა. მას სწორედ ასეთი მებრძოლი ხასიათის გამო ვცემ დიდ პატივს. სამწუხაროა, რომ მან ტრავმა მიიღო".*

## ოქროს ბიჭუნას ხელფასს გაუზრდიან

**ფედერიკო მაკედას** „მანიუს" შემადგენლობაში სულ რაღაც 45 წუთი აქვს ნათამაშები, მაგრამ ამის მიუხედავად, ორი ბურთი გაიტანა. თანაც მისი გოლებით გუნდმა 6 ქულა მოიპოვა. „დეილი მეილი" იუწყება, რომ „ოქროს ბიჭუნათი" ხელმძღვანელობა იმდენად აღფრთოვანდა, რომ ისინი 17 წლის ბიჭისთვის კვირაში 10 ათასი გირვანქის დანიშვნას აპირებენ. დღეს მოქმედი კონტრაქტით, ფედერიკო კვირაში სულ რაღაც 400 გირვანქას იღებს, თითოეული ჩატარებული შეხვედრისთვის კი დამატებით 2 ათას გირვანქას. ბუნებრივია, ახალი კონტრაქტიც უკვე პროფესიული იქნება. 18-წლამდელ ფეხბურთელს ამის უფლება მხოლოდ მშობლის თანხმობით აქვს. ფედერიკო და მისი აგენტი **ჯოვანი ბია** მანკუნიანელთა წინადადებას კმაყოფილნი გამოეხმაურნენ.

*„ამჟამად მოქმედი კონტრაქტით ფედერიკო „მანჩესტერთან" 2011 წლამდეა დაკავშირებული. პროფესიული ხელშეკრულების საკითხზე კი 22 აგვისტოს შემდეგ ვიმსჯელებთ. ჩემი კლიენტი ამ დღეს 18 წლისა ხდება. ვიმედოვნებთ, ხელმძღვანელობა მინიმუმ, 3-4 წლით მოისურვებს ფეხბურთელის დატოვებას. იდეალური კი, რა თქმა უნდა, 5-წლიანი კონტრაქტი იქნება. რაც შეეხება ანაზღაურებას, ამ საკითხზე ჯერ სიტყვაც კი არ დაგვიძრავს. გარწმუნებთ, განსაკუთრებული ფინანსური მოთხოვნები არ გვექნება,"* - აცხადებს ჯოვანი ბია.

გვერდი მოამზადა
**შალვა ბიბილაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინციდენტი

# მორიგი მსხვერპლი

მორიგი რომაული დერბი „ლაციოსა“ და „რომას“ შორის ინციდენტით დასრულდა. ჩვენ არ შევეხებით უშუალოდ სათამაშო პერიპეტიებს, თუმცა ყურადღებას სულ სხვა რამეზე გავამახვილებთ. მავანი ლივერპულელი **ალან ბრაუნი** სააღდგომო დღეებში იტალიის დედაქალაქს ეწვია, დაათვალიერა ვატიკანი და „სტადიო ოლიმპიკოზე“ დასასწრები ბილეთიც შეიძინა. რას იფიქრებდა, რომ განსაცდელი ელოდა. „ულტრასებმა“ იყნოსეს, რომ ის ინგლისელი იყო. შეხვედრის დასრულების შემდეგ სტადიონიდან წასვლა დააცალეს. ის იქვე მდებარე კაფეში ლუდს სვამდა, როცა ათამდე ნაძირალა დაესხა თავს. მათ ალანს საჯდომზე 10 ღრმა ჭრილობა მიაყენეს. სრულიად შემთხვევით ფაქტს ცნობილი იტალიელი ტელეწამყვანი **ანტონიო კალაბრეზი** შეესწრო, სწორედ მან ატეხა ხმაური, რის შემდეგაც თავდამსხმელები გაიქცნენ. სხვათა შორის, საჯდომზე მიყენებული ჭრილობები „რომას“ ფანების დამახასიათებელი ნიშანია. არც ერთი ჭრილობა სიცოცხლისთვის საშიში არ არის, მაგრამ როგორც ექიმები ამბობენ, ბრაუნმა ბევრი სისხლი დაკარგა, ამასთან ჭრილობები ძალზე მტკივნეულია.

„რომას“ ვაიგულშემატკივართა მხრიდან ეს არც პირველი შემთხვევაა და ვშიშობთ, არც უკანასკნელი იქნება. ბუნებრივია, ეს ფაქტი ინგლისშიც ნაკლებ ინტერესს გამოიწვევდა, რომ არა ერთი გარემოება: ჩემპიონთა ლიგის ფინალი სწორედ რომში უნდა გაიმართოს. არა გვგონია, იტალიელმა



ასეთი შეხლა-შემოხლა იტალიაში ჩვეულებრივი ამბავია

პოლიციელებმა იდეალურად შეძლონ იმ საქმისთვის თავის გართმევა, რომელსაც სერია A-ს მატჩებზე ძლივს ართმევენ თავს. ნუთუ ამაში ვინმე შეიძლება იყოს დარწმუნებული? დიდი შანსია, ფინალში რომელიმე ინგლისურმა კლუბმა გააღწიოს, არის შესაძლებლობა, ის წმინდა ინგლისურიც იყოს და სწორედ ამიტომ ტეხს განგაშს ბრიტანული პრესა. იტალიაში განსაკუთრებით ინგლისელ ფანებს ერჩიან. 2001 წელს რომში 19 ლივერპულელი ფანი დაჭრეს დანით, 2006 წელს კი „მიდლსბროს“ გულშემატკივრები გახდნენ იტალიელთა აგრესიის მსხვერპლნი.

**შალვა ბიბილაშვილი**

იუვენტუსი

# ლიპი ბრუნდება?

## დამაინტრიგებელი ვახშამი ტურინში

ტურინის „იუვენტუსის“ ბოლოდროინდელმა წარუმატებელმა ასპარეზობამ, კვლავ წამოჭრა საკითხი გუნდის მწვრთნელის პოსტიდან **კლაუდიო რანიერის** გათავისუფლების შესახებ. გუშინ, გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, რანიერი გუნდს სეზონის დასრულებისთანავე დატოვებს და პოსტს რომელიმე ახალგაზრდა მწვრთნელს გადააბარებს. რანიერის შესაძლო მემკვიდრედ ორი სპეციალისტი სახელდება, ლაპარაკია **ლუჩანო სპალეტისა და ჩირო ფერარაზე**. სპალეტის „რომამ“ მიმდინარე სეზონი ფაქტობრივად ჩააგდო და დიდია შანსი, რომ ლუჩანოს დედაქალაქური კლუბის დატოვება მოუხდეს. სწორედ, ამით ისარგებლებენ ტურინელები და მასთან ხანგრძლივვადიან ხელშეკრულებას გააფორმებენ. თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აქტიურად საუბრობენ ფერარას ვარიანტზეც. ჩირომ საფეხბურთო კარიერა სწორედ „იუვენტუსს“ მიუძღვნა და ბუნებრივია, „ვეკია სენიორას“ განწვრთნის წინააღმდეგი არ იქნება. ფერარა ახალბედა სპეციალისტია და ამ საქმეში დიდი გამოცდილება არ აქვს, მაგრამ ერთი რამით კი უთუოდ დაიკვნეხნის - 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატისას **მარჩელო ლიპის** თანაშემწე გახლდათ. მაესტროსთან მუშაობით მან უდიდესი გამოცდილება მიიღო, რასაც პრესასთან საუბარშიც ადასტურებს:

*„დიდია შანსი, რომ მომავალი სეზონიდან სერია A-ს რომელიმე გუნდს ჩავუდგე სათავეში. თუმცა, „იუვენტუსში“ ჩემ შესაძლო დანიშვნასთან დაკავშირებით, ახალს და საინტერესოს ვერაფერს გეტყვით. „იუვეს“ ჰყავს მწვრთნელი, რომლის განთავისუფლების შესახებ პირადად მე არაფერი მსმენია. იმ გუნდის თავკაცობა, რომელსაც კარიერის უძვირფასესი წლები შევალიე, ჩემთვის დიდი პატივი იქნება, მაგრამ თუ დამიჯერებთ, ახლა ამაზე ნამდვილად არ ვფიქრობ. არც ამბიცია მაქვს იმის, რომ უახლოეს მომავალში აუცილებლად ასეთ აღიარებულ გრანდს ჩავუდგე სათავეში. ლიპისთან მუშაობით დიდი გამოცდილება მივიღე და ეს ჩემთვის შეუფასებელი განძია, მაგრამ შორს ვარ იმ აზრისგან რომ ყველაფერი ვიცი და დიდ მიზნებთან შეჭიდება თავისუფლად შემიძლია“.*

სიტყვამ მოიტანა და ლიპიზეც უნდა ვთქვათ. მით უმეტეს, რომ ჟურნალისტთა ნაწილის ვარაუდით, რანიერის სწორედ მაესტრო ჩაანაცვლებს. ოღონდ, ეს ყველაფერი არა მიმდინარე სეზონის ბოლოს, არამედ 2010 წლის ზაფხულში მოხდება. „გაძეტა დელო სპორტმა“ მკითხველს ერთი საინტერესო შეხვედრის შესახებ აცნობა, რომელიც გავრცელებული ინფორმაციის სისწორეზე ეჭვებს აძლიერებს. ტურინის ერთ-ერთ რესტორანში, მარჩელო ლიპიმ და **ალესიო სეკომ** საქმიანი ვახშამი გამართეს, ეს უკანასკნელი „იუვეს“ სპორტული დირექტორია და, ალბათ, თავადაც ხვდებით, თუ საით მიდის ეს ყველაფერი. ლიპის ადრე არაერთხელ განუცხადებია, რომ თუ იტალიურ გუნდს ჩაუდგება სათავეში, ეს აუცილებლად „იუვენტუსი“ იქნება. შესაბამისად, თუ მარჩელოს 2010 წლის შემდეგ ნაკრებიდან წასვლა აქვს გადაწყვეტილი, დიდია შანსი, სწორედ „ბიანკონერის“ დაუბრუნდეს. თუმცა ლიპის და „იუვენტუსის“ ალიანსს ეჭვის თვალით უყურებს **ჯოვანი კობოლი ჯილი**, „ვეკია სენიორას“ პრეზიდენტი ტურინულ ვახშამს შემდეგ კომენტარს უკეთებს:

*„ლიპი და სეკო ერთმანეთს მართლაც შეხვდნენ, მაგრამ აქ ის ფრაზა უნდა გამოვიყენო, რასაც სხვა სიტუაციებში ამბობენ ხოლმე - ეს ის არ არის, რაც თქვენ გგონიათ. დღეს, „იუვენტუსს“ კლაუდიო რანიერი წვრთნის და მისი მუშაობით ძალიან კმაყოფილები ვართ. არავინ იცის, რა იქნება 2010 წელს, მაგრამ ფაქტია, რომ მის გათავისუფლებაზე ჯერჯერობით არავინ ფიქრობს. პირიქით, ვცდილობთ ხელი შევუწყოთ და სამუშაოდ ყველანაირი პირობა შევუქმნათ. რაც შეეხება ლიპისა და სეკოს შეხვედრას, ასეთი ვახშამი ჩვენი ინიციატივით 6 თვეში ერთხელ მოეწყობა, რადგან „სკუადრა აძურას“ დამრიგებელთან სასაუბრო ბევრია. „იუვეს“ არაერთი ფეხბურთელი თამაშობს ნაკრებში და ბუნებრივია, გვაინტერესებს, თუ რა წარმოდგენა აქვს მათზე ეროვნული გუნდის თავკაცს“.*

ერთი სიტყვით, „იუვეს“ გარშემო ვითარება არც თუ მკაფიოა. თუ როგორ განვითარდება მოვლენები, რთული სათქმელია. მართალია, „ბიანკონერის“ მესვეურები რანიერის მუშაობით კმაყოფილები არიან, მაგრამ რა იქნება სეზონის ბოლოს, კაცმა არ იცის. ბოლო დროს, „იუვემ“ პოზიციები მკვეთრად დათმო და თუ ასე გააგრძელა, სატურნირო ცხრილში მეორე ადგილის დათმობა „მილანისთვის“ მოუწევს.

**ლაშა ნიკლაური**

სერია A

# ვის დარჩება მეოთხე ადგილი?

**იტალიის ჩემპიონატის გასულ ტურში, ლიდერმა მდევართან ქულათა სხვაობა კიდევ უფრო გაზარდა და სკუდეტოსთან ერთი ფეხის ნაბიჯზე მივიდა. „ინტერის“ ჩემპიონობაში ეჭვი ცოტას თუ ეპარება, რაც სატურნირო ცხრილში არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, სავსებით ლოგიკურია...**

გასულ უქმეებზე, „ნერაძურიმ“ საკუთარ კედლებში „პალერმოსთან“ ორი ქულა დაკარგა და იყო შანსი, რომ საჩემპიონო ინტრიგის ნაპერწკალი გაჩენილიყო. მაგრამ, „იუვემ“ ეს შანსი ვერ გამოიყენა და „ჯენოასთან“ სულაც უქულოდ დარჩა. მიუხედავად ამისა, გამოჩნდნენ ისეთი „იუვენტინოები“, რომლებმაც მომავლის იმედი გამოთქვეს და განაცხადეს, რომ სკუდეტოსთვის ბრძოლა ჯერ კიდევ გრძელდება. თუმცა, უმჯობესია „იუვეს“ შევეშვათ და მთავარ სათქმელზე გადავიდეთ. მთავარი კი ჩემპიონთა ლიგის მეოთხე საგზური და ის გუნდები გახლავთ, რომლებიც ამ პოზიციისთვის იბრძვიან.

მართლაც, და, სერია A-ს მთავარი ინტრიგა დღეს სწორედ მეოთხე ადგილს უკავშირდება, ადგილს, რომელიც ჩემპიონთა ლიგის საგზურს იძლევა. ჩემპიონთა ლიგა კი უბრალოდ ტურნირი არ გახლავთ, თუნდაც ყველაზე პრესტიჟული ტურნირი ბებერ კონტინენტზე - ეს გათამაშება დიდწილად განსაზღვრავს კლუბების სამოქმედო გეგმებს და სამომავლო პოლიტიკას. ლიგის გარეშე დარჩენა ნიშნავს სერიოზულ ფინანსურ პრობლემებს, რაც გუნდებს განუზომელ მსხვერპლად უჯდებათ.

იტალიის ჩემპიონატის გასული ტური ყველაზე წარუმატებელი „რომასთვის“ გამოდგა. „მგლები“ დედაქალაქურ დერბიში „ლაციოსთან“ დამარცხდნენ და ლიგის საგზურს ფაქტობრივად გამოემშვიდობნენ. შეგახსენებთ, რომ „ჯალოროსის“ კონკურენციას „ჯენოა“ და „ფიორენტინა“ უწევენ, ამ გუნდებმა კი თავ-თავიანთი თამაშები მოიგეს და აქტივში მორიგი ქულები ჩაიწერეს. წარუმატებლობამ, „რომაში“ ისედაც დაძაბული ვითარება კიდევ უფრო გაამწვავა. გუშინდელ იტალიურ პრესაში არაერთი ისეთი ინფორმაცია გავრცელდა, რომელიც „მგლების“ გულშემატკივრებისთვის, შეშფოთების საბაბად გამოდგება. „გაძეტა დელო სპორტი“ გვაუწყებს, რომ დერბის დასრულების შემდეგ, „რომას“ გასახდელში დიდი გაწევ-გამოწევა ყოფილა. ფრანგი **ჟერემი მენეზი** თვით **ფრანჩესკო ტოტის** წაჰკიდებია და ეს ამბავი თითქმის ხელჩართულ ჩხუბამდეც მისულა. რომ არა თანაგუნდელები, ეს ასეც იქნებოდაო, წერს ჟურნალისტი და გვიმტკიცებს, რომ ფეხბურთელებს შორის სერიოზულ კონფლიქტს აქვს ადგილი. მენეზი სეზონის ბოლოს „რომას“ ალბათ დატოვებს, მაგრამ ვაი რომ, ჟერემი ერთადერთი არაა, ვისაც გუნდიდან წასვლას უწინასწარმეტყველებენ.

თუ მედიის წარმომადგენლებს ვენდობით, ფაქტობრივად გადაწყვეტილია, რომ მომავალი სეზონიდან „ჯალოროსიში“ აღარ იასპარეზებენ მეკარე **დონი** და მცველი **მექსე**. ამ ფეხბურთელებს კლუბის გამოცვლა გასულ ზაფხულსაც სურდათ, მაგრამ ჩემპიონთა ლიგაში ასპარეზობის პერსპექტივამ მაშინ თავისი გაიტანა. ახლა კი ვითარება სხვაგვარია - „რომა“ ევროპის უპრესტიჟულესი საკლუბო ტურნირის გარეშე რჩება და ეს მათი რომაული კარიერის დასასრულს მოასწავებს. ჟურნალისტები კიდევ უფრო კონკრეტდებიან და ფეხბურთელების სამომავლო გეგმებზე საუბრობენ. ფილიპ მექსე სავარაუდოდ იტალიაში დარჩება და კარიერას „მილანში“ გააგრძელებს. **კარლო ანჩელოტის** ფრანგის გადაბირება რა ხანია უნდა და ახლა ამის ჩინებული შანსი მიეცა. დარჩება თუ არა კარლეტო „მილანის“ სათავეში, ეგ ცალკე თემაა, მაგრამ ფაქტია, რომ მექსეს „როსონერიში“ გადასვლა მართლაც რეალურია. რაც შეეხება დონის, მას რამდენიმე ვარიანტი აქვს, რომელთა შორის ყველაზე რეალური მისი „მანჩესტერ სიტიში“ გადასვლაა. ინგლისური კლუბის მილიარდერ მეპატრონეებს საკმაოდ სარფიანი წინადადება ჰქონიათ გამზადებული „ჯალოროსის“ მესვეურებისთვის, რომელზეც უარის თქმა მათ ნამდვილად გაუჭირდებათ.

აბსოლუტურად განსხვავებული ვითარებაა „ჯენოაში“, გუნდში, რომელიც ყველასათვის მოულოდნელად ცხრილში მეოთხე პოზიციას იკავებს და ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრის ჩინებული შანსი აქვს. **ჯამპიერო გასპერინის** შეგირდები მთელი სეზონის განმავლობაში სტაბილურად მაღალ დონეზე ასპარეზობენ და ეს პოზიცია დამსახურებულად უკავიათ. გენუელების მთავარი კონკურენტი „ფიორენტინაა“. ფლორენციელებმა სეზონი არასტაბილურად დაიწყეს, რისი უმთავრესი მიზეზიც ჩემპიონთა ლიგაზე ასპარეზობა გახლდათ. ნათელი იყო, რომ „ვიოლას“ ძალები ორ ფრონტზე არ ჰყოფნიდა, რაც მოვლენათა შემდგომმა განვითარებამაც ცხადყო. დროთა განმავლობაში, „ფიორენტინამ“ მოუმატა და დღეს ლიგის საგზურის რეალური მაძიებელია.

იტალიელმა ჟურნალისტებმა გადახედეს ჩემპიონატის კალენდარს, დარჩენილ შეხვედრებს და შეეცადნენ გაერკვიათ, რომელ გუნდს აქვს ევროპის უპრესტიჟულეს ტურნირში მოხვედრის მეტი შანსი. წინასწარ ვთქვათ, რომ ფავორიტი „ჯენოაა“. მართალია, გუნდებს შორის ქულათა სხვაობა მხოლოდ ორია, მაგრამ კალენდრის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, გენუელები გაცილებით კომფორტულ სიტუაციაში არიან. თავად განსაჯეთ, გასპერინის გუნდს დარჩენილი შვიდი პაექრობიდან არც ერთი არ უწევს იტალიური ფეხბურთის გრანდთან, რაც დაგვეთანხმებით დიდი უპირატესობაა. მომავალ ტურში ჯენოელები „ლაციოს“ მიიღებენ, გუნდს, რომელმაც კარგა ხანია დაკარგა მრისხანე მეტოქის სტატუსი. შემდეგ კი ერთმანეთის მიყოლებით მოდიან: „ბოლონია“, „სამპდორია“, „ატალანტა“, „კიევო“, „ტორინო“ და „ლეჩე“.



ჯენოა ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრას ლამობს

გაცილებით რთული კალენდარი აქვს „ვიოლას“, რაშიც ახლავე დაგარწმუნებთ. **ჩეზარე პრანდელის** შეგირდებს, უახლოეს ორ ტურში საკმაოდ მძიმე პაექრობების გამართვა მოუწევთ - ჯერ „ფრიულიზე“ უნდა ესტუმრონ კერკეტ „უდინეზეს“, შემდეგ კი „რომას“ უნდა შეეჭიდონ, გუნდს, რომელიც მეტად მძიმე მდგომარეობაშია და უკან დასახევი გზა აღარ აქვს. სულ ბოლო ტურში კი ფლორენციელებს იტალიური ფეხბურთის აღიარებულ გრანდთან, „მილანთან“ მოუწევთ ურთიერთობის გარკვევა.

ყველაფერ ამის გათვალისწინებით, იტალიელი ჟურნალისტები ფავორიტად „ჯენოას“ ასახელებენ და მიიჩნევენ, რომ სწორედ ამ გუნდს აქვს ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვების მეტი შანსი. თუმცა ეს მხოლოდ ვარაუდი და პროგნოზია - დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას და ყველაფერს საკუთარი თვალით ვნახავთ.

**ლაშა ნიკლაური**

| დარჩენილი მატჩები | |
|---|---|
| **XXII ტური** | |
| ჯენოა-ლაციო | 18.04 |
| უდინეზე-ფიორენტინა | 19.04 |
| **XXIII ტური** | |
| ფიორენტინა-რომა | 25.04 |
| ბოლონია-ჯენოა | 26.04 |
| **XXIV ტური** | |
| ფიორენტინა-ტორინო | 03.05 |
| ჯენოა-სამპდორია | 03.05 |
| **XXV ტური** | |
| ატალანტა-ჯენოა | 10.05 |
| კატანია-ფიორენტინა | 10.05 |
| **XXVI ტური** | |
| ფიორენტინა-სამპდორია | 17.05 |
| ჯენოა-კიევო | 17.05 |
| **XXVII ტური** | |
| ტორინო-ჯენოა | 24.05 |
| ლეჩე-ფიორენტინა | 24.05 |
| **XXVIII ტური** | |
| ფიორენტინა-მილანი | 31.05 |
| ჯენოა-ლეჩე | 31.05 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოტფრიდ ლენცი წარმოგიდგენთ — უქმეებიდან უქმეებამდე

# დრიბლინგი ევროპაში

## გონს მოეგე, შვილო! დიახ, სერ!

**სერხიო რამოსს** „რეალის“ თამაშის ყურებას, „ხარისა და მოყმეს“ ბრძოლის მზერა ურჩევნია; აყლაყუდა სერბი ფორვარდი ნიკოლა ჟიგიჩი მკვდრეთით აღდგა; სერ ალექს ფერგიუსონმა კრისტიანო რონალდოს მოუწოდა, აზრზე მოდიო; რაც იტალიას მიწისძვრამ დააკლო, ამ უქმეებზე ფეხბურთელებმა აუნაზღაურეს ერთმანეთს; საფრანგეთში კი ლიონის ჰეგემონია ემხობა...

თქვენ წინაშეა „ლელოს“ დიდი დრიბლინგი ევროპაში...

### პრიმერა დივიზიონი
### ჟიგიჩი მკვდრეთით აღსდგა

არა, „სპორტინგი“ ჯერ კიდევ არ არის გასავარდნ ზონაში, მაგრამ იქ მოხვედრის ძალიან სერიოზული საფრთხე ემუქრება. გუნდი ახლა მე-16 პოზიციაზეა და 33 ქულა აქვს. გასაოცარი კი ამ შემთხვევაში ის არის, რომ გუნდს 11 მოგება და 19 მარცხი აქვს. ვინც ვერ მიხვდა, ვეტყვით, რომ სულ 30 ტურია ჩატარებული და ვინც მაინც ვერ მიხვდა, ესეც თქვენ: სპორტინგს 30 თამაშში ერთი ფრეც კი არ აქვს! ამ უქმეებზე ეს პატიოსანი გუნდი, რომელიც წელს გადმოვიდა პრიმერა დივიზიონში, „ვალენსიას“ ხვდებოდა და კინაღამ პირველი ფრე გაახერხა. რომ არა **მატა**, რომელმაც 88-ე წუთზე „ვალენსიას“ მოაგებინა (3:2), ხიხონელები პირველ ფრეს ითამაშებდნენ. ისე, შეუძლიათ, დორტმუნდის „ბორუსიას“ ჰკითხონ, როგორ უნდა ფრის მიღწევა. ამ გუნდს ბუნდესლიგაში 27 ტურის შემდეგ ყველაზე მეტი, 13 ფრე აქვს.

**ნიკოლა ჟიგიჩი** ნამდვილი ფენომენია. 2005 წელს ის ბელგრადის „ცრვენა ზვეზდადან“ სანტანდერის „რასინგში“ გადავიდა და პირველივე სეზონში მეტნაკლებად მიიქცია ყურადღება, გაიტანა რა 11 გოლი 32 შეხვედრაში. აყლაყუდა სერბი გრანდებს უყურადღებოდ არ დარჩენიათ, ჟიგიჩი „ვალენსიამ“ გადაიბირა და კანტაბრიელებს მის სანაცვლოდ 14 მილიონი ევრო გადაუხადა. აი, „ვალენსიაში“ კი ჩაიკარგა და „ღამურების“ რიგებში, პრიმერას ეგიდით ერთადერთი გოლი გაიტანა, რის შემდეგაც, წლის დასაწყისში ისევ სანტანდერში დაბრუნდა. და აი, „რასინგში“ 28 წლის ჟიგიჩი ისევ ის ჟიგიჩია, რომელიც 2007 წელს გვახსოვს: მას ისევ გააქვს გოლები. იანვრიდან, 12 მატჩში ნიკოლამ 10 გოლის გატანა მოახერხა. ამ უქმეებზე მან „ბეტისის“ დამწუხრება შეძლო.

**სერხიო რამოსს** „ვალიადოლიდთან“ მატჩში მონაწილეობის მიღების უფლება არ ჰქონდა, რადგან დისკვალიფიცირებული გახლდათ, რის გამოც, როგორც წესი, ტრიბუნაზე მოთავსდა. მაგრამ რამოსმა „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ვერ გაძლო და სტადიონი პირველი ტაიმის მიწურულს დატოვა. „რეალის“ მცველი თავისი მეგობრის, **ალეხანდრო ტალავანტეს** მხარდასაჭერად წავიდა. ეს უკანასკნელი კი ტორეროა და აღდგომის კვირას ერთბაშად ექვს ხართან ჰქონდა საქმე. 23 წლის სერხიოს ამისათვის ალბათ არ დააჯარიმებენ, რადგან მას „რეალის“ შიდაგანაწესი არ დაურღვევია. იქ კი წერია, რომ დისკვალიფიცირებული ფეხბურთელი მატჩის დროს „სანტიაგო ბერნაბეუზე“ უნდა იყოს. რამოსმა კი „რეალის“ თამაშს მთელი 40 წუთი უყურა...

### პრემიერლიგა
### ლივერპულის 20-წლიანი ტკივილი

აღდგომას „ლივერპული“ ტრაგიკული იუბილეთი შეხვდა. 1989 წლის 15 აპრილს „ენფილდზე“, „ლივერპულისა“ და „ნოტინგემ ფორესტის“ მატჩში დიდი ტრაგედია დატრიალდა, რომელსაც დეტალურად აღარ გავიხსენებთ. შეგახსენებთ მხოლოდ იმას, რომ კატასტროფას „ლივერპულის“ 96 ფანი შეეწირა - სამაშველო სამსახურმა ვერაფერი გააწყო. იმ უბედურების გამო დღემდე არავინ დასჯილა. ამიტომაც იყო, „ლივერპულის“ ფანები „ბლექბერნთან“ მატჩის დროს (4:0 „წითლების“ სასარგებლოდ) ამ სიტყვებს რომ სკანდირებდნენ: Justice for the 96. „ლივერპულის“ კაპიტან **სტივენ ჯერარდისთვის** კი ეს განსაკუთრებული დღე იყო, რადგან ტრაგედიას მისი ბიძაშვილი, 10 წლის **ჯონ-პოლიც** შეეწირა და ის იყო კატასტროფის ყველაზე ახალგაზრდა მსხვერპლი. *„დღეს მე მისთვის ვთამაშობდი, მხოლოდ და მხოლოდ ჯონ-პოლისთვის!“* - განაცხადა სტივმა მატჩის შემდეგ.

კვირას **მარკ ჰიუზმა რობინიო** სათადარიგოთა სკამზე დატოვა და „მანჩესტერ სიტის“ ფანებისგან ასეთი შეძახილების მოსმენა მოუხდა: *„ჩვენ ვითხოვთ რობინიოს!“ „შენ ფეხბურთის აზრზე არ ხარ და არ იცი, რას აკეთებ!“* უელსელმა ნამატჩევს თავი ასე იმართლა: *„დაღლილი ფეხბურთელები ყოველთვის შეცდომას უშვებენ ხოლმე. მისი გადატვირთვა არ მინდოდა,“* - ჰიუზმა, რა თქმა უნდა, უეფას თასის გასული და მომავალი დაპირისპირება იგულისხმა „ჰამბურგთან“. შეგახსენებთ, რომ „სიტიმ“ პირველი მატჩი გერმანელებთან სტუმრად 1:3 წააგო. 25 წლის ბრაზილიელი ჰიუზმა მოედანზე მე-60 წუთზე შეუშვა, მაგრამ რიბინიოს აღსანიშნავი არაფერი გაუკეთებია. „სიტიმ“ კი „ფულჰემთან“ 1:3 წააგო.

ჰიუზის დარად მოიქცა **სერ ალექს ფერგიუსონიც**, რომელმაც „პორტუსთან“ საპასუხო მატჩის წინ (2:2 „ოლდ ტრაფორდზე“) თავისი ბრილიანტი **კრისტიანო რონალდო** 69 წუთის განმავლობაში სათადარიგოთა სკამზე აყურყუტა. თუმცა ფერგის ამ გადაწყვეტილებას სხვა, უფრო ღრმა აზრი ჰქონდა. ფაქტია, რომ მატჩის შემდეგ (2:1, მადლობა ღმერთს, რომ „მანჩესტერს“ **ფედერიკო მაკედა** ჰყავს, ახალგაზრდა იტალიელმა მანკუნიანელებს ისევ მოაგებინა) სერ ალექსმა პორტუგალიელი (რომელმაც „ასტონ ვილასთან“ და „პორტუსთან“ ბურთი ორჯერ გუნდისთვის საბედისწეროდ დაკარგა) საკმაოდ გააკრიტიკა: *„ჩემთვის დაუშვებელი და მიუღებელია ის, რომ კრისტიანოს გამო გოლს ვუშვებთ,* - ყვიროდა ფერგიუსონი მატჩის შემდეგ, *- ამას არცერთ ფეხბურთელს არ ვაპატიებ და ეს კრისტიანოსაც ვუთხარი!“* ფერგიუსონმა აღნიშნა, რომ მისთვის გასაგებია რონალდოს გაბრაზება იმის გამო, რომ მას ფეხებში ძალიან ხშირად ურტყამენ, მაგრამ იქვე დაამატა, ეს მის საქციელს არ ამართლებსო. ფერგი: *„კრისტიანო ფიქრობს, რომ მსაჯები მას ჯეროვნად არ იცავენ. ზოგჯერ მართალია, ზოგჯერ კი მტყუანი! ყოველთვის ყველაფერი ისე ვერ იქნება, როგორც შენ გინდა! იმედი მაქვს, რომ ამას კარგად ხვდება.“* რონალდოს სხვა გზა არ აქვს, ფერგის უნდა დაუჯეროს...

### სერია A
### წითელი ბარათების ფესტივალი რომში

წესით, იტალიის ჩემპიონატის ეს ტური ქვეყანაში მომხდარი დიდი მიწისძვრის „გამოძახილი“ უნდა ყოფილიყო, მაგრამ როგორც ჩანს, ზოგიერთ პროტაგონისტ ფეხბურთელს უსახლკაროდ დარჩენილთა ბედი სრულიად არ აღელვებს. ფაქტი ისაა, რომ ამ ტურმა 10 გაძევებით მიმდინარე სეზონის რეკორდი დაამყარა. ყველაზე მეტად „კალიარი“, „რომა“ და „რეჯინა“ გამოირჩნენ - მათ თავიანთი თამაშები 9 კაცით დაასრულეს. ამასთან, მსაჯებმა ტრიბუნაზე გაუშვეს „მილანის“ თავკაცი **კარლო ანჩელოტი** და „რომას“ მწვრთნელი **ლუჩანო სპალეტიც**. არადა, ტურის წინ ყველა ამბობდა, ამ ტურში მაინც, მოედანზე ერთმანეთს პატივი უნდა ვცეთო. თამაშები წუთიერი დუმილით დაიწყო და იმ ერთი წუთის შემდეგ ლამაზი სიტყვები ყველას ერთდროულად დაავიწყდა...

ჩემპიონატის დასრულებამდე 7 ტურით ადრე, ჩემპიონის ვინაობა ფაქტობრივად ცნობილია. ყოველ შემთხვევაში, დაძაბულობა თითქმის მოიხსნა მას მერე, რც „ინტერმა“ ვერ მოიგო, მაგრამ „იუვენტუსმა“ სულაც წააგო. ახლა **ჟოზე მოურინიოს** გუნდი „ბებერ ქალბატონს“ უკვე 10 ქულით უსწრებს და მერე რა, რომ მომდევნო ტურში „იუვე“ „ინტერს“ მასპინძლობს და დიდი შანსია, მოუგოს კიდეც - სხვაობა მხოლოდ 7 ქულამდე შემცირდება. ეს მატჩი ტურინელებისთვის უფრო პრესტიჟის თამაში იქნება. თუმცა „იუვენტუსის“ პრეზიდენტ **ჯოვანი კობოლი-ჯილის** ჯერ კიდევ არ დაუკარგავს იმედი. არადა, „ინტერმა“ შამპანური უკვე ჩააცივა.

„რაი უნოს“ პირდაპირ ეთერში, გადაცემა „90 წუთში“ ძალიან სასაცილო რამ მოხდა. ყველა მნახველი იცინებდა, გარდა „ბოლონიის“ ფანებისა, რომლებსაც ნამდვილად არ ეცინებოდათ. გუნდმა „სიენასთან“ 1:4 წააგო და ბოლოდან მესამე ადგილზე დარჩა. გადაცემის წამყვანსა და რეჟისორებს კი რატომღაც იმ ერთადერთი გოლის ჩვენება დაავიწყდათ, გადაცემის ბოლოს კი მოდერატორმა სულაც ასეთი რამ თქვა: *„ბოლონიამ“ 9 საშინაო მატჩის მოგებით რეკორდი დაამყარა!“* შესაბამისად, საიდუმლოდ რჩება, რატომ აქვს „ბოლონიას“ 26 ქულა (თუკი 9 საშინაო თამაში მოიგო), ისევე, როგორც იმ ერთი გოლის არჩევნების ამბავი...




### ბუნდესლიგა
### ჰოფენჰაიმი არა, იხვი...

აჰა, „ბაიერნსაც“ შეძლებია 4 გოლის გატანა და საკუთარი კარის მშრალად შენახვა. „ბარსელონასთან“ ნაჭამი სირცხვილის შემდეგ, მიუნხენელებმა ძველებურად ითამაშეს და აჩვენეს ყველაფერი, რაც მაგარმა უნდა აჩვენოს: მონდომება, მოტივაცია, **რიბერის** დრიბლინგები, ლამაზი გოლები, მებრძოლი სული (ტიპურ ბავარიული), გუნდურობა, ეფექტიანობა და ა.შ. ერთი ეგაა, რომ შაბათს „ბაიერნის“ მეტოქეს „ბარსელონა“ კი არა, „აინტრახტი“ ერქვა და რეკორდმაისტერმაც დაამტკიცა, რომ ყველაფერი შეუძლია, ოღონდ მხოლოდ მაშინ, როცა მას არც უტევენ და ვერც თავს იცავენ მის წინააღმდეგ. რა კარგია!

თუმცა „აინტრახტი“ ძალიანაც არ უნდა წავბილწოთ, რადგან რა მოტივაცია უნდა ჰქონოდა ფრანკფურტულ კლუბს ისეთ „ბაიერთან“, რომელსაც წინა კვირას მთელმა საფეხბურთო ევროპამ დასცინა? ესეც არ იყოს, „აინტრახტს“ შაბათს ნამდვილად არ უთამაშია ისე უსუსურად, როგორც „ბაიერნმა“ ითამაშა წინა კვირაში „ბარსელონასთან“.

საუკეთესოდან უარესობამდე რომ ერთი ნაბიჯია, ამის ნათელი მაგალითი ფსევდოსენსაციური „ჰოფენჰაიმი“ გახლავთ. შესაძლოა, პირველ წრეში ვინმეს ეფიქრა, რომ „სოფლელები“ „ბარსელონას“ ჩემპიონთა ლიგიდან გააგდებდნენ. ახლა კი მთელი სოფელი ხვნა-თესვას უბრუნდება. რაც უნდა გასაკვირი იყოს, პირველი წრის გამარჯვებული „ჰოფენჰაიმი“, რომელიც 2008 წლის მეორე ნახევარში ბუნდესლიგის ყველა დროის საუკეთესო ახალწვეული იყო, 2009 წლის პირველ ნახევარში ყველა დროის ყველაზე საშინელი ახალწვეულის სახელს იხვეჭს. უფრო სწორად, უკვე მოიხვეჭა, რადგან აქამდე ბუნდესლიგის არც ერთ ახალწვეულს არ ჰქონია ცხრამატჩიანი მოუგებელი სერია. „ჰოფენჰაიმს“ კი, მე-18 ტურის შემდეგ არ მოუგია და ნახეთ, 9 თამაშია, არ უმარჯვია.

ესეც არ იყოს, „ჰოფე“ ყველაზე უაზრო გუნდსაც ემსგავსება.

**ფეხბურთელი A**: *„ფეხბურთელი B არ დარბის!“*

**ფეხბურთელი B**: *„ფეხბურთელი A თვითონ არ დარბის!“*

**ფეხბურთელი C**: *„გუნდიდან წასვლა მინდა!“*

**ფეხბურთელი D**: *„ფეხბურთელები A, B და C შტერები არიან!“*

აი, ასეთ მდგომარეობაშია შემოდგომის ჩემპიონი. ცამდე მართალი იყო კარლ-ჰაინც რუმენიგე, როცა პირველი წრის დასრულების შემდეგ, ყველაფრის მიუხედავად თქვა, „ჰოფენჰაიმი“ არა, იხვიო...

### ლიგა 1
### მერსი, გერეტს!

პირველად მეხუთე ტურის შემდეგ: „ლიონი“ ლიდერი აღარ არის! „მონაკოსთან“ შინ მიღწეული საჩოთირო 2:2-ის შემდეგ, შვიდგზის ჩემპიონი ტახტიდან ჩამოვარდა. ახლა კი დიდი შანსია, რომ 2000/2001 წლების სეზონის შემდეგ „ლიონი“ პირველად დარჩება ტიტულის გარეშე! გუნდი გავარდა ჩემპიონთა ლიგიდან, საფრანგეთის თასიდან და ლიგის თასიდანაც. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად ამისა, მთავარი მწვრთნელი **კლოდ პუელი** პოსტზე რჩება და ის „ლიონს“ გაისადაც უხელმძღვანელებს, რადგან გუნდის პრეზიდენტი **ჟან-მიშელ აულა** მას ნდობას უცხადებს. საინტერესო ისაა, რომ შარშან „ლიონმა“ დუბლი შეასრულა (ჩემპიონობა და თასი), მწვრთნელი **ალენ პერინი** მაინც გაათავისუფლეს. მომავალ ტურში, მეორე ადგილზე ჩამოქვეითებული „ლიონი“ მესამეადგილოსან „ბორდოს“ ეთამაშება.

მარსელის „ოლიმპიკის“ ქომაგები ამ დღეს დიდხანს ელოდნენ და აი, ჩემპიონატის დამთავრებამდე 7 ტურით ადრე „მარსელი“ გალიდერდა! კატასტროფული პირველი ტაიმის შემდეგ (0:0), **ერიკ გერეტსის** შეგირდებმა ჭკუას მოუხმეს და „გრენობლი“ 4:1 გაანადგურეს. ეს იყო „მარსელის“ ზედიზედ მეოთხე გამარჯვება. წარმატება მეტწილად გერეტსის დამსახურებაა, რომელმაც თავისი სამწვრთნელო შესაძლებლობები კიდევ ერთხელ დაამტკიცა, შეიყვანა რა მოედანზე **კანა** და **ვილტორი**, რომლებმაც „მარსელის“ თამაშს სიმძაფრე შემატეს. მატჩის მიწურულს „ველოდრომზე“ შეკრებილი ქომაგები მწვრთნელის გვარს რამდენიმე წუთის განმავლობაში სკანდირებდნენ. მარსელში ასეთ დიდი საფეხბურთო ეიფორია დიდი ხანია, აღარ ყოფილა.

ისტორიულ გუნდებს, „სენტ ეტიენს“ (ათგზის ჩემპიონი) და „ნანტს“ (რვაგზის ჩემპიონი) უმაღლესი ლიგიდან გავარდნის საფრთხე ემუქრებათ. ორივე გუნდმა წააგო მაშინ, როცა კონკურენტებმა („კანი“, „ლე მანი“, „ნანსი“) იმარჯვეს. „სტ. ეტიენისთვის“ რენში წაგება (0:1) ზედიზედ მეოთხე მარცხი იყო. მატჩის შემდეგ ფანები ფეხბურთელებს დაეტაკნენ. ასეთივე ვითარებაა „ნანტშიც“: „ტულუზასთან“ წაგება (0:1) ამ გუნდისთვის ზედიზედ მესამე მარცხი იყო. „სტ. ეტიენი“ და „ნანტი“ 3 იანვრის შემდეგ ელიან გამარჯვებას...




გამოვიდა ახალი ნომერი

მწვრთნელი

# ბერნდ შუსტერი: კალდერონმა ფეხებზე დამიკიდა

## ყოფილმა პრეზიდენტმა ფაბრეგასი, ვილია და ალვეში კრისტიანო რონალდოს არშემდგარ ტრანსფერში გაცვალა

მადრიდის „რეალის“ მთავარი მწვრთნელის თანამდებობიდან გადაყენებიდან ოთხი თვის შემდეგ **ბერნდ შუსტერმა** დუმილი დაარღვია და საზოგადოებას ძალიან საინტერესო დეტალები გაუმხილა. „დიარიო მარკასთვის“ მიცემულ ინტერვიუში გერმანელმა სპეციალისტმა რამდენიმე საკვანძო საკითხზე ისაუბრა. პირველ რიგში მან ხელმძღვანელობის მიერ მიცემული პირობის დარღვევაზე ისაუბრა:

„ყველას აინტერესებს, რატომ ვერ მოხერხდა შემადგენლობის გაძლიერება, რატომ უჭირდა „რეალს“ ხანგრძლივი სეზონის განმავლობაში მოწინააღმდეგეებისთვის სრულფასოვანი კონკურენციის გაწევა. როგორც ყოველთვის, ამ შემთხვევაშიც ყველაზე დიდი პასუხისმგებლობა მთავარ მწვრთნელს ეკისრებოდა. მე პასუხისმგებლობას არ გავურბოდი, მაგრამ ახლა უფრო თავისუფლად შემიძლია ვილაპარაკო. სამწუხაროდ, კალდერონმა ჩემთვის მოცემული ყველა პირობა დაარღვია. მას რამდენიმე ფეხბურთელის შეძენა ვთხოვე, მაგრამ მაშინდელმა პრეზიდენტმა თითი არ გაანძრია. ერთია, როცა ფეხბურთელის შეძენას ცდილობ, მაგრამ მის მფლობელ კლუბთან ვერ თანხმდები და მეორე, როცა მიცემული პირობის შესასრულებლად აბსოლუტურად არაფერს აკეთებ. კალდერონმა უბრალოდ ფეხებზე დამიკიდა და ბედის ანაბარად მიმაგდო. დიახ, მე არაფერს ვაჭარბებ. ძალიან ძნელია, სასურველ შედეგს მიაღწიო, როცა შემადგენლობაში ხვრელებია და მას შენი შეხედულებისამებრ ვერ აკომპლექტებ. განუწყვეტლივ ვითხოვდი, რომ სენიორ კალდერონს ჩემი თხოვნა ყურად ეღო, თუმცა გუნდიდან ისე გამიშვა, არც ერთი ტრანსფერი არ გაუჩარხავს“.

მადრიდული გაზეთის ჟურნალისტმა შუსტერს პასუხად მოახსენა, კალდერონი ამტკიცებს, მწვრთნელის მიერ მოთხოვნილი ფეხბურთელების შესაძენად თანხა არ გვყოფნიდაო. გერმანელმა სპეციალისტმა ამასთან დაკავშირებით ასეთი რამ განაცხადა:

„ეს ტყუილია! მე სესკ ფაბრეგასის, დავიდ ვილიასა და დანიელ ალვეშის შეძენას ვითხოვდი. „რეალს“ ამ სამი ტრანსფერის გასაჩარხი ფული ნამდვილად ჰქონდა, მაგრამ პრეზიდენტმა მთელი ენერგია და დრო კრისტიანო რონალდოს გადაბირებას შეალია. იდიოტი არ ვარ, რონალდოს საწინააღმდეგო განწყობა მქონოდა. მასთან ნებისმიერი მწვრთნელი ითანამშრომლებდა, მაგრამ ყველამ დავინახეთ, რომ „მანჩესტერთან“ ურთიერთობა ჩიხში შევიდა, მოლაპარაკებამ უტოპიური ხასიათი მიიღო. სერ ალექს ფერგიუსონი ერთი და იმავე განცხადებით არ იღლებოდა, გამორიცხულია, კრისტიანოს არ გავყიდითო. მგონი, დროზე უნდა მოვმხვდარიყავით, რომ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდოდა. მიუხედავად ამისა, კალდერონი თავისას არ იშლიდა და ღია კარის მტვრევას განაგრძობდა. მის ყოველ მცდელობას ფერგიუსონის პრესკონფერენცია და მორიგი მტკიცე უარი მოსდევდა. ამასობაში კი დრო გადიოდა. პრეზიდენტმა ბევრად მარტივი ტრანსფერების მოსაგვარებლად არაფერი გააკეთა. გარწმუნებთ, სამეფო კლუბს ჩემ მიერ ნახსენები სამი ფეხბურთელი რომ დაემატებინა, ბევრად უკეთესი მდგომარეობა იქნებოდა. დღეს უკვე ყველა ვხედავთ, რომ რამონ კალდერონმა არაეფექტიანი მუშაობით, „რეალის“ კრიზისში ჩავარდნა გამოიწვია. იმედია, არავის ეწყინება, მაგრამ გუნდს ერთადერთი მსოფლიო დონის ცენტრფორვარდი ჰყავს, თუმცა რუუდ ვან ნისტელროიმ მძიმე ტრავმა მიიღო და სეზონი ნაადრევად დაასრულა. ახლა არიენ რობენს უწევს ყველაფრის კეთება, არადა, ის ბომბარდირი სულაც არ არის. დანიელ ალვეში „ბარსელონამ“ წაიყვანა და მას „რეალი“ ველარასოდეს ელირსება. შეგახსენებთ, ბრაზილიელი ხმამაღლა აცხადებდა, ესპანეთიდან წასვლას არ ვაპირებ, მე მხოლოდ ორი გრანდიდან ერთ-ერთთან გავაფორმებ კონტრაქტსო. ალვეში იქ გადავიდოდა, სადაც უკეთეს პირობებს შესთავაზებდნენ. კალდერონმა მას ზედაც არ შეხედა და ბუნებრივია, დანი „კამპ ნოუზე“ გადაბარგდა. ხომ ხედავთ, ის რამდენად პოზიტიურ როლს თამაშობს? ალვეში თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია, მაგრამ „რეალმა“ მისი ხელში ჩაგდების 100-პროცენტიანი შანსი ვერ გამოიყენა. ეს უპასუხისმგებლობაა და სხვა არაფერი“.

„დიარიო მარკას“ კორესპონდენტმა შუსტერს შეახსენა, რომ მისი ტაქტიკური შეცდომების გამო გუნდმა მრავალი ქულა დაკარგა. ჩვენმა კოლეგამ რესპონდენტს პირდაპირ პირში მიახალა, ყველა წარუმატებლობის მწვრთნელზე დაბრალება უზნეობააო. შუსტერი გაბრაზდა და ჟურნალისტს ემოციურად უპასუხა:

„ეტყობა, არ მისმენთ, თორემ ამას არ იტყოდით. მე მოგახსენეთ, რომ პასუხისმგებლობას არ გავურბივარ. დიახ, მე ვარ დამნაშავე, რომ ამ ყველაფერზე მაშინვე არ ვილაპარაკე. მიუხედავად ყველაფრისა, სულაც არ ვაცხადებ, რომ სამეფო კლუბის უკლებლივ ყველა პრობლემა კალდერონის ბრალია. ვილია, სესკი და ალვეში რომ ეყიდათ, ყველა ხარვეზი მაინც არ აღმოიფხვრებოდა. უშეცდომო ადამიანი არ გახლავართ, მაგრამ გააჩნია, ვინ რამდენ და როგორ შეცდომას უშვებს. გულწრფელობას არაფერი ჯობია, ასე რომ, არაფრის დამალვას არ ვაპირებ. იყო შეხვედრები, როცა შემადგენლობის დაკომპლექტებისას შეცდომები დავუშვი. ეს მაშინაც ვაღიარე და საზოგადოებას ბოდიში მოვუხადე, მაგრამ გაცილებით მძიმე პრობლემა ის არის, რომ რუუდის ტრავმის შემდეგ მსოფლიო დონის ცენტრფორვარდის გარეშე რჩები. საქმე „რეალს“ რომ არ ეხებოდეს, ხმას არ ამოვიღებდი. ვილიას შეძენა „ხეტაფეში“ მუშაობისას, რა თქმა უნდა, არ მომითხოვია. ამას მარტივი მიზეზი აქვს, „რეალი“ და „ხეტაფე“ სულ სხვა მიზნებს ისახავენ. თუ ჩემპიონობა და ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვება გსურს, მხოლოდ ვან ნისტელროის იმედზე არ უნდა იყო. ეს ანბანური ჭეშმარიტება კალდერონმა ვერ გაითვალისწინა და მე არაფერ შუაში ვარ. ჰოლანდიელის ბოლო მძიმე ტრავმას რომ თავი დავანებოთ, ის სეზონის განმავლობაში მიკროტრავმების გამო ხშირად ვერ თამაშობდა. მის გარეშე კი გუნდს გოლების გატანა უჭირდა. აი, ეს არის უპასუხისმგებლობა. მწვრთნელს ბევრი რამ შეიძლება უსაყვედურო, მაგრამ როცა ის უმწვავესი საკადრო პრობლემის წინაშე დგება, საკითხს ოდნავ განსხვავებული კუთხით უნდა შეხედო. შემადგენლობის გაძლიერება ძალიან ბევრჯერ მოვითხოვე, მაგრამ არავინ არაფერი გააკეთა. ახლა თქვენ განსაჯეთ, ვინ არის მტყუანი - შუსტერი თუ კალდერონი“?





სერხიო რამოსი

რეალი

# რამოსს კორიდა ძვირად დაუჯდება

პრიმერა დივიზიონის წინა ტურის მიმოხილვაში მოგახსენეთ, რომ დისკვალიფიცირებული **სერხიო რამოსი** „რეალისა“ და „ვალიადოლიდის“ შეხვედრის შესვენებაზე სტადიონიდან გაიპარა. მოგვიანებით გაირკვა, რომ „რეალის“ ახალგაზრდა მცველს ხარების მოედანზე კორიდის სანახავად მიეჩქარებოდა. სერხიო წარმოშობით ანდალუსიელია და გასაკვირი სულაც არ არის, რომ ზოგჯერ კორიდასთან დაკავშირებული ვნება ფეხბურთს ავიწყებს ხოლმე.

კორიდა ძალიან ბევრ ესპანელს უყვარს, თუმცა, როგორც წესი, ადამიანები ამა თუ იმ ღონისძიებაზე სამსახურიდან თავისუფალ დროს მიდიან ხოლმე. როგორც გითხარით, რამოსმა „ვალიადოლიდთან“ მატჩი დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვა, მაგრამ მიუხედავად ამისა, პრიმერა დივიზიონის კალენდარული მატჩი მისთვის ეგრეთ წოდებული სამუშაო დღის ერთ ნაწილს შეადგენდა. შესაძლოა, უცნაურად ჟღერს, მაგრამ სამეფო კლუბის პრესსამსახური აცხადებს, რომ ახალგაზრდა მცველი ვალდებული იყო, „სანტიაგო ბერნაბეუზე“ საფინალო სასტვენამდე დარჩენილიყო. მას მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნებოდა წასვლის უფლება, თუ ხელმძღვანელობისგან ნებართვას ითხოვდა და ოფიციალურად გაათავისუფლებდნენ.

როგორც ჩანს, რამოსმა იგრძნო, რომ კორიდის გამო ფეხბურთიდან წასვლის უფლებას არავინ მისცემდა და ამიტომ, ჩუმად გაპარვა ამჯობინა. ბუნებრივია, კორიდაზე მისმა ვიზიტმა შეუმჩნევლად არ ჩაიარა. სამეფო კლუბის ვარსკვლავი ფოტო და ვიდეოკამერების ობიექტივში მოხვდა. მას სახელდახელო ინტერვიუც კი ჩამოართვეს და ეს კადრები მთელ ქვეყანაში გადაიცა. მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ეს ფაქტი გახმაურდა, რის გამოც სერხიო რამოსს სერიოზული სასჯელი დაემუქრა.

„რეალის“ ხელმძღვანელობა უახლოეს დღეებში მისთვის სანქციის შეფარდების საკითხზე იმსჯელებს. დირექტორატის ერთი ნაწილი, ფეხბურთელის რამდენიმე მატჩით დისკვალიფიცირებას ითხოვს, მაგრამ უფრო დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ შემადგენლობის დასუსტება თვითმკვლელობა იქნება. დირექტორთა უმრავლესობა რამოსის ფულადი ჯარიმის გადახდის დავალდებულებით დასჯას ემხრობა.

არგენტინის ნაკრები

# იგუაინი მარადონას წინააღმდეგ

## სამეფო კლუბის ფორვარდი ალბისელესტეს თავკაცს ბრალს სდებს...

**გონსალო იგუაინმა** გუშინ სენსაციური განცხადება გააკეთა. სამეფო კლუბის ფორვარდმა **დიეგო მარადონას** წინააღმდეგ გაილაშქრა. ახალგაზრდა ვარსკვლავმა თავს უფლება მისცა და მარადონას ჭკუის სწავლება დაუწყო:

„მიმაჩნია, რომ არგენტინის ნაკრების ხელმძღვანელობა უსამართლოდ მსჯის. შესაძლოა, დასჯა გადაჭარბებული ნათქვამია, მაგრამ მართლა არ მესმის, ალბისელესტეს ხელმძღვანელობა ყურადღებას რატომ არ მაქცევს. არგენტინას ერთადერთი ჩემზე ძლიერი ფორვარდი ჰყავს, მას ლეო მესი ჰქვია. სხვები კი ვერაფრით მჯობნიან. მიმდინარე სეზონში 16 გოლი და 5 საგოლე გადაცემა დამიგროვდა. ვფიქრობ, ეს შთამბეჭდავი მაჩვენებელია და ეროვნული გუნდის ძირითად შემადგენლობაში თამაშს ვიმსახურებ. არავის დაკნინება არ მსურს, თუმცა ღრმად მწამს, რომ ახლა სერხიო აგუეროზე, კარლოს ტევესსა და დიეგო მილიტოზე ბევრად კარგ ფორმაში ვარ. კონკურენციის პრინციპი ძალიან კარგად მესმის, მაგრამ კონკურენცია სწორედ იმისთვის არსებობს, რომ შემადგენლობაში მხოლოდ და მხოლოდ საუკეთესოთა შორის საუკეთესოებმა ითამაშონ. სამწუხაროდ, ამის შესაძლებლობა არ მეძლევა. როგორც ჩანს, მარადონა ვიწრო თვალთახედვის კაცია და ფართომასშტაბიან სამუშაოს ვერ ან არ აწარმოებს. თანდათან უფრო ვრწმუნდები, რომ მთავარ მწვრთნელს ეგრეთ წოდებული ფავორიტი ფეხბურთელები ჰყავს და ამ პირობებში დამსახურებული მოთამაშეებითვის ადგილი არ რჩება“.



გვერდი მოამზადა
ილია **ნიკოლაიშვილმა**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური ფეხბურთი

## ამბები

### მიხაილოვიჩი მოხსნეს

„ბოლონიას" ვებგვერდზე გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, დღეიდან გუნდის მთავარი მწვრთნელის პოსტზე **სინიშა მიხაილოვიჩი** აღარ მუშაობს. კლუბის დირექტორატმა სერბის გათავისუფლების გადაწყვეტილება ბოლოდროინდელი უარყოფითი შედეგების გამო მიიღო. უკანასკნელ ტურში, „როსობლუ" „სიენასთან" 1:4-ზე განადგურდა, რამაც წერტილი დაუსვა სინიშას ბოლონიურ მოღვაწეობას.

უნდა აღინიშნოს, რომ სერბი სპეციალისტი კლუბის მესვეურთა გადაწყვეტილებას ღირსეულად შეხვდა და გამოსამშვიდობებელი სიტყვაც წარმოთქვა:

*„მინდა მადლობა გადავუხადო ყველას, ვისთანაც „ბოლონიაში" მუშაობისას ვთანამშრომლობდი. ამ ქალაქში გატარებული თითოეული დღე კარგად მომაგონდება. განსაკუთრებულ მადლობას გადავუხდი* ***მენარინების*** *ოჯახს, მათ მომცეს საშუალება, თავი მთავარი მწვრთნელის რანგში გამომეცადა. განსაკუთრებული პატივისცემა მინდა გამოვხატო გულშემატკივრების მიმართ, რომლებიც მუდმივად მხარში მედგნენ. ჩემს შეგირდებს და მთლიანად „ბოლონიას" კი წარმატებებს ვუსურვებ. იმედია, ახალი მწვრთნელი გუნდს სერია A-ში ადგილს შეუნარჩუნებს. ფირცა „ბოლონია".*

„ბოლონიას" მესვეურებმა კი უკვე იპოვეს მიხაილოვიჩის შემცვლელი, სერბის ადგილს „ლეჩეს" ექსთავკაცი **ჯუზეპე პაპადოპულო** დაიკავებს.

### მილანი აგერს უახლოვდება

„მილანს" რომ დაცვის ხაზში პრობლემები აქვს, ძველი ამბავია. კლუბის მესვეურები ღიად აცხადებენ, რომ ზაფხულის სატრანსფერო ფანჯრისას, რამდენიმე მაღალკვალიფიციური უკანახაზელის შეძენას გეგმავენ. ერთ-ერთი მთავარი სამიზნე კი ლივერპულის მცველი **დანიელ აგერი** გახლავთ. დანიელის შეძენა „როსონერის" მესვეურებს შარშანაც სურდათ, მაგრამ მაშინ ხელი მოეცარათ.

აგერს „ლივერპულთან" კონტრაქტი 2010 წელს უმთავრდება, თუმცა ალბათ ამ ზაფხულსვე მოუწევს მერსისაიდელებთან განშორება. ამ ეჭვებს ისიც აძლიერებს, რომ დანიელმა კლუბთან ახალი ხელშეკრულების გაფორმება არ ისურვა. დიახ, მან უარი განაცხადა ახალ კონტრაქტზე, რომელიც „ლივერპულში" გაუმზადეს. ამასთან, აგერს და **ბენიტესს** შორის ბოლო დროს ურთიერთობა მეტისმეტად დაიძაბა და რამდენჯერმე საქმე შელაპარაკებამდეც მივიდა. ყველაფერი ეს, გვაფიქრებინებს, რომ სკანდინაველის „მილანში" გადაბარგება მართლაც რეალურია.

### ადრიანო არ მთავრდება

**ადრიანოს** ბოლოდროინდელი ამბები ყველას კარგად მოგეხსენებათ და მისი გაუჩინარება-დაბრუნების ისტორიას აღარ მოვყვებით. მხოლოდ იმას შეგახსენებთ, რომ იმპერატორმა ფეხბურთისგან დასვენება გადაწყვიტა და პირდაპირ თქვა, რომ როგორც მინიმუმ რამდენიმე თვე, მწვანე მინდვრისკენ გახედვასაც არ აპირებს. ადრიანოს ამ სიტყვებს ჟურნალისტებმა ათასგვარი ინტერპრეტაცია მისცეს და ბევრმა ისიც კი დაწერა, რომ ბრაზილიელი საფეხბურთო კარიერის დასრულებას აპირებს.

გუშინ, მილანში ადრიანოს პირადი აგენტი ჩავიდა და მასმედიასაც გაესაუბრა. **ჟილმარ რინალდიმ** მისი კლიენტის გულშემატკივრები დაამშვიდა და განაცხადა, რომ იმპერატორი ბუცების ლურსმანზე ჩამოკიდებას ჯერ არ აპირებს:

*„ადრიანო ამჟამად ბრაზილიაშია და ოჯახთან ერთად ისვენებს. დიახ, მას ბოლო დროს სერიოზული პრობლემები ჰქონდა და ფეხბურთს დროებით ამადაც ჩამოშორდა. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, დროებით და არა სამუდამოდ, როგორც ეს პრესაში დაიწერა. ადრი ფეხბურთს ალბათ მომავალ სეზონში დაუბრუნდება და აუცილებლად დაამტკიცებს, რომ კვლავაც რჩება მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს ფორვარდად. სად გააგრძელებს კარიერას? - არის შანსი, რომ ეს გუნდი „ინტერი" იყოს. „ნერაძურის" დატოვების სურვილი ადრიანოს არ გამოუთქვამს, მაგრამ კარგად გვესმის, რომ შესაძლოა, კლუბის მესვეურებისგან შევხვდეთ წინააღმდეგობას. სწორედ იმისთვის ვარ ჩამოსული, რომ მათთან უშუალო საუბარში გავერკვეთ სიტუაციაში. არის ასევე „ფლამენგოს" ვარიანტი, ეს გუნდი დიდად არის დაინტერესებული ადრიანოს სამსახურით, ვნახოთ, ყველაფერს დრო გვიჩვენებს".*

**ლაშა წიკლაური**

---

## ინტერვიუ

სიმაო საბროსა

# ლიგის საგზურს მაინც მოვიპოვებთ

## პორტუგალიელ ვარსკვლავს ესპანეთის უძლეველობის მითის დამსხვრევა სურს

**პრიმერა დივიზიონის გასულ ტურში სიმაომ „დეპორტივოს" გოლი გაუტანა და მის გუნდს მნიშვნელოვანი გამარჯვების მოპოვებაში დაეხმარა. ამ გოლით პორტუგალიელმა ნახევარმცველმა კლუბის ისტორიაში დაიდო ბინა. საქმე ის არის, რომ ლა კორუნიაში გატანილი ბურთი საიუბილეო გამოდგა. „როხიბლანკოს" პრიმერა დივიზიონში 4 ათასი გოლი აქვს გატანილი. ეს ისტორიული გოლი სწორედ სიმაოს ანგარიშზე ჩაიწერა.**



სიმაო საბროსა

**- თქვენი წყალობით „ატლეტიკოს" პრიმერა დივიზიონში 4 ათასი გოლი დაუგროვდა. თქვენ უკვე ამ გუნდის ისტორიის ნაწილი ხართ...**

- ჟურნალისტებისგან გავიგე, რომ საიუბილეო გოლი გავიტანე. ეს ამბავი ერთ-ერთი რადიოს ჟურნალისტმა საფინალო სასტვენის შემდეგ მითხრა. გამოგიტყდებით, ძალიან გამიხარდა, თუმცა ისე ნუ წარმოადგენთ, თითქოს 4 ათასივე გოლის გატანა ჩემი დამსახურება იყოს (იცინის). მე უბრალოდ, გამიმართლა და განგების დახმარებით ისტორიული გოლის ავტორი გავხდი.. მაგრამ ეს ისტორია რომ შექმნილიყო, „ატლეტიკოს" მრავალი თაობის ფეხბურთელმა თავი გადადო და ვაჟკაცურად ითამაშა. სიმართლე გითხრათ, ჩემთვის ლა კორუნიაში სამი ქულის მოპოვება ბევრად უფრო მნიშვნელოვანი იყო. გუნდი ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის იბრძვის, ასე რომ, თითოეულ ქულას მართლაც ოქროს ფასი აქვს.

**- ძალიან მიჭირს იმის დაჯერება, ფეხბურთელები რომ ამბობენ, ისტორიაში მოხვედრაზე მნიშვნელოვანი რიგითი კალენდარული მატჩის მოგებააო.**

- მეამაყება, რომ „ატლეტიკოს" ისტორიის წიგნში მოვხვდები, მაგრამ „დეპორტივოსთან" მატჩი რიგითი კალენდარული შეხვედრა სულაც არ იყო. ვიმეორებ, ჩვენ ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ვიბრძვით. ამიტომ, სამ ქულას უდიდესი ფასი ჰქონდა. ჩემპიონთა ლიგაში ასპარეზობა უფრო დიდი ისტორიული წარმატებების მიღწევის საშუალებას იძლევა.

**- მარტში თქვენს ოჯახს დიდი უბედურება შეემთხვა, თქვენი ბიძაშვილი პლაჟიდან უგზოუკვლოდ გაქრა. მისმა გაუჩინარებამ დედათქვენზე საშინლად იმოქმედა. რამდენადაც ვიცი, ის საავადმყოფოშიც კი მოხვდა. მაინტერესებს, ეს გოლი მწუხარების დამარცხებაში რამდენად დაგეხმარათ?**

- გულწრფელად გეტყვით, რომ ამ ამბავმა ჩემზე ძალიან ცუდად იმოქმედა, მაგრამ ფეხბურთი იმხელა გატაცებაა, რომ ტანჯვას მალე მავიწყებს. ჩემს თანაგუნდელებსა და ხელმძღვანელობას უღრმეს მადლობას მოვახსენებ. ენრიკე სერესომ უფლება მომცა, პორტუგალიაში დავრჩენილიყავი და უმძიმეს დროს ჩემს ნათესავებთან ერთად ვყოფილიყავი. პრეზიდენტი ყოველდღე მირეკავდა და მამხნევებდა. მადლობის მეტი მართლა არაფერი მეთქმის. ადამიანი უბედურებას ვერ ეგუება და ყოველთვის ბედნიერებას ელტვის. მეც ასეთი ადამიანი გახლავართ. „დეპორტივოს" კარში გოლის გატანამ, ხასიათი, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვნად გამომიკეთა. გალისიელების დამარცხებით ყველანი კმაყოფილი ვიყავით. მადრიდში ამაღლებული განწყობითა და გაათკეცებული ოპტიმიზმით დავბრუნდით.

**- წინა ორი შეხვედრისგან განსხვავებით, „ატლეტიკომ" „რიასორზე" არაჩვეულებრივად ითამაშა. ამ ტრანსფორმაციას როგორ ახსნით?**

- ძალიან რთულია ამ ყველაფრის ახსნა. ბოლო ერთი კვირის განმავლობაში ფეხბურთელები ძალიან ბევრს ვსაუბრობდით. ყველა შეთანხმებული ვიყავით, რომ სასურველი შედეგების მიღწევას მეტი ძალისხმევა და შრომა სჭირდება. ამავდროულად ისიც გვესმოდა, რომ ჩვენ არასოდეს ვზარმაცობდით, თუმცა ასე იყო, თუ ისე, ლა კორუნიაში ძალიან მნიშვნელოვანი თამაში მოვიგეთ. გასვლაზე მოპოვებული გამარჯვება ყოველთვის ორმაგად სასიხარულოა.

**- სეზონის დასრულებამდე რვა ტურია დარჩენილი. ხუთ შეხვედრას „ვისენტე კალდერონზე" გამართავთ. შეძლებთ, ამ უპირატესობის გამოყენებას?**

- „ვისენტე კალდერონზე" პრობლემები თითქმის არასოდეს გვექმნება. ხაზს ვუსვამ, თითქმის არასოდეს. ამას იმიტომ ვამბობ, რომ მიმდინარე სეზონში ორი, თუ სამი საშინაო შეხვედრა ძალიან ცუდად ჩავატარეთ. გულშემატკივრები ყოველთვის გვეხმარებიან. დარწმუნებული გახლავართ, ხუთივე საშინაო ორთაბრძოლას მოვიგებთ და ჩემპიონთა ლიგის საგზურს მოვიპოვებთ. ძალიან მინდა, გაისად ჩემპიონთა ლიგაში წლევანდელზე ბევრად უკეთ ვითამაშოთ. ამჯერად არ გაგვიმართლა, მაგრამ თუ მომავალ სეზონშიც ვითამაშებთ, გულშემატკივრებს ბევრად უკეთესი შედეგით გავახარებთ. მოკლედ, ასეა თუ ისე, „ატლეტიკომ" ნებისმიერ შემთხვევაში უნდა მოიგოს.

**- ბოლო გამარჯვება მართლაც ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ უნდა დამეთანხმოთ, რომ „როხიბლანკოს" წელს არასტაბილურობა უდიდეს პრობლემებს უქმნის. რატომ ვერ მოახერხეთ სტაბილური გუნდის ჩამოყალიბება?**

- ძალიან მიჭირს იმის თქმა, რომ „ატლეტიკო" არასტაბილური გუნდია, თუმცა ვადასტურებ, მთელი რიგი შეხვედრები არასტაბილურად ჩავატარეთ და მრავალი ქულა დავკარგეთ. ზუსტ მიზეზებს ვერ დაგისახელებთ. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ ყოველი ტურის შეხვედრას მაქსიმალურად მომზადებული შევხვდეთ, მაგრამ რამდენიც უნდა ივარჯიშო და მოინდომო, ფეხბურთში გამარჯვების გარანტიას ვერასოდეს მოიპოვებ. კონკურენცია იმდენად დიდია, მშვიდად ვერ იქნები. ზოგჯერ აშკარა აუტსაიდერი უდიდეს წინააღმდეგობას გაგიწევს და უმნიშვნელოვანეს ქულებს დაგაკარგვინებს. რა გაეწყობა, ამისგან არასდროს არავინ იქნება დაზღვეული. მიუხედავად ყველაფრისა, გუნდმა ნებისმიერ განსაცდელს უნდა გაუძლოს. ჩვენ სწორედ ასე მოვიქეცით და „დეპორტივო" დავამარცხეთ.

**- მომავალ უქმეებზე „ნუმანსიას" ეთამაშებით. ეს გუნდი „ატლეტიკოსთვის" ტრადიციულად უხერხული მოწინააღმდეგეა...**

- მთავარია, ამ შეხვედრას მაქსიმალურად მომზადებული შევხვდეთ. „ვალენსიასა" და „ვილიარეალს" მძიმე მატჩები ელით. ისინი „ბარსელონას", „რეალსა" და „სევილიას" უნდა შეხვდნენ. ჩემი აზრით, პრიმერა დივიზიონში ყველაფერი შეიძლება მოხდეს. დიდი იმედი მაქვს, რომ ყველაფერი ისე წარიმართება როგორც ჩვენ გვსურს. ბუნებრივია, მეტოქეები დიდ წინააღმდეგობას გაგვიწევენ, მაგრამ „ატლეტიკო" უკან არ დაიხევს. ღრმად მწამს, რომ ჩემპიონთა ლიგის საგზურს მოვიპოვებთ.

**- გულწრფელად მითხარით, ხავიერ აგირეს ნაცვლად აბელ რესინოს დანიშვნა გამართლებული ნაბიჯი იყო?**

- ხელმძღვანელობის კომპეტენციაში ვერ შევიჭრები. მწვრთნელის დანიშვნისა, თუ გადაყენების საკითხი მათი გადასაწყვეტია. მე სულ სხვა მოვალეობა მაქვს, იმ მწვრთნელს უნდა დავემორჩილო, რომელსაც დაგვინიშნავენ. ჩემი აზრით, აგირე არაჩვეულებრივი სპეციალისტია, იმავეს ვიტყვი სენიორ რესინოზეც. სხვას ვერაფერს მოგახსენებთ.

**- არასტაბილურობა პორტუგალიის ეროვნულ გუნდსაც დასჩემდა. თქვენმა ნაკრებმა ერთი შეხედვით მარტივ შეხვედრებში მნიშვნელოვანი ქულები დაკარგა.**

- ვფიქრობ, ჩემი ნაკრებიც იმავე პრობლემებს ნააწყდა, რასაც „ატლეტიკო" ებრძვის. შეუძლებელია, ყოველთვის ერთსა და იმავე დონეზე ითამაშო. დიახ, ჩვენ რამდენიმე ქულა დავკარგეთ, მაგრამ ამით სასოწარკვეთილებაში არ ჩავვარდებით. ჩვენ დიდი პოტენციალი გვაქვს. თუნდაც კრისტიანო რონალდო რად ღირს. უბრალოდ, აქამდე გამართულ შეხვედრებს ოპტიმალური ფორმით ვერ შევხვდით. მიუხედავად ყველაფრისა, ბრძოლა გრძელდება და პორტუგალია აუცილებლად გაიმარჯვებს.

**- დარწმუნებული ხართ? შეგახსენებთ, რომ დანია და უნგრეთი საკმაოდ სოლიდური სხვაობით, შვიდი ქულით გისწრებენ...**

- მართალი ხართ, მაგრამ გავიწყდებათ, რომ უნგრეთს ერთი შეხვედრით მეტი აქვს ჩატარებული და წინ კიდევ არაერთი საკვანძო დაპირისპირება ელის. სამწუხაროა, რომ ჩვენ შორის მართლაც სოლიდური ჰანდიკაპია, თუმცა ჯერ ბრძოლა არ დასრულებულა. გულწრფელად მჯერა, მომდევნო ხუთ შეხვედრას გაცილებით მაღალ დონეზე ჩავატარებთ და სამხრეთ აფრიკაში წასვლის უფლებას მოვიპოვებთ. 2010 წლის მუნდიალზე ასპარეზობა მთელი პორტუგალიური საფეხბურთო სამყაროს უპირველესი ამოცანაა. ჩვენი ნაკრების შემადგენლობის მაღალი ხარისხის გათვალისწინებით, ძალიან ოპტიმისტურად ვარ განწყობილი და მჯერა, რომ ყველაფერი კარგად დასრულდება. მთავარია, იმედი არ დავკარგოთ. ვინ იცის, იქნებ სამხრეთ აფრიკაში ესპანეთს დავუპირისპირდეთ და მისი უძლეველობის მითი დავამსხვრიოთ (იცინის).

**ილია ნიკოლაიშვილი**

---

William HILL

უილიამ ჰილის კოეფიციენტები

### ჩემპიონთა ლიგა

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 15 Apr 09 | Arsenal-Villarreal | 1.53 | 3.50 | 5.50 |
| 15 Apr 09 | Porto-Man Utd | 3.20 | 3.20 | 2.00 |

### უეფას თასი

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 16 Apr 09 | Din. Kiev-Paris S.G. | 1.80 | 3.30 | 4.80 |
| 16 Apr 09 | Man City-Hamburg | 1.95 | 3.40 | 3.90 |
| 16 Apr 09 | Udinese-Werder Bremen | 2.50 | 3.40 | 2.70 |
| 16 Apr 09 | Marseille-Shakhtar Donetsk | 1.91 | 3.40 | 4.00 |

### შვედეთი. ალსვენსკა

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 15 Apr 09 | Djurgarden-Gefle | 1.61 | 3.30 | 5.00 |
| 15 Apr 09 | Halmstad-Brommapojkarna | 1.60 | 3.40 | 4.80 |
| 15 Apr 09 | Hacken-IFK Goteborg | 3.60 | 3.30 | 1.83 |
| 16 Apr 09 | AIK Solna-Malmo | 2.25 | 3.20 | 2.75 |
| 16 Apr 09 | Trelleborg-GAIS | 1.95 | 3.25 | 3.30 |
| 16 Apr 09 | Helsingborg-Hammarby | 1.67 | 3.40 | 4.33 |
| 16 Apr 09 | Orgryte-Orebro | 2.30 | 3.20 | 2.62 |
| 16 Apr 09 | Elfsborg-Kalmar | 1.91 | 3.20 | 3.50 |

### სლოვენიის თასი

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 15 Apr 09 | Gorica-Koper | 1.80 | 3.20 | 3.90 |
| 15 Apr 09 | Ljubljana-Maribor | 2.50 | 3.10 | 2.50 |

### სერბეთის თასი

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 15 Apr 09 | Banat-OFK Belgrade | 2.45 | 2.90 | 2.70 |
| 15 Apr 09 | Napredak-Sevojno | 1.36 | 4.33 | 7.00 |
| 15 Apr 09 | Crv. Zvezda-FK Smederevo | 1.15 | 5.50 | 13.00 |
| 15 Apr 09 | Hajduk Belg.-Partizan Belg. | 19.00 | 9.00 | 1.04 |

### რუმინეთის თასი

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 15 Apr 09 | FC Timisoara-Gloria Bistrita | 1.40 | 3.60 | 7.50 |
| 15 Apr 09 | Din. Bucharest-Rapid Bucharest | 2.35 | 3.00 | 2.75 |

### დანია SAS-ლიგა

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 14 Apr 09 | Esbjerg-Nordsjaelland | 2.05 | 3.20 | 3.10 |

### დანიის თასი

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 15 Apr 09 | Brondby-AaB Aalborg | 1.91 | 3.25 | 3.40 |
| 16 Apr 09 | Nordvest-FC Copenhagen | 15.00 | 7.00 | 1.10 |

### ინგლისი. კონფერენცია

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 15 Apr 09 | Kettering-Crawley | 2.25 | 3.30 | 2.62 |
| 16 Apr 09 | Histon-Ebbsfleet United | 1.61 | 3.60 | 4.33 |

### რუსეთის თასი

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 15 Apr 09 | Rubin Kazan-Sibir Novosibirsk | 1.35 | 4.00 | 7.50 |
| 15 Apr 09 | Spartak Moscow-Din. Moscow | 2.15 | 2.90 | 3.20 |

### ლიბერტადორესის თასი

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 15 Apr 09 | Caracas-Everton De Vina | 1.70 | 3.30 | 4.35 |
| 15 Apr 09 | Guadalajara-Lanus | 1.53 | 3.50 | 5.50 |
| 15 Apr 09 | Palmeiras-Sport Recife | 1.60 | 3.40 | 4.90 |
| 16 Apr 09 | Ind Medellin-Sao Paulo | 1.80 | 3.25 | 3.80 |
| 16 Apr 09 | Universidad de Chile-Gremio | 2.25 | 3.15 | 2.75 |
| 16 Apr 09 | Chico-Aurora | 1.22 | 5.00 | 9.50 |
| 17 Apr 09 | Dep. Tachira-Guarani (Par) | 1.55 | 3.50 | 5.25 |
| 17 Apr 09 | America de Cali-Def. Sporting | 1.80 | 3.25 | 3.90 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდო




# პერშინი მოდის... ლიპარტელიანი დახვდება!

## სპორტის სასახლეში ვარსკვლავთცვენა გველოდება

24-26 აპრილს საქართველო დამოუკიდებლობის პერიოდში ყველაზე დიდ სპორტულ ღონისძიებას უმასპინძლებს - სპორტის სასახლეში ძიუდოს ევროპის ჩემპიონატი გაიმართება. საოცარია, მაგრამ ფაქტია, მაშინ, როცა სტუმართა უმრავლესობას გარკვეული აქვს როგორი შემადგენლობებით ეწვევა თბილისს, საქართველოს ნაკრების თავკაცი **შოთა ხაბარელი** საბოლოო შემადგენლობას მხოლოდ პარასკევს დაასახელებს. საერთოდაც, ქართულ ძიუდოში ბევრი რამ ისე არ ხდება, როგორც გულშემატკივრებს გაუხარდებათ, თუმცა, სჯობს ევროპულ პირველობამდე შიდასამზარეულოს არ გამოვამზეურებთ. იმედია, ურემი არ გადაბრუნდება და ნაკრებში ჯანსაღი ატმოსფერო აღდგება. მანამდე კი თქვენს ყურადღებას ქართველთა უმთავრეს კონკურენტებზე გავამახვილებთ...

ქართველთაგან მოქმედი ჩემპიონის სტატუსი 66 კგ წონით კატეგორიაში მოჭიდავე **ზაზა კედელაშვილს** აქვს, მაგრამ იგი ევროპის ჩემპიონატზე არ იჭიდავებს.

თბილისმა ესტაფეტა ლისაბონისგან (პორტუგალია) გადაიბარა, საქართველოს დედაქალაქს ევროპის 35 ქვეყნის ნაკრები ეწვევა. მაშ ასე, კონტინენტზე ძიუდოს უმთავრესი ქვეყნების რუსეთის, ჰოლანდიის, საფრანგეთის, აზერბაიჯანის და სხვა ნაკრებთა შემადგენლობებზე ვისაუბროთ.

მოგეხსენებათ, აგვისტოს აგრესიის შემდეგ ჩვენ ქვეყანას რუსეთთან პირდაპირი დიპლომატიური ურთიერთობა აღარ აკავშირებს. ასე რომ, დიდი იყო საფრთხე, რომ თავად რუსები ყველანაირად შეეცდებოდნენ, ხელი შეეშალათ ტურნირის თბილისში ჩატარებისთვის. თუმცა ძიუდოს ევროპის ფედერაციის პრეზიდენტმა, რუსმა **სერგეი სოლოვეიჩიკმა** სულ სხვა გზა აირჩია, მან სიმბოლურადაც კი მიიჩნია პირველობის საქართველოში გამართვა. ამიტომაც გადაწყვეტილია, რომ რუსეთის ნაკრები თბილისში ჩამოვა, სპორტსმენებს კი ვიზებს ადგილზე, თბილისის აეროპორტში გაუფორმებენ. რუსეთის ნაკრები ამჟამად სოჭშია, სადაც ევროპის ჩემპიონატისთვის გამალებით ემზადება. მათ გუნდს ახალი თავკაცი ჰყავს, იტალიელი **ენცო გამბა**. *„ნაკრები კარგ ფორმაშია, თუმცა უნდა გვახსოვდეს, რომ თბილისში მხოლოდ მედლებისთვის კი არ ვიბრძოლებთ, არამედ დიდ გამოცდილებასაც მივიღებთ. ძიუდოს განვითარების დონე უკვე ბევრგანაა მაღალი, ლისაბონში მხოლოდ ვაჟებში 28 ქვეყნის სპორტსმენებმა მოიპოვეს მედლები. მაგრამ, რა თქმა უნდა, თბილისში მოსაგებად მივდივართ და ჩვენს ძიუდოისტებს ამის ძალაც შესწევთ“*, - ფრთხილობს შეფასებებში ენცო გამბა.

გაგაცნობთ რუსეთის ნაკრების საევროპო შემადგენლობას: **არსენ გალსტიანი** (60 კგ), **ალიმ გადანოვი** (66), **მანსურ ისაევი** (73), **ივან ნიფონტოვი** (81), **ივან პერშინი** (90), **რუსლან გასიმოვი** (100) და **ალექსანდრ მიხაილინი** (მძიმე). რუსებს „მძიმე“ წონებში ძლიერი შემადგენლობა ჰყავთ, „მსუბუქებში“ კი - ექსპერიმენტული. 60 კგ-ში არსენ გალსტიანი უცნობი ძიუდოისტია, ანუ არც **რუსლან კიშმახოვი** იქნება და არც **ევგენი კუდიაკოვი**. ალიმ გადანოვი, პრინციპში, საუკეთესოა დღეისათვის თავის წონაში რუსეთში. ექსპერიმენტულია ისაევის და ბოლო დროს გაყოჩაღებული ნიფონტოვის ნაკრებში დაყენებაც. სამაგიეროდ, „ჩვენს წონაში“ თბილისში ვიხილავთ ივან პერშინს, სწორედ იმას, ვინც ოლიმპიურმა ჩემპიონმა **ირაკლი ცირეკიძემ** შესანიშნავი ილეთით დაამარცხა პეკინში. მართალია, პერშინი მოდის, მაგრამ მას ცირეკიძე არ დახვდება, ამ წონაში **ვარლამ ლიპარტელიანი** იჭიდავებს. ერთს ვიტყვით, რომ პერშინი ლიპარტელიანსაც ჰყავს დამარცხებული. აშკარად საუკეთესოა თავის წონაში რუსლან გასიმოვი, მძიმეში კი არ იქნება ევროპის მოქმედი ჩემპიონი **ტამერლან ტმენოვი**, მაგრამ ამ წონაში რუსებს რა უჭირთ - ალექსანდრ მიხაილინი მასზე უფრო ტიტულოვანია. ერთი ეგაა, ტმენოვი ქართველი მძიმეწონოსნებისთვის ტრადიციულად უხერხული მეტოქეა და კარგია, რომ იგი არ იქნება სპორტის სასახლეში.

გამოცხადდა უკრაინის ნაკრების შემადგენლობაც: **გიორგი ზანთარაია** (60 კგ), **ტიგრან კაზარიანი** (66), **ვლადიმირ სოროკა** (73), **არტიომ ვასილენკო** (81), **ვადიმ სინიავსკი** (90), **არტიომ ბლოშენკო** (100) და **სტანისლავ ბონდარენკო** (მძიმე). აღვნიშნავთ, რომ **სერგეი დუბროვას** გუნდი კონჩა-ზასპეში, ოლიმპიურ ბაზაზე ემზადება თბილისური ბატალიებისთვის. უკრაინელებს არ ეყოლებათ **რომან გონტიუკი**, რომელმაც წონაში აინაცვლა, იგი მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ემზადება. როგორც ხედავთ, უკრაინის ნაკრებში ერთი ქართველია.

სომხეთის ნაკრები 6 აპრილიდან ერევანში ემზადება, შეკრება 20 აპრილამდე გასტანს, მხოლოდ ამის შემდეგ დასახელდება შემადგენლობა. რას მალავენ სომხები, გაუგებარია. გაგაცნობთ აზერბაიჯანის ნაკრების შემადგენლობას: **სამირ დადაშზადე** (60 კგ), **რამილ გასიმოვი** (66), **ელჩინ გასიმოვი** (73), **ელხან რაჯაბლი** (81), **ელხან მამედოვი** (90), **ელმარ გასიმოვი** (100). როგორც ხედავთ, აზერბაიჯანელებს თბილისში მძიმეწონოსანი არ ეყოლებათ. ელხან მამედოვი შარშანდელი პირველობის ვერცხლისმედალოსანია, ლისაბონში მან ფინალი გამოჩენილ ჰოლანდიელ **მარკ ჰუიზინგასთან** დათმო. ოლიმპიური ჩემპიონი **ელნურ მამედლი** (81 კგ) თბილისში ჩამოსვლას შეგვპირდა, ოღონდ მხოლოდ მაყურებლის სტატუსით. არ იქნება არც ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი **მოვლუდ მირალიევი** (100 კგ). აზერბაიჯანელები ზაქათალაში ემზადებოდნენ, ფრანგებთან, ესტონელებთან, ნორვეგიელებთან და სლოვენიელებთან ერთად.

გარკვეულია ფრანგთა შემადგენლობაც: **ფარიდ ბენ ალი** (60 კგ), **სებასტიენ ბერტელო** (66), **ჟილ ბონომი** (73), **აქსელ კლერჟე** (81), **ივ მატიო დაფრევილი** (90), **მატიო ბატაილი** (100) და **ტედი რინერი** (მძიმე). ძალიან კარგი შემადგენლობაა, მიუხედავად იმისა, რომ არ იქნება **დიმიტრი დრაგინი** (60 კგ). სულ ბოლოს გადაწყდა, ვინ წარადგენდა საფრანგეთს 100 კგ წონით კატეგორიაში, ბატაილმა **სირილ მარეს** და **ტიერი ფაბრის** აჯობა. ევროპის ჩემპიონატისთვის დიდი შენაძენია 20 წლის ტედი რინერის ჩამოსვლა, მსოფლიოს საუკეთესო ახალგაზრდა ძიუდოისტი წლეულს დაუმარცხებელია. ავსტრიელებს იდაყვის ტრავმის გამო დააკლდა **პეტერ შარინგერი** (73 კგ), სამაგიეროდ იქნება ევროპის ჩემპიონი **ლუდვიგ პაიშერი** (60 კგ). ჰოლანდიელები, რატომღაც, ასაიდუმლოებენ შემადგენლობას, მაგრამ **ჰენკ ხროლის** (100 კგ) პერსონალურ საიტზე წავაწყდით ინფორმაციას, რომ ევროპის მოქმედი ჩემპიონი თბილისში აუცილებლად გვეწვევა. ასევე გამოჯანმრთელდა და ევროპის ჩემპიონატზე იქნება **რუბენ ჰოუკესი** (60 კგ), ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი და მსოფლიოს ჩემპიონი. ცნობილია პორტუგალიის ნაკრების შემადგენლობა, ევროპის ჩემპიონი **ჟოაუ ნეტუ** თბილისში მოდის. სხვები: **პედრუ ჟასინტუ** (81 კგ), **ტიაგუ ლოპესი** (66), **ჟოაუ პინია** (73), **უგო სილვა** (90) და **ჟოაუ ტავეირა** (100).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

რაგბი

პრესკონფერენცია

# მოვითხოვთ, ქართველი მორაგბეების უსაფრთხოება დაიცვან

## პრობლემებს თუ დროზე არ მივხედავთ, ქართულ რაგბიში რეგრესი დაიწყება

დღეს საიუბილეო, საქართველოს მე-20 ჩემპიონატი იწყება. რაგბის კავშირში მომავალ სარაგბო ბატალიებთან დაკავშირებით პრესკონფერენცია გაიმართა, სადაც რუმინეთში ახლახან მომხდარ ინციდენტზეც ისაუბრეს.

**გიორგი ნიჟარაძე**, საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი:

- ბუქარესტში, რუმინეთის ჩემპიონატის მორიგ შეხვედრაში ადგილობრივ „დინამოსა“ და კონსტანცის „ფარულს“ შორის ჩხუბი ატყდა. მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ეს იყო ორი რუმინული კლუბის თამაში. ხაზს ვუსვამ იმიტომ, რომ რატომღაც აბსოლუტურ უმრავლესობას ეგონა, იქ საქართველოს ნაკრები თამაშობდა. გარწმუნებთ, როცა საქართველოს ნაკრები თამაშობს და ჩხუბობს, იქ შედეგი აბსოლუტურად განსხვავებული არის ხოლმე.

ერთ-ერთ ამ რუმინულ კლუბში ხუთი ქართველი ირიცხება, რომელთაგან იმ შეხვედრაში მოედანზე ოთხი იმყოფებოდა. როგორც ბიჭებმა სატელეფონო საუბრისას მითხრეს, მატჩის მე-6 წუთზე დაინიშნა შერკინება და სრულიად უმიზეზოდ, შერკინებაში ჩასვლისთანავე მოწინააღმდეგემ ჩხუბი ატეხა.

რუმინული პრესა საკმაოდ მწვავედ გამოეხმაურა ამ ფაქტს. როგორც თვითონვე აღნიშნავენ, ეს კლუბი, ბუქარესტის „დინამო“ ცნობილი ყოფილა ბინძური თამაშით.

ამასთან მინდა აღვნიშნო, რომ ტრავმების სიმძიმე ოდნავ გაბუქებულია. **კახაბერ უჩავას** ყბის ძვალი აქვს გატეხილი, მაგრამ მდგომარეობა იმდენად მძიმე არაა, რომ გუნდს დიდხანს დააკლდეს. ის დახლებით ორ კვირაში უკვე შეძლებს ვარჯიშს. თითი მოიტეხა ჩხუბის დროს **ირაკლი ნატრიაშვილმა**. ის ერთ კვირაში შეუერთდება გუნდს. მსუბუქი ტრავმები აქვთ **გიორგი ხოსიტაშვილს** და **ბიძინა სამხარაძეს**. ტრავმები აქვთ მათ რუმინელ თანაგუნდელებსაც.

რუმინეთის რაგბის კავშირის სადისციპლინო კომიტეტი აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით შვიდი საათის განმავლობაში მსჯელობდა. რა სანქციებიც მიიღეს, ყველასათვის ცნობილია. ერთადერთი, რაც ჩვენ შეგვიძლია მოვახერხოთ და დავასაბუთოთ, ისაა, რომ გამოვლინდა რასისტული ქმედება.

ჩვენ მივწერეთ რუმინეთის რაგბის კავშირს, რომ შეშფოთებულნი ვართ მომხდარით, რომ ბუქარესტის „დინამოს“ მორაგბეების მხრიდან იყო გამოვლენილი დაუფარავი აგრესია ქართველი მორაგბეების მიმართ. ვთხოვეთ გამოეგზავნათ ჩვენთვის სადისციპლინო კომიტეტის დასკვნა



გიორგი ნიჟარაძე

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

თავისი კომენტარებით. ასევე ამ ინციდენტის ამსახველი ვიდეოფირის სრული ვერსია.

ასეთივე თხოვნით მივმართეთ კონსტანცის „ფარულის“ ხელმძღვანელობას. ისინი უკვე ამზადებენ ყველა მასალას და გადმოგვიგზავნიან. თუ რამე ხელმოსაჭიდი ვნახეთ, მივმართავთ FIRA AER-ს და IRB-ის, რომლებისგანაც მოვითხოვთ ჩვენი მორაგბეების უსაფრთხოების დაცვას. იმავე მოთხოვნით მივმართავათ რუმინეთის რაგბის ფედერაციასაც.

რაც შეეხება ემოციებს, მისი დაცხრობის უებარი წამალი იქნება მომავალ წელს ბუქარესტშივე მათი ნაკრების დამარცხება და მსოფლიო თასის მიღმა დატოვება. გარწმუნებთ, ჩვენი ნაკრების არც ერთი წევრი არ დაივიწყებს ყოველივე ამას. ეს არ იქნება აგრესიის გამოვლინება. მომხდარი ფაქტი გახდება დამატებითი მოტივაცია ჩვენი ბიჭებისთვის.

ახლა მინდა საქართველოში დავბრუნდეთ. სასიხარულოა, რომ საიუბილეო მე-20 ჩემპიონატში მივაღწიეთ უმაღლეს ლიგაში საქართველოს რეგიონებიდან სამი გუნდის ჩართვას. ასევე სამი გუნდი ითამაშებს რეგიონებიდან პირველ ლიგაშიც. სამივე დებიუტანტია: ოზურგეთის „არწივები“, ფოთის „აიეტი“ და ქუთაისის „ბაგრატი“.

წლეულს პირველად გაიმართება შეჯიბრება დუბლშემადგენლობებს შორის. აქ ამჯერად გუნდს ოთხი კლუბი გამოიყვანს. მომავალი წლიდან კი, უმაღლესი ლიგის რვავე კლუბს ეყოლება დუბლშემადგენლობა.

საგრძნობლად გაიზარდა გუნდების რაოდენობა ჭაბუკთა A და B ლიგებში. იზრდება რაგბის კერების გეოგრაფიაც. მალე რაგბის ბავშვთა გუნდებს შევქმნით ზუგდიდში, სვანეთსა და რაჭა-ლეჩხუმში. პარალელურად ვმუშაობთ მწვრთნელთა კადრების აღზრდაზე, მათი კვალიფიკაციის ამაღლებაზე.

სამწუხაროდ, წინა წლების მსგავსად, წინსვლა არ გვაქვს ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით. როგორც ადრე, ისე ამჟამადაც უვარგის მოედნებზე გვიწევს თამაში. თუმცა იმედი გვაქვს, რომ ამ მხრივ მდგომარეობა გამოსწორდება. IRB მალე ხელოვნურსაფრიან მოედანს გადმოგვცემს, რომელსაც შევარდენის სანაკრებო ბაზაზე დავაგებთ. ამას მოჰყვება ამ ბაზის მთლიანი რეკონსტრუქცია.

რეკონსტრუქცია იგეგმება სინათლის სტადიონზეც. აქ ვეცდებით ორი სტანდარტული ზომის მოედანი მოვაწყოთ. ამასთან მალევე გადაწყდება მიწის ნაკვეთების გადმოცემა რაგბის კავშირის მფლობელობაში. არ შეიძლება ქართველი ბავშვები ისევ ასფალტზე ვარჯიშობდნენ და უმაღლესი ლიგის მორაგბეები ვაკის პარკში დარბოდნენ.

მთელი პასუხისმგებლობით მინდა განვაცხადო, რომ თუ სავარჯიშო და სათამაშო მოედნების პრობლემა ორ-სამ წელიწადში საბოლოოდ არ გადაიჭრა, ქართულ რაგბიში სერიოზული რეგრესი დაიწყება.

**ბესიკ ჯანგავაძე**



## მილოცვები

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი დაბადების დღეს ულოცავს ვეტერან ფალავანს, სპორტის ღვაწლმოსილ მუშაკს, საქართველოში სამბოსა და ძიუდოს ერთ-ერთ ფუძემდებელს, საქართველოს და სსრკ დამსახურებულ მწვრთნელს, XX საუკუნის საუკეთესო მწვრთნელს სამბოში, საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებულ მუშაკს, ღირსების ორდენოსანს **ქრისტეფორე ნინიაშვილს**.

ქართული ჭიდაობის ფედერაცია დაბადების დღეს ულოცავს ქართული სპორტის თვალსაჩინო მოღვაწეს, საქართველოში ჩოხიანი ჭიდაობის ფუძემდებელსა და პატრიარქს, ყოფილი საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონს, მრავალი სახელოვანი სპორტსმენის აღმზრდელს, ლეგენდარულ მწვრთნელს **ქრისტეფორე ნინიაშვილს**.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

ლეგიონერები

# ცქიტიშვილის 19-ქულიანი ძღვენი რეალს



ნიკა ცქიტიშვილი (№5)

**ნიკოლოზ ცქიტიშვილი** ესპანურ გრანდებზე ნადირობს: ჯერ დებიუტისას "ბარსელონას" ჩაუგდო 21 ქულა, შემდეგ "რეალთან" მიითვალა 15, ახლა ისევ "რეალთან" გაიბრწყინა – 19 ქულა მოაგროვა. მისი ზუსტი სამქულიანების წყალობით "ფუენლაბრადა" სტუმარ რეალელებთან გამარჯვების შანსს ბოლომდე ინარჩუნებდა, მაგრამ...

*"რეალის" დამარცხება რეალური იყო, მატჩი კარგად ჩავატარეთ, მაგრამ ბოლო წუთებზე ბევრი დასანანი შეცდომა დავუშვით და ამიტომაც დავმარცხდით"*, - გვითხრა გუშინ ნიკა ცქიტიშვილმა.

მადრიდულ დერბიში ესპანეთის მოქმედმა ჩემპიონებმა 88:84 იმარჯვეს.

თუკი, ბოლო წუთები თანაბარ ბრძოლაში წარიმართა, პირველ ტაიმში ამპლიტუდა მეტად მერყევი იყო – საწყის წუთებზე "ფუენლაბრადა" დომინირებდა და 8:0 დაწინაურდა (ცქიტომ ამ სპურტში 3-ქულიანი წვლილი შეიტანა). მალე "რეალი" გამოფხიზლდა, მასპინძლებს არათუ დაეწია, 10 ქულითაც გადაასწრო. ამას ისევ "ფუენლაბრადას" ალმასვლა მოჰყვა და, როგორც გითხარით, მეორე ტაიმი თანაბარი გამოდგა.

ნიკამ 19 ქულა 32 წუთში მოაგროვა და "ფუენლაბრადას" სნაიპერობა **საულ ბლანკოსთან** გაიყო. ისევე როგორც "ბარსასთან" სადებიუტო მატჩში, "რეალთანაც" 7 სამქულიანი ისროლა, თუმცა ამჯერად არა 6 არამედ 4 სამიანი გამოიყენა, რაც რეალიზების მეტად მაღალი მაჩვენებელია (57 პროცენტი). გარდა ამისა, ნიკამ 10-დან 3 ორქულიანი და 2-დან 1 საჯარიმო ჩააგდო. 19 ქულასთან ერთად სკიტამ 6 მოხსნა (3 შეტევითი, 3 დაცვითი) და ერთი დაფარება გაიფორმა.

*- მადრიდულ გრანდთან 19 ქულის მოგროვება კარგია, მაგრამ ამ მონაგარს გაცილებით მეტი ეფექტი ექნებოდა, გამარჯვება ჩვენ რომ დაგვრჩენოდა,* - ესეც ნიკამ თქვა, ოღონდ დანანებით. მან იქვე იმედი გამოთქვა, რომ "ფუენლაბრადა" დარჩენილ ოთხ ტურში პლეი ოფის რვაეულში შეღწევას მაინც მოახერხებს.

"რეალის" შემადგენლობაში არ უთამაშია ნიკას თანაამპლუელს, ესპანური კალათბურთის ვარსკვლავს **ფელიპე რეიესს**.

გამარჯვების შემთხვევაში "ფუენლაბრადა" წაგება-მოგებებით "მანრესას" გაუთანაბრდებოდა, თუმცა რადგან ცქიტოს თანაგუნდელებმა "რეალის" ძლევა ვერ მოახერხეს, პლეი ოფის ზონას ერთი გამარჯვებით დაშორდნენ – მერვეადგილოსან "მანრესას" 14-14 მოგება-წაგება აქვს, ხოლო "ფუენლას" 13 გამარჯვება და 15 მარცხი. რეგულარული ჩემპიონატის დასრულებამდე 4 მატჩია დარჩენილი და იმედი დავიტოვოთ, რომ "ფუენლაბრადა" პლეი ოფის ზონიდან "მანრესას" გამოდევნის.

მომდევნო მატჩს ნიკას გუნდი **ტაირონ ელისის** "კახასოლთან" სტუმრად გამართავს (18 აპრილს). სხვათა შორის, ამ კლუბში ცქიტო 2007 წელს თამაშობდა.

თავის მხრივ, "კახასოლმა" საბოლოოდ დააღწია თავი გასავარდნთა ზონას და მეცხრეადგილოსან "ფუენლაბრადას" სამი მოგებით ჩამორჩება. ელისის თანაგუნდელებმა ზედიზედ მეექვსე მატჩის მოგება მოახერხეს. ამ ჯერზე მათ სტუმრად "სარაგოსა" დაჯაბნეს – 80:73.

ელისი ნიკას დარად სასტარტო შემადგენლობაში იყო და მატჩის ბომბარდირი გახდა – 17 ქულა ჩააგდო (2-დან 2 ორქულიანი, 4-დან 4 საჯარიმო, 8-დან 3 სამქულიანი). 3 მოხსნა და თითი პასი-ჩაჭრა – ასეთი იყო ელისის სრული მონაგარი.

**თორნიკე შენგელიას** "პამესა ვალენსიამ" შინ "ბილბაოს" სძლია – 80:67. ამჯერად ვალენსიელთა განაცხადი ქართველი კალათბურთელის გარეშე შეივსო. თორნიკეს თანაგუნდელებს 15 მოგება, 13 წაგება უწერიათ და მეშვიდე ადგილზე მყარად არიან. ძნელი სავარაუდოა, მათ "მანრესას" გასწრების უფლება მისცენ, ხოლო "ვალენსიას" მეექვსე ადგილამდე ალზევება თითქმის გამორიცხულია. მას 3 მოგებით უსწრებს "გრან კანარია".

ვაჟა სიმონიშვილი



ვლადიმერ ბორისა (№44)

# ბორისამ ძველი დრო გაიხსენა

ხორვატიის ჩემპიონატში კიდევ ორი მატჩი გამართა **ვლადიმერ ბორისას** "ზადარმა". ჯერ ჩემპიონობის მთავარ მაძიებელ "ციბონასთან" იმარჯვა, შემდეგ – "ცედევიტასთან".

ზადარელებმა "ციბონა" შინ 97:88 დაამარცხეს. ამ მატჩის მოგება მნიშვნელოვნად განაპირობა ვლადიმერ ბორისას დამაჯერებელმა თამაშმა. მან შეხვედრა სასტარტო ხუთეულში დაიწყო, 24 წუთში 16 ქულა, 8 მოხსნა, 3 ჩაჭრა და 1 დაფარება მიითვალა. იგი 20 ქულამდეც ავიდოდა, საჯარიმოები შედარებით ზუსტად რომ ესროლა: 11-დან 4 ორქულიანი, 3-დან 2 სამიანი და 8-დან 2 საჯარიმო გამოიყენა. შეგახსენებთ, რომ ევროლიგაზე ბორისას საუკეთესო მატჩი სწორედ "ციბონასთან" იყო – 30 ქულა ჩააგდო და სლოვენიის "ოლიმპია" ევროლიგის მეორე ჯგუფურ ეტაპზე გაიყვანა.

"ციბონასთან" მატჩის სნაიპერი გახდა ზადარელი ამერიკელი **დესმონდ ფარმერი**, რომელმაც 18 ქულა მიითვალა.

მეორე მატჩი "ზადარმა" სტუმრად "ცედევიტასთან" გამართა და 76:68 მოიგო.

ამჯერად ვოვა შეტევაში ნაკლებად აქტიური იყო – 23 წუთში თითო ორქულიანი და საჯარიმო გამოიყენა და 3 ქულას 6 მოხსნა, 1 პასი და 1 ჩაჭრა მიამატა. ბომბარდირობა ამჯერადაც დესმონდ ფარმერმა იკისრა – 19 ქულა ჩააგდო.

შეგახსენებთ, რომ "ზადარი" ხორვატიის ჩემპიონატში მარტის ბოლოს ჩაერთო და სულ ოთხი მატჩი გამართა – მხოლოდ "ზაგრებთან" დამარცხდა (3 გამარჯვება, 1 წაგება).

ვაჟა სიმონიშვილი

ჭადრაკი



ანა მათნაძე

# ქართული მშვიდობის ელჩი ესპანეთში პირველია!

ესპანეთში, ლას-პალმასში საკმაოდ წარმომადგენლობით საერთაშორისო ტურნირში, რომელიც **პედრო ლესკანო მონტავლოს** სახელობისაა, ოთხმა ქართველმა მოჭადრაკემ მიიღო მონაწილეობა და ჩვენდა სასიხარულოდ - წარმატებით: **ანა მათნაძემ** 8,5 ქულით პირველი ადგილი დაიკვა, 8 ქულით მეორე იყო **ლევან ბრეგაძე; ზურაბ ჯავახაძემ** 5,5 ქულით მეცხრე ადგილი დაიკავა, ხოლო **ნათია ჯალაბაძემ** ასევე 5,5 ქულით და უარესი კოეფიციენტით - მეცამეტე. ანა მათნაძე რომ ესპანეთში, კერძოდ ბარსელონაში ცხოვრობს, ჭადრაკის ქართველმა გულშემატკივარმა უკვე კარგად იცის. ისიც ცნობილია, რომ მათნაძე საერთაშორისო საქველმოქმედო საჭადრაკო ფონდის "ჭადრაკი - მშვიდობის ელჩის" დამფუძნებელია. ამ ფონდის საშუალებით და საკუთარი კავშირებით ანა ყოველწლიურად რამდენიმე წარმატებულ ახალგაზრდა ქართველ მოჭადრაკეს აძლევს საშუალებას, ესპანურ ტურნირებში მოსინჯოს ძალები. ამისთვის კი ჯერ საქართველოში ატარებს შესარჩევ ტურნირებს და ქულათა გარკვეული წესის დარიცხვის შემდეგ ვლინდებიან მოწინავენი. წარმატებულები, ასე ვთქვათ, ესპანურ საგზურს იღებენ. წლეულს ეს პატივი ზემოჩამოთვლილ მოჭადრაკეებს ხვდათ წილად. ამ ტურნირამდე ქართველებმა ესპანურ, კერძოდ ერთ-ერთ კატალონიურ კლუბში - „პეონა ი პეოში" ითამაშეს და აქაც წარმატებულად: გუნდმა პრიმერა დივიზიონის საგზური მოიპოვა. შევნიშნავთ, რომ ამ გუნდში მხოლოდ ანა მათნაძე არ ასპარეზობდა.

ქართველთა ესპანური ვოიაჟი ყოველთვის შედეგიანია და გასახარია, რომ ამჯერადაც არ შეურცხვენიათ ჩვენებურებს თავი, რაც მათ კარიერას მომავალში ფრიად წაადგება.

ზვიად შათირიშვილი

# ესტონეთის ოლ სტარი, როგორც უხეო ტყე

## სანიკიძემ ჩატენვების კონკურსი მოიგო

ესტონეთის მთავარ საკალათბურთო საიტზე გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, "ოლ სტარზე" **ვიქტორ სანიკიძემ** ჩატენვების კონკურსი მოიგო, ხოლო **გიორგი ცინცაძემ** სამქულიანების კონკურსში მიიღო მონაწილეობა, მაგრამ გამარჯვება თანაგუნდელ **გერტ კულმაეს** დარჩა. იქვე ვეძებეთ ვარსკვლავთა მატჩის საბოლოო შედეგები, გვაინტერესებდა ქართველთა მონაგარი ესტონურ "ოლ სტარში". ბალტიური ინტერნეტგამოცემები ბოლომდე გადავქექეთ, მაგრამ ვერც ვარსკვლავთა მატჩის შედეგი და ვერც სანიკიძე-ცინცაძის მონაგარი ვერსად ამოვიკითხეთ.

ბოლოს ისევ ვიქტორ სანიკიძესთან ვცადეთ სიტუაციაში გარკვევა. მან გვითხრა – მოეწყო კონკურსი სამქულიან ტყორცნებში, ჩატენვებში, ბარიერების გადალახვაში, მაგრამ მატჩი არ შემდგარაო.

თამაში მართლაც არ ჩატარებულა, რაც უმცენარო ტყეებს გვაგონებს, თუმცა მთავარი მაინც ისაა, რომ ზედიზედ მეორე წელია სანიკიძე ჩატენვების კონკურსში პირველობას არავის უთმობს. მან შარშან საქართველოში მოიპოვა ანალოგიური ჯილდო.

ესტონეთში ვიქტორმა მსუბუქი ილეთებით დაიწყო და რთულით დაასრულა. მას გამარჯვება ფეხებს შორის ბურთის გატარებამ და ეფექტიან ზემოდან გდებამ მოუტანა. მანამდე იყო ერთი უშედეგო, მაგრამ საინტერესო მცდელობა: გიორგი ცინცაძემ ბურთი იატაკიდან ასხლეტით ჩასატენად აუგდო, სანიკიძე ბუს კი გადაახტა, მაგრამ ბურთი ხელში ვერ შეიმაგრა და ცდა გაუცუდდა. სხვათა შორის, ფოტოზე სწორედ ეს ეპიზოდია აღბეჭდილი.

რაც შეეხება სამქულიანების კონკურსს, იქ ცინცაძემ 20 ქულა ჩააგდო. ეს გამარჯვებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა.

ვაჟა სიმონიშვილი



ამ ეპიზოდში ვიქტორ სანიკიძე გიორგი ცინცაძეს კი გაადაახტა, მაგრამ ბურთი ხელებში ველარ შეიმაგრა

ლელოელები და საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია თანაგრძნობას უცხადებენ კოლეგას, ცნობილ ჟურნალისტს პაატა ნაცვლიშვილს **დედის** გარდაცვალების გამო.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი თანაუგრძნობს სეოკის წევრს, ჟურნალისტ პაატა ნაცვლიშვილს **დედის** გარდაცვალების გამო.

იუბილარი

# დიდი ოსტატი

## ქართული ძიუდოს პატრიარქი 75 წლისაა

ავტორისაგან: შუაგულ ქართლში ოდითგან მოსდევთ ჭიდაობის სიყვარული. ნახერხმოყრილ არენაზე აქ არაერთი თაობა, არაერთი დიდი ფალავანი გაზრდილა. გურამ პაპიტაშვილიც ერთ-ერთი იმ ქართლელთაგანია, რომელსაც ჭიდაობა ბავშვობაშივე შეუყვარდა და მთელი ცხოვრებაა ამ სიყვარულს გულით ატარებს. დიდი ხანია ამავე სიყვარულით მოჭიდავეების, ნამდვილი გოლიათების აღმზრდელად იქცა. ქართული ძიუდოს პატრიარქად მოიხსენიებენ და სამართლიანადაც. ჩვენი ძიუდოს ცოცხალ მემატიანეს, პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე, რამდენიმე წელიწადია დიქტოფონ ან კალამმომარჯვებული დავდევ და მკითხველისთვის საინტერესო საკითხებზე ნაამბობს ვიწერ...

„*სოფელ კირბალში მაშინ ბავშვებს სხვა არაფერი გვქონდა გასართობი, გავდიოდით საჭიდაოზე ან სულაც მინდორზე და ვჭიდაობდით*" - იხსენებს ბატონი გურამი. ერთი კაცი ყოფილა კირბალში, მუნჯი, ჰყვარებია ბავშვების გაჯიბრება ჭიდაობაში და განსაკუთრებით პატარა გურამის ჟინიანობით იხიბლებოდა, თურმე. თანატოლთან პაექრობის დასრულებისას ხშირად ცერათითს ასწევდა და შეუქებდა ბიჭობას.



გურამ პაპიტაშვილი შეგირდებთან ერთად

გურამ პაპიტაშვილმა, როგორც მოჭიდავემ, მართალია, რამდენიმე არცთუ უმნიშვნელო შეჯიბრება მოიგო, მაგრამ ჩათვალა, რომ საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენას მწვრთნელის ამპლუაში უფრო შეძლებდა და 1956 წელს, გორის პედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრებისთანავე, დაიწყო კიდეც შეგირდების აღზრდა. თავიდან ბამბეულის კომბინატში ქართული ჭიდაობის სექციას ჩაუდგა სათავეში. იმავე წელს ქალაქის პირველობაზე, გარდამავალი თასის არაერთგზის მფლობელს, ინსტიტუტის გუნდს აჯობა. რექტორი, **გიორგი ხარაული** ჭიდაობაზე თავგადაკლული კაცი იყო. გამარჯვებული გუნდის მწვრთნელი თავისთან დაიბარა და უთხრა: „*ზარი ხომ იცი რაცაა? ჰოდა, ისე უნდა შემოვკრათ ზარს, რომ გორელთა წარმატებები მთელმა ქვეყანამ გაიგოს. შენ უნდა გააკეთო ეს!*"

გ. პაპიტაშვილი: „*საოცარი ეფექტი ჰქონდა ამ ლეგენდა კაცის სიტყვებს. დიდი სტიმული გვეძლეოდა, თორემ არ გეგონოთ, რომ განსაკუთრებული პირობები გვქონდა. უბრალოდ, ჟინი და მიზანსწრაფვა იყო უსაზღვრო.*"

ჯერ ინსტიტუტის შენობაშივე ერთი კუთხე შემოუღობეს მოჭიდავეებს. პირველი ტალანტი, ვინც ვარჯიში იქ დაიწყო **ანზორ ქიბროწაშვილი** იყო. ცოტა ხანში სასწავლებლის გარეთ გამონახეს ფართი. თუმცა, სახარბიელო პირობები არც იქ იყო. რამდენიმე ხნის შემდეგ, როცა გორელმა მოჭიდავეებმა სახელი უკვე საქვეყნოდ გაითქვეს, საქართველოში ერთ-ერთ ტურნირზე სამბოს ფუძემდებელი, მოსკოველი **ხარლამპიევი** ქართლს ეწვია. დაინტერესდა ენახა დარბაზი, სადაც პაპიტაშვილის ბიჭები ოსტატდებოდნენ. უხმოდ დაათვალიერა იქაურობა. ცოტა ხანში კი მოსკოვში საკავშირო სპორტკომიტეტში მწვრთნელთა შეკრებაზე ხმამაღლა განაცხადა: „*მე ვნახე გორის ჭიდაობის დარბაზი, რომელიც დარბაზს არც ჰგავს. ის უფრო სამჭედლოა. ეს კაცი კი (პაპიტაშვილისკენ მიუთითა) ნამდვილი მჭედელია ტალანტებისა*".

1960 წელს იმ ზარის ხმა, რომელზეც გორის ინსტიტუტის რექტორი ხარაული ოცნებობდა, მართლაც ქვეყანამ გაიგო.

გ. პაპიტაშვილი: „*1960 წელს სტუდენტთა საკავშირო უნივერსიადის შესარჩევ ეტაპზე 742 სასწავლებელთან ერთად გორის ინსტიტუტიც ჩაერთო. საქართველოს 12 უმაღლეს სასწავლებელს შორის ჩვენ გავიმარჯვეთ. ფინალურ ეტაპზე, ხარკოვში 17 რჩეული შეიკრიბა. მახსოვს, ასპარეზობის დაწყებამდე, გუნდების წარდგენისას ყურადღებასაც არ გვაქცევდნენ. სადღაც დარბაზის კუთხეში დაგვაყენეს. მაშინ გუნდს დასჭირდა და "შეთავსებით" მეც ვიჭიდავე. ყველასთვის მოულოდნელად გორის ინსტიტუტი საკავშირო ჩემპიონი გახდა.*"

საბჭოთა კავშირში ძიუდოს ათვისება 60-იანი წლების დასაწყისში გადაწყვიტეს. 1961 წლის დეკემბერში მოსკოვში სამბოს წამყვანი სპეციალისტები შეკრიბეს, მათ შორის, ცხადია, გურამ პაპიტაშვილიც იყო, გააცნეს ლიტერატურა, დიაგრამები, თვალსაჩინოება. 1962 წელს კიდევ რამდენჯერმე გაიმართა სემინარები და 13 მაისს საკავშირო ძიუდოს ნაკრები, რომლის შემადგენლობაშიც ორი ქართველი ანზორ ქიბროწაშვილი და **ანზორ კიკნაძე** ირიცხებოდნენ, გერმანიის ქალაქ ესენში ევროპის ჩემპიონატზე გაემგზავრა. იქ ჯერ ქვემძიმე წონაში ქიბროწაშვილი გახდა ჩემპიონი, ათ წუთში კი მძიმე წონაში - კიკნაძე. მწვრთნელის პირველი უდიდესი წარმატებაც სწორედ ქიბროწაშვილის გაჩემპიონება იყო. ბუნებრივია, ორი ოქროს მედალი დიდ მიღწევად შეფასდა. ძიუდოს ერთგვარი ბუმიც ამის მერე დაიწყო.

კონტინენტის ჩემპიონატის შემდეგ ძიუდოს საკავშირო ცენტრები შეირჩა. მათ შორის გამოყვეს გორი და პირველი ტატამიც იქ დაიგო. 1963 წელს თბილისში გასამართი საერთაშორისო ტურნირისთვის ტატამი სხვაგან არსად ჰქონდათ და სწორედ გორელებისგან ითხოვეს. გურამ პაპიტაშვილის შეგირდთა გამარჯვებები სულ უფრო პოპულარულს ხდიდა გორის ძიუდოს სკოლას. რასაკვირველია, პოპულარობა და აღიარება ემატებოდა შიდაქართლელ ფალავანთა მთავარ დამაოსტატებელსაც. ორ წელიწადში სტუდენტთა მსოფლიოს ჩემპიონატის წინ, რუს **ევგენი ჩუმაკოვს** ამტკიცებდნენ საკავშირო ნაკრების მწვრთნელად, მაგრამ თვითონ ჩუმაკოვმა თქვა: ვინაიდან ნაკრებში ძირითადად გორელები არიან, მწვრთნელიც პაპიტაშვილი უნდა იყოსო. ასეც მოხდა.

გორის ძიუდოს დარბაზებში მსურველთა რიცხვი განუხრელად იზრდებოდა. ვინაიდან გახშირდა სანაკრებო მივლინებები, საჭირო გახდა გორში ისეთი სპეციალისტის დაწინაურება, რომელიც მთავარი მწვრთნელის არყოფნაში ტალანტების ზრდის პროცესს არ შეაჩერებდა. ქართული ძიუდოს ერთ-ერთმა ფუძემდებელმა ასეთად **გივი ზაუტაშვილი** გამოარჩია. ეს არჩევანიც სწორი იყო. გორელები ნაკრებშიც ვაჟკაცობდნენ და ტალანტების რიცხვიც ზრდას განაგრძობდა.

პაპიტაშვილი გვერდით დაიყენა სსრკ-ის ძიუდოს პირველი ნაკრების მწვრთნელმა **ვლადლენ ანდრეევმაც**. ეს კაცი წერდა: „*ყველაზე უკეთ, მალე და ადვილად ქართველებმა მოირგეს კიმონო. სსრ კავშირის თითქმის ყველა უმაღლესი სასწავლებელი,. როგორც იტყვიან, ფეხით მაქვს შემოვლილი, მაგრამ, როცა საქართველოს და გორს ვესტუმრე, გამაოგნა გურამის ალღომ და შორს ხედვამ. ერთ პატარა, პედაგოგიური ინსტიტუტის ხელისგულისოდენა, თითქმის ყველა აუცილებელ პირობებს მოკლებულ დარბაზში იგი მხოლოდ ენთუზიაზმით შეუდგა ძიუდოს მწვერვალებისაკენ სავალი გზების დალაშქვრას. საბჭოთა კავშირის მთავარ ნაკრებში თავიდანვე ამინდი შექმნეს გორელმა ძიუდოისტებმა. თუ უფრო ნათლად ვიტყვით, მათ ძირითადი ადგილი ეკავათ ნაკრებში და ლაღად და ვაჟკაცურად გადაუარეს მსოფლიო ტატამს! გურამი ამისთვისაა დაბადებული.*"

როგორც ვთქვით, საბჭოთა კავშირიდან ევროპის პირველი ჩემპიონი გორელი ანზორ ქიბროწაშვილი იყო. პირველი ოლიმპიური ჩემპიონიც სსრ კავშირიდან ისევ ქართველი, გორელი და, რა თქმა უნდა, გურამ პაპიტაშვილის ერთ-ერთი ყველაზე საამაყო შეგირდი **შოთა ჩოჩიშვილი** გახდა მიუნხენის 1972 წლის ოლიმპიადაზე. კიდევ ერთი გორელი, ოლიმპიური პრიზიორი **თემურ ხუბულური** კი სსრ კავშირიდან პირველი იყო, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონობა ორჯერ მოიპოვა. სეულში ოლიმპადის ბრინჯაოს მედალს დაეუფლა **გიორგი თენაძე**.

საყოველთაოდ ცნობილია შოთა ჩოჩიშვილის საოლიმპიადო ბრძოლის ისტორია იაპონელ **სასახარასთან**. მწვრთნელის შეძახილით „კისრული" ჩაეტარებინა, შოთამ სასახარა იპონზე დასცა! ბატონი გურამი ერთ კურიოზსაც იხსენებს: „*შოთას შესანიშნავად ესმოდა მწვრთნელის კარნახი, რაც ყველას არ შეუძლია. ერთ-ერთი ჩემი მოსწავლე კარნახზე ცოტა მწყრალად იყო, ერთხელ შეჯიბრებისას მითითება მივეცი, საპასუხოდ კი მომხედა და მეკითხება: „რაა, მიხაილოვიჩ? აბა, მოწინააღმდეგე ამას აპატიებდა? მყისვე იპონზე დააგდო*".

ღვაწლმოსილი მწვრთნელის აღმზრდელობით პროცესში გამორჩეულ თვისებებზე ამახვილებს ყურადღებას მისი ერთ-ერთი შეგირდი, შიდა ქართლის ძიუდოს ფედერაციის ამჟამინდელი პრეზიდენტი **ბორის გოგიჩაიშვილი**: „*საერთოდ, ის მარტო ძიუდოს კი არ გვასწავლიდა, აწესრიგებდა ჩვენს პიროვნებას და გვამზადებდა ცხოვრებისთვის. მიუხედავად ჩვენი ასეთი მიღწევებისა, მეტს გვთხოვდა. ერთხელ დაგვაყენა რიგში მე, თემურ ხუბულური, **კობა კურტანიძე** და სხვები. ვდგავართ გარინდებულები. ბატონი გურამი იმ შეცდომებზე მიგვითითებს, რომელიც მანამდეც ჰქონდა ახსნილი და გაბრაზებული გვეუბნება: ლენინმა იცით რატომ თქვა სწავლა, სწავლა და სწავლა? ყველა თქვენნაირი დონის ეგონა, თორემ იტყოდა ერთხელ და დაამთავრებდაო.*"

წერილს ჩვენს ქვეყანაში ძიუდოს კიდევ ერთი ფუძემდებლის, **ბიძინა მაზიაშვილის** სიტყვებით დავამთავრებ: "*გურამ პაპიტაშვილმა მსოფლიო ორბიტაზე გაიტანა ქართული ნიჭი და შემართება!*"

დღეს, 15 აპრილს, ბატონ გურამს დაბადებიდან 75 წელი შეუსრულდა. ოთხი წლის წინათ გორში მისი სახელობის ძიუდოს დარბაზი გაიხსნა. ღვაწლმოსილი პედაგოგი ახლა უკვე ამ დარბაზში ემსახურება ქართულ ძიუდოს.

**ვასილ ბალახაძე**
**გორიდან**

ჩოგბურთი



კატო ლასარეიშვილი

# ვილსონი ბავშვებს აერთიანებს

თბილისში, **იან ჰომერის** სახელობის საჩოგბურთო კორტებზე ორშაბათს სტარტი აიღო ბავშვთა ტურნირმა კომპანია „ვილსონის" თასზე. ტურნირი ოთხ ასაკობრივ ჯგუფში იმართება: თბილისელმა გოგო-ბიჭებმა 10, 12, 14 და 16-წლამდელთა შორის უნდა გამოარჩიონ უძლიერესი. ტურნირი ტრადიციულია, მაგრამ გასულ წლებში მას კომპანია"პეჟო" პატრონობდა. „ვილსონმა" საკმაოდ საინტერესო პრიზები დააწესა. ამ ასაკში ფულადი პრიზები აკრძალულია, სანაცვლოდ მრავლადაა სხვადასხვა წამახალისებელი საჩუქრები: სპორტული ინვენტარით დაწყებული „ვილსონის" საფირმო მაღაზიებში სპეციალური ფასდაკლებების ბარათებით სარგებლობის უფლებით დამთავრებული. ბარათების ფასდაკლების პროცენტული მაჩვენებელი იზრდება ჩოგბურთელის მიერ დაკავებული ადგილის მიხედვით - უმცირესი 14 პროცენტია, გამარჯვებულისათვის კი 40 პროცენტამდე ადის; ბევრად არც მეორეადგილოსანი ჩამორჩება პირველოსანს... შეჯიბრებაში სულ 110 ჩოგბურთელი ჩაება, რაც მცირე არ არის, მაგრამ მაინც მეტს მოელოდნენ. მართალია, საქართველოს ლამის ყველა უძლიერესი ჩოგბურთელი ასპარეზობს, მაგრამ სპეციალისტებს უპრესტიჟულესი სახეობით ქართველთა დაინტერესების კლება აწუხებთ, რის გამოც მკვეთრად იკლო ჩოგბურთის შემსწავლელთა რაოდენობამ. სამწუხაროდ, ამჯერად რუსთაველთა გარდა სხვა რეგიონებიდან თბილისში ჩამოსვლა ვერავინ შეძლო. ამით ტურნირი არ კნინდება, რადგანაც ძირითადად მაინც თბილისელი სპორტსმენები ითვლებიან ლიდერებად.

ტურნირი აღდგომის წინადღეს დასრულდება.

**ზვიად შათირიშვილი**

# ველური ბარათი ოქრუაშვილს

20 წლის ჩოგბურთელმა **სოფიო ქვაცაბაიამ** (684) შეძლო ბელეკის (თურქეთი) საერთაშორისო ტურნირის (10 ათასი $) ძირითად ბადეში გაღწევა. ფინალურ საკვალიფიკაციო წრეში ჩვენებურმა, რომელიც მე-3 ნომრად იყო განთესილი, ესპანელი **ირენე სანტოს-ბრავო** (793) დაამარცხა სამ სეტში - 0:6, 6:3, 6:3. როგორც ხედავთ, პირველი სეტის „მშრალად" წაგების შემდეგ ცოტა თუ იფიქრებდა, რომ სოფიო გამარჯვებას შეძლებდა. ძირითად ტურნირში ქვაცაბაიას გარდა კიდევ ერთი ქართველია - **ეკა გორგოძე** (601). 17 წლის გორგოძე ფრანგ **ადელინ გონსალესს** (760) ეთამაშება, რომელიც საკვალიფიკაციო ტურნირის გამარჯვებულია. ეს თანატოლთა პირველი ოფიციალური დაპირისპირებაა. რაც შეეხება ქვაცაბაიას, მისი მეტოქე ესპანელი **ლუსია საინს-პელეგრია** (865). სოფიო მესამედ ხვდება ლუსიას, პირველ ორ ორთაბრძოლაში მან იმარჯვა. ქართველები წყვილთა თანრიგში არ ითამაშებენ, რაც წყვილების სპეციალისტად ცნობილ ქვაცაბაიას მხრიდან მოულოდნელი გადაწყვეტილებაა.

ფლორიდის შტატის ქალაქ ოსპრეიში იწყება ქალ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი, რომლის საპრიზო ფონდი 25 ათასი დოლარია. ამ შეჯიბრებაში „უაილდ ქარდი" მისცეს 18 წლის **მაგდა ოქრუაშვილს**, ურეიტინგო ჩოგბურთელს. ოქრუაშვილმა ყველაზე დიდ წარმატებას კარიერაში შარშან მაისში მიაღწია, როცა ინდოეთის ქალაქ კოშინის 10-ათასიანი ტურნირის ფინალში გაალწია. ჯერჯერობით უცნობია, თუ ვინ იქნება ოქრუაშვილის პირველი მეტოქე ოსპრეიში, ის, სავარაუდოდ, საკვალიფიკაციო წრიდან გამოსული ჩოგბურთელი იქნება.

იტალიის ქალაქ ჩივიტავეკიაში წარმატებით დაიწყო საერთაშორისო ტურნირში (25 ათასი $) ასპარეზობა **მაკა ჩახნაშვილმა** (218). მე-7 ნომრად განთესილმა ქართველმა პირველ წრეში საკვალიფიკაციო ბადის გამარჯვებული ავსტრალიელი **მარია მირკოვიჩი** (313) დაამარცხა - 6:4, 6:4. ამით მაკამ ავსტრალიის ღია პირველობის ტურნირში მარცხისთვის 19 წლის მირკოვიჩზე შური იძია. მერვედფინალში ჩახნაშვილს სერიოზული მეტოქე ელის, ბელარუსი **დარია კუსტოვა** (260). ჩახნაშვილი წყვილებშიც ასპარეზობს, სადაც იგი ფრანგ **ლაურა ტორპს** (388) შეუამხანაგდა. ეს დუეტი ჩივიტავეკიაში მე-3 ნომრით განთესეს.

უზბეკეთის ქალაქ ანდიჟანში ვაჟ ჩოგბურთელთა ტურნირში (15 ათასი $) პირველი დაპირისპირება მოიგო 17 წლის **ნიკოლოზ ბასილაშვილმა** (1013). ჩვენებურმა „უაილდ ქარდით" მიწვეულ უზბეკ **დიანიბეკ ორაზოლიევს** ორ სეტში მოუმთავრა საქმე - 7:5, 6:0. ნიკას შემდგომი მეტოქე რუსი **ანდრეი პლოტნია** (737), გამარჯვების შემთხვევაში ბასილაშვილი კარიერაში პირველად შეაღწევს საუკეთესო ათასეულში.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

სამთოთხილამურობა

# საფრანგეთის ჩემპიონობამდე ცოტა დააკლდა

**იასონ აბრამაშვილმა** ვალ ტორენში საფრანგეთის ჩემპიონატში იასპარეზა, 20 წლის ქართველ სამთო -მოთხილამურეს სულ ცოტა დააკლდა ამ ქვეყნის ჩემპიონის ტიტულის მოპოვებამდე. შეჯიბრება გიგანტურ სლალომში მოეწყო. ევროპაში ქვეყნის ჩემპიონატები ღიაა, ანუ მათში მონაწილეობა უცხოელებსაც შეუძლიათ. ასე რომ, საფრანგეთის ჩემპიონატში მონაწილეთა შორის ფრანგთა რიცხვი უცხოელებისას ჩამორჩებოდა. ორი დაშვების ჯამში იასონმა 2:04,41 წუთი შედეგით მეორე ადგილი დაიკავა. ჩემპიონი ბელგიელი სამთო- მოთხილამურე **ჟერონ ფანდენ ბოგაერტი** გახდა, მესამე ადგილიც ბელგიელს ხვდა წილად, **ფრედერიკ ფან ბუიდერს**. **კოტე ვახტანგიშვილმა** 22-ე შედეგი აჩვენა, **ვახტანგ თედიაშვილსა** და **ალექსი ბენიანიძეს** პირველივე ცდა გაუფუჭდათ. კიდევ სამი სტარტიც და სამთოსათხილამურო სეზონი ევროპაში დასრულდება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



იასონ აბრამაშვილი

## მილოცვები

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი დაბადებიდან 75 წელს ულოცავს ძიუდოსა და სამბოში ლეგენდარულ მწვრთნელს, ოლიმპიური, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონების აღმზრდელს, ღირსების მედლის კავალერს **გურამ პაპიტაშვილს**.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაბადებიდან საიუბილეო 75 წელს ულოცავს ძიუდოსა და სამბოში სახელოვან სპორტსმენთა, მათ შორის ძიუდოში ოლიმპიური ჩემპიონის შოთა ჩოჩიშვილის, პრიზიორების თემურ ხუბულურისა და გიორგი თენაძის აღმზრდელს, დამსახურებულ მწვრთნელს, ღირსეულ პიროვნებას **გურამ პაპიტაშვილს**.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი

# სმიტის 11 სამქულიანი

## ტურის მატჩი: დეტროიტი-ჩიკაგო

ტურის მატჩის პირველ მეოთხედში გუნდებმა საერთოდ დაივიწყეს დაცვითი თამაში. დღევანდელი „ჩიკაგო" ამ კომპონენტში დიდი წარმატებებით ისედაც ვერ დაიკვეხნის, „დეტროიტი" კი 21-ე საუკუნეში სწორედ ბრწყინვალე დაცვით არის განთქმული. 12 წუთის შემდეგ ანგარიში იყო 31:31, რაც „პისტონზისთვის" ცოტათი უცნაური გახლდათ.

მეორე მეოთხედში მასპინძელმა აქტიურობას უმატა და თითქოს, თამაში მოსალოდნელი და ლოგიკური სცენარით განვითარდა. „დეტროიტი" ბევრს ვერ აგდებდა, მაგრამ დაცვაში ხვრელები ამოავსო და დიდ შესვენებაზე სოლიდური უპირატესობით გავიდა - 56:48.


ჯეი არ სმიტი

მეორე ნახევარი **ტაიშონ პრინსმა** სამქულიანით გახსნა და „პისტონზის" უპირატესობა 11 ქულამდე ავიდა. წესით, მასპინძლების გაქცევა უნდა გაგრძელებულიყო, მაგრამ „დეტროიტმა" უკვე მერამდენედ მოახერხა შეხვედრის ფინალური ნაწილის ნერვულ დაძაბულობამდე მიყვანა.

არადა, დეტროიტელებს მოგების მეტი შანსი ჰქონდათ. საფინალო სირენამდე ხუთი წუთით ადრე, მასპინძლები 85:79-ს იგებდნენ, მაგრამ **რიჩარდ ჰემილტონს** შეტევაში დაუფარეს და იქვე პრინსმაც დაკარგა ბურთი. სირენამდე ორი წუთით ადრე, როცა „პისტონზი" სამი ქულით იყო წინ, იმავე ჰემილტონმა საჯარიმო ვერ გამოიყენა, შემდეგ კი გადაცემისას ბურთი მოედნის მიღმა გაუშვა. ეს უაზრო შეცდომები კარგად გამოიყენეს **დერიკ როუზმა** და **ბენ გორდონმა**, რომლებიც ფარქვეშ შესანიშნავად შეძვრნენ და ზედიზედ ოთხი ქულა მოუტანეს „ჩიკაგოს". მათ წინ გაიყვანეს თავიანთი გუნდი და თან **რაშიდ უოლასსა** და **ანტონიო მაკდაესს** შეტევაში შეუშალეს ხელი. საბოლოოდ, 88:91 და „ჩიკაგო" კიდევ იბრძოლებს უკეთესი სატურნირო მდგომარეობისთვის, „დეტროიტი" კი განწირულია იმისთვის, რომ პლეი ოფის პირველ წრეში აღმოსავლეთი კონფერენციის საუკეთესო გუნდს „კლივლენდ კავალიერზს" შეხვდეს.

## ტურის რიცხვი: 66

თავად **ლებრონ ჯეიმსი** და მისი „კლივლენდი" მოდუნებას არ აპირებს. „ინდიანა პეისერსის" სტუმრად დამარცხებით, ამ გუნდმა რეგულარულ ჩემპიონატში პირველი ადგილი გაინაღდა, რაც საკუთარი მოედნის უპირატესობას აძლევს პლეი ოფის ყველა რაუნდში, მათ შორის მთავარ ფინალში. „კლივლენდისთვის" ამ უპირატესობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ვისაც არ ახსოვს, ვეტყვით, რომ „კავალიერზმა" წლევანდელ რეგულარულში შინ 40 მატჩი ჩაატარა და 39 (!) მოიგო.

## ტურის გმირი: ჯეი არ სმიტი

ამ კალათბურთელმა გუშინ 45 ქულა დააგროვა. თანაც, 11 (!) სამქულიანი ჩააგდო „საკრამენტოს" კალათში. კიდევ ერთი შორეული ტყორცნა რომ ჩაეგდო, **კობი ბრაიანტისა** და **დონიელ მარშალის** რეკორდს გაიმეორებდა, მაგრამ ბოლო შეტევაში **სმიტმა** ყურადღება არ მიაქცია გულშემატკივრების თხოვნას და უბრალოდ საფინალო სირენამდე გაათამაშა ბურთი - საკალათბურთო ეთიკა დაიცვა. თუმცა სმიტმა ის მაინც მოახერხა, რომ 11 ზუსტი სამქულიანით საკლუბო რეკორდი დაამყარა.

## ტურის ფრაზა

*„დღეს ყველანაირი შეცდომა დავუშვით და თან მოედანზე საერთოდ არ ვფიქრობდით"*, - განაცხადა „ვაშინგტონ უიზარდსის" მთავარმა მწვრთნელმა **ედ ტეპსკოტმა** „ტორონტოსთან" წაგების შემდეგ. არ ღირს დაწვრილებით იმის მოყოლა, როგორ არ იღებდნენ დედაქალაქელები ტაიმაუტებს, უაზროდ მიდიოდნენ შეტევაში, თავს არ იცავდნენ პერიმეტრზე... 5 ციფრის მოყვანაც საკმარისია: ექვსი წუთით ადრე „ვაშინგტონი" 13 ქულით იგებდა - 93:80. და... 96:97 წააგო.

## კვირის მოთამაშეები

„ჩიკაგო ბულზის" მცველი **ბენ გორდონი** და „პორტლენდ თრეილ ბლეიზერსის" გამთამაშებელი **ბრენდონ როი** გასული კვირის საუკეთესო მოთამაშეებად დასახელდნენ.

აღმოსავლეთი კონფერენციის ლაურეატმა გორდონმა თავის გუნდს სამიდან სამ მატჩში მოაგებინა. ის საშუალოდ მატჩში 26.7 ქულას აგროვებდა, აგრეთვე 50 პროცენტზე მაღალი სიზუსტით ასრულება სამქულიანებს.

დასავლეთში საუკეთესო ბრენდონ როიმ თავის გუნდს ოთხიდან ოთხ მატჩში გაამარჯვებინა, მათ შორის დასავლეთი კონფერენციის ლიდერ „ლეიკერსზე". მცველის ანგარიშზე 22.3 ქულა, 5.5 შედეგიანი პასი, 3.3 მოხსნა და 1.5 ჩაჭრა მოდის.

**ინდიანა-კლივლენდი 109:117**
27:26, 20:34, 37:31, 25:26
ი: გრეინჯერი (38), ბ. რაში (27), მერფი (17+13 მოხსნა+3 ჩაჭრა), ფორდი (10).
კ: ლ. ჯეიმსი (37), დ. უესტი (20+3 ჩაჭრა), მ. უილიამსი (18+8 პასი), ილგაუსკასი (16+10 მოხსნა), ვარეჟაო (7+11 მოხსნა+4 ჩაჭრა).

**ვაშინგტონი-ტორონტო 96:97**
23:31, 30:22, 27:19, 16:25
ვ: კ. ბატლერი (28+9 მოხსნა+3 ჩაჭრა), ჯეიმისონი (23+7 მოხსნა), მაკგი (10+7 მოხსნა).
ტ: ბოში (25+15 მოხსნა), მერიონი (25+15 მოხსნა), მენსა ბონსუ (9+12 მოხსნა+5 ჩაჭრა), კალდერონი (4+12 პასი+3 ჩაჭრა).

**დეტროიტი-ჩიკაგო 88:91**
31:31, 25:17, 19:21, 13:22
დ: ჰემილტონი (25), პრინსი (19), სტაკი (16+7 მოხსნა+9 პასი), რ. უოლასი (11+9 მოხსნა), მაკდაესი (7+10 მოხსნა+3 დაფარება).
ჩ: დ. როუზი (24+8 პასი), ბ. გორდონი (19), ტ. ტომასი (13+8 მოხსნა), ნოა (11+13 მოხსნა), ბ. მილერი (10).

**ნიუ ჯერსი-შარლოტი 91:87**
20:25, 28:21, 19:26, 24:15
ნ-ჯ: ბ. ლოპესი (18+20 მოხსნა), ვ. კარტერი (17+4 დაფარება), ჯ. ჰეიესი (15), დ. ჰარისი (11), ბ. სიმონსი (10).
შ: ფელტონი (19), დიაო (13), ჯ. უოლასი (11).

**მილუოკი-ორლანდო 98:80**
18:24, 32:19, 21:17, 27:20
მ: რ. ჯეფერსონი (24+7 პასი), სეშენსი (19+8 მოხსნა+7 პასი), ვილანუევა (18+7 მოხსნა), ალექსანდერი (11).
ო: კ. ლი (17), ბეტი (13), ელსტონი (11+4 ჩაჭრა), გორტატი (10+18 მოხსნა), ფოილი (10+9 მოხსნა).

**დალასი-მინესოტა 96:94**
26:18, 14:25, 28:31, 28:20
დ: ნოვიცკი (34+9 მოხსნა), ტერი (22), ბარეა (12+3 ჩაჭრა), დამპიე (6+13 მოხსნა).
მ: კ. სმიტი (24+8 მოხსნა), მ. მილერი (18+10 მოხსნა+9 პასი), ტელფეირი (14+12 პასი), ლავი (10+11 მოხსნა).

**ჰიუსტონი-ნიუ ორლეანი 86:66**
19:22, 28:13, 20:11, 19:20
ჰ: იაო მინი (22+7 მოხსნა), ბატიე (10), ვაფერი (13), ლენდრი (10+7 მოხსნა), სკოლა (8+15 მოხსნა).
ნ-ო: დ. უესტი (14+10 მოხსნა), პოუზი (12), მარქსი (10).

**დენვერი-საკრამენტო 118:98**
25:33, 37:25, 24:21, 32:19
დ: სმიტი (45), ენტონი (21+9 მოხსნა+9 პასი+3 ჩაჭრა), კლეიზა (17+7 მოხსნა), მარტინი (13+3 ჩაჭრა), ნენე (13), კ. ანდერსენი (1+10 მოხსნა+5 დაფარება).
ს: დიოგუ (32+11 მოხსნა), ბ. ჯექსონი (18+12 პასი), გარსია (14+3 ჩაჭრა), ტომპსონი (13+9 მოხსნა), ნოჩიონი (10+9 მოხსნა).

**იუტა-კლიპერსი 106:85**
30:17, 26:26, 27:21, 23:21
ი: ბუზერი (20+13 მოხსნა), მილსეპი (19+11 მოხსნა), კირილენკო (17), დ. უილიამსი (17+9 პასი), ოქური (12).
კ: კემბი (17+10 მოხსნა+3 ჩაჭრა), ე. გორდონი (16), დ. ჯორდანი (16+11 მოხსნა+3 ჩაჭრა+3 დაფარება), კამანი (12+7 მოხსნა).

**ფინიქსი-მემფისი 119:110**
32:25, 27:32, 27:27, 33:26
ფ: შ. ო'ნილი (19+4 ჩაჭრა), ნეში (18+12 პასი), ჯ. რიჩარდსონი (18+8 მოხსნა), რ. ლოპესი (14), ჰილი (14+8 მოხსნა), ბარნსი (12), ბარბოზა (10).
მ: უორიკი (26+9 მოხსნა), გეი (26), მაიო (20), მ. გასოლი (13), კონლი (12+6 პასი+7 ჩაჭრა).

**პორტლენდი-ოკლაჰომა 113:83**
29:15, 33:16, 23:24, 28:28
პ: აუთლო (21), როი (20), ოდენი (16+9 მოხსნა), ფერნანდესი (14), ფრაი (11), პრზიბილა (5+12 მოხსნა).
ო: უოტსონი (16), უესტბრუკი (15+7 პასი+3 ჩაჭრა), კრსტიჩი (11+7 მოხსნა), დურანტი (10).

**გ. სტეიტი-სან ანტონიო 72:101**
24:29, 14:28, 13:24, 21:20
გ-ს: ე. რენდოლფი (24+16 მოხსნა+4 ჩაჭრა), უოტსონი (18), მოროუ (10+8 მოხსნა).
ს-ა: გუდენი (20+15 მოხსნა), ტ. პარკერი (17), დანკანი (16+13 მოხსნა), რ. მეისონი (14), ჰილი (13).

# დიდი ბენი პლეი ოფს გამოტოვებს?

დიდია ალბათობა იმისა, რომ „კლივლენდ კავალიერზის" ფორვარდმა **ბენ უოლასმა** პლეი ოფში ვერ ითამაშოს. ლიგის ერთ-ერთმა საუკეთესო მცველმა ორი დღის წინ, „ბოსტონთან" მატჩში მიიღო ტრავმა და მეორე მეოთხედის შემდეგ არ გამოჩენილა მოედანზე.

თავიდან ექიმები ვარაუდობდნენ, რომ უოლასს უბრალოდ ფეხი ჰქონდა დაჟეჟილი, მაგრამ გამოკვლევამ აჩვენა, რომ ტრავმა გაცილებით სერიოზულია და არ არის გამორიცხული, ვეტერანმა თავისი გუნდისთვის პლეი ოფში დახმარების გაწევა ვერ შეძლოს.

უოლასმა ცოტა ხნის წინ, 17 მატჩი გამოტოვა მარჯვენა ფეხის მოტეხილობის გამო. ის ფარქვეშ ბრძოლაში „კლივლენდის" ერთ-ერთი საუკეთესო კალათბურთელია. წელს მის ანგარიშზე 3.0 ქულა, 6.5 მოხსნა და 1.3 დაფარება მოდის.

# ნეტსი კარტერს არ გაუშვებს

„ნიუ იორკ დეილი ნიუსის" ინფორმაციით, „ნიუ ჯერსი ნეტსის" ხელმძღვანელობა არ აპირებს ამ ზაფხულს თავისი ლიდერის - **ვინს კარტერის** სხვა გუნდში გაშვებას. ვეტერან კალათბურთელს კონტრაქტით კიდევ ორი წელი აკავშირებს „ნეტსთან", რომლის განმავლობაშიც 34 მილიონ დოლარს მიიღებს.

კლუბის წარმომადგენლის სიტყვებით, კარტერს სხვა გუნდს იმ შემთხვევაში გაუცვლიან, თუ მის ნაცვლად განსაკუთრებული სტატისტიკური მაჩვენებლების მქონე კალათბურთელს შესთავაზებენ. „ნიუ ჯერსის" შეფობა ვინსის ერთგულებასაც აფასებს, რადგან მცველს არასოდეს მოუთხოვია სხვაგან გაშვება იმ დროსაც კი, როცა „ნეტსი" ღრმა კრიზისში იყო.

ამ სეზონში NBA-ის ვარსკვლავის სტატისტიკა 20.8 ქულას, 5.1 მოხსნასა და 4.7 შედეგიან გადაცემას უდრის.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი


რობერტო ლუონგო

# ფანტასტიკური ლუონგო

ჰოკეის ეროვნული ლიგის ხელმძღვანელობამ გასული კვირის პირველ ვარსკვლავად „ვანკუვერ კენაქსის" მეკარე **რობერტო ლუონგო** დაასახელა. ამ გოლკიპერმა სამ მატჩში მიიღო მონაწილეობა და 89 დარტყმიდან 88 მოიგერია. ამის წყალობით, კანადურმა კლუბმა ჩრდილო-დასავლეთ დივიზიონში პირველი ადგილი დაიკავა და დასავლეთი კონფერენციის მესამე გუნდი გახდა. სულ ლუონგომ რეგულარულში 54 მატჩი ჩაატარა, 33 მოიგო, 9 „შათაუთი" შეასრულა და საშუალოდ 2.34 შაიბა გაუშვა.

მეორე ვარსკვლავიც მეკარეა - „სენტ ლუის ბლუზის" წევრი **კრის მეისონი**, რომელმაც სამ მატჩში 72 „სეივი" შეასრულა და თავის გუნდს ბოლო ხუთ წელიწადში პირველად, პლეი ოფის საგზური მოაპოვებინა. მეისონი 2009 წელს ჩატარებულ მატჩებში ლიგის ლიდერია გამარჯვებებისა და საშუალოდ შეხვედრაში გაშვებული გოლების (2.08) რაოდენობით.

მესამე ვარსკვლავი გახდა „ბოსტონ ბრუინზის" მარჯვენა ფრთა **ფილ კესელი**. მის ანგარიშზე ხუთი გოლი და ერთი შედეგიანი პასი მოდის.

მსოფლიოს ჩემპიონატის წინ

# კანადა ახალ თაობას ირჩევს

კანადის ნაკრების ხელმძღვანელობამ მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატისთვის შემადგენლობის დაკომპლექტება დაიწყო. უკვე ცნობილია 19 ჰოკეისტის ვინაობა, რომლებიც ცოტა ხანში შვეიცარიაში გაემგზავრებიან.

ეროვნული გუნდიდან მიწვევა შემდეგმა მოთამაშეებმა მიიღეს:

**მეკარეები** - დუეინ როლოსონი („ედმონტონი"), ჯოშ ჰარდინგი („მინესოტა");

**მცველები** - დრიუ დაუტი („ლოს ანჯელესი"), ლუკ შენი, იან უაიტი (ორივე - „ტორონტო"), კრის ფილიპსი („ოტავა"), დენ ჰამჰუისი, ში უებერი (ორივე - „ნეშვილი");

**თავდამსხმელები** - სტივენ სტემკოსი, მარტინ სენტ ლუისი (ორივე - „ტამპა ბეი"), შეინ დოუნი, მეტიუ ლომბარდი (ორივე - „ფინიქსი"), დენი ჰიტლი, ჯეისონ სპეცა, მაიკ ფიშერი (ყველა - „ოტავა"), ჯეინ ჰორკოფი („ედმონტონი"), დერეკ როი („ბაფალო"), ჯეიმს ნილი („დალასი") და კოლბი არმსტრონგი („ატლანტა").

ბევრს გაუკვირდა შემადგენლობაში ახალგაზრდა ჰოკეისტების - **სტემკოსის, დაუტისა** და **შენის** მოხვედრა. ეს ის ჰოკეისტები არიან, რომლებიც 2008 წლის დრაფტზე პირველ ხუთეულში მოხვდნენ და შარშან, კანადის იუნიორთა ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატი მოაგებინეს. თუმცა კანადის ნაკრების გენერალური მენეჯერი **დუგ არმსტრონგი** დარწმუნებულია, რომ ამ მოთამაშეებმა დაიმსახურეს მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში.

*„თუ ამ ჰოკეისტების ასაკს ყურადღებას არ მივაქცევთ, თავისუფლად შეიძლება იმის თქმა, რომ მათ თავიანთი თამაშით დაიმსახურეს შვეიცარიაში გამგზავრება. ჩემი აზრით, კარგ შემადგენლობას ვუყრით თავს, სადაც ზუსტად არიან შერწყმული ახალგაზრდა და ვეტერანი ჰოკეისტები"*, - აცხადებს არმსტრონგი.

■ ■ ■

თანდათან იკვეთება ჩეხეთის ნაკრების შემადგენლობა. როგორც ერთ-ერთ წინა ნომერში ვწერდით, ჩეხეთის ნაკრებს შვეიცარიაში ლეგენდარული **იარომირ იაგრი** წარუძღვება. გარდა ამისა, ეროვნულ გუნდში თამაშზე თანხმობა განაცხადეს „ფლორიდა პანტერზის" ფორვარდებმა - **მიხაელ ფროლიკმა** და **როსტისლავ ოლეშმა**.

თუმცა ჩეხებს სერიოზული დანაკლისი აქვთ - მსოფლიოზე არ ითამაშებს იმავე „ფლორიდას" ძირითადი მეკარე **ტომაშ ვოკოუნი**.

■ ■ ■

ორი წამყვანი ჰოკეისტი დააკლდება ამერიკის ნაკრებს. პირადი მოსაზრებებით მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშს არ აპირებს მეკარე **კრეიგ ანდერსონი** („ფლორიდა"). ვარაუდობენ, რომ შვეიცარიაში არც ფორვარდი **დევიდ ბუტი** ჩავა. ფლორიდელი ჰოკეისტი ამ ზაფხულს თავისუფალი აგენტი ხდება და შიშობს - თუ ჩემპიონატზე ტრავმას მიიღებს, ეს სარფიანი კონტრაქტის გაფორმებაში ხელს შეუშლის.

კრივი

# 30 მაისი: ვალუევი–ჩაგაევი

სუპერმძიმე წონაში კიდევ ერთი საინტერესო ბრძოლა დაინიშნა. 30 მაისს გაირკვევა WBA-ის ვერსიით მსოფლიოს სრულფასოვანი ჩემპიონი. რუსი გიგანტი **ნიკოლაი ვალუევი** ყაზახ **რუსლან ჩაგაევს** შეხვდება.

ამ ბრძოლის ორგანიზებაზე ტენდერი ესპანეთის ქალაქ ვიტორიაში ჩატარდა და ის ვალუევის მენეჯერმა **ვილფრიდ ზაუერლანდმა** მოიგო, რომელმაც ამ საქმისთვის თითქმის სამი მილიონი დოლარი გამოყო.

შეგახსენებთ, რომ ეს მოკრივეები ერთხელ უკვე შეხვდნენ ერთმანეთს. 2007 წლის აპრილში, ჩაგაევმა მსაჯების ერთსულოვანი გადაწყვეტილებით მოუგო რუს მოკრივეს და მას WBA-ის ტიტული ჩამოართვა.

ჯერჯერობით უცნობია ბრძოლის ჩატარების ადგილი. ყველაზე რეალურ ვარიანტად ფინეთის დედაქალაქი ჰელსინკი სახელდება, თუმცა ჩხუბის ორგანიზატორებს ალტერნატიული ვარიანტებიც აქვთ გერმანული ქალაქების - ნიურნბერგისა და ჰალეს სახით.



ბიათლონი

# ოლე სოჭის შემდეგ წავა



ოლე ეინარ ბიორნდალენი

ლეგენდარულმა ნორვეგიელმა ბიათლონისტმა **ოლე ეინარ ბიორნდალენმა** განაცხადა, რომ კარიერას 2014 წლის ოლიმპიადის შემდეგ დაასრულებს.

*„სოჭში გამოსვლას ვაპირებ. იმ დროისთვის 40 წლის ვიქნები. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ აქტიურ სპორტს 12 წლიდან მივდევ, შეიძლება ჩაითვალოს, რომ ბიატლონის წინაშე ვალი სრულად მოხდილი მექნება.*

*სპორტიდან წასვლის შემდეგ, საკუთარ თავს მთლიანად ოჯახს მივუძღვნი. მოვა დრო, როცა სპორტის გარდა სხვა საქმეებიც დამაინტერესებს. ვარჯიშებს გავაგრძელებ, მაგრამ მძიმე ტურნირებისგან და ყოველდღიური დაძაბულობისგან დავისვენებ.*

*მეუღლესთან ერთად პატარა საცხენოსნო ფერმის გაშენებას ვაპირებ. ნატალი ამ ცხოველით დიდი ხანია გატაცებულია და ალმერთებს ცხენოსნობას. მე სოფელში ვარ გაზრდილი და ასევე მიყვარს ცხოველები, მათ ბავშვობიდან შევეჩვიე“*, - ამბობს ტიტულოვანი ნორვეგიელი.

კითხვაზე, უნდა ველოდოთ თუ არა ორი ათეული წლის მერე ბიატლონში ახალი ბიორნადელენების გამოჩენას, ოლე ეინარმა უპასუხა: *„ვფიქრობ, მე და ნატალის რამდენიმე პატარა გნომი გვეყოლება. ბავშვები - ეს ის არის, რისკენაც ცხოვრებაში ყველა უნდა ესწრაფოდეს“.*

საცხოვრებლად რომელ ადგილს აირჩევს ბიორნდალენი (მისი მეუღლე იტალიელია) და რომელ ქვეყანას წარმოადგენენ მისი „გნომები“, ამის შესახებ ბიატლონისტს გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია.

*„დედამიწაზე ბევრი ლამაზი ადგილია და ამაზე სერიოზული დაფიქრება გვმართებს. შესანიშნავად ვცხოვრობთ იტალიაში, მაგრამ ამავდროულად, მყარი კავშირები გვაქვს ნორვეგიასთან, ამიტომაც, არჩევანის გაკეთება არც ისე იოლია“*, - განაცხადა ოლენ ეინარმა რადიო NRK-ისთვის მიცემულ ინტერვიუში.

მძლეოსნობა

# ათენის გმირი სარბენ ბილიკს უბრუნდება

110 მეტრზე თარჯრბენში ათენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა **ლიუ სიანმა** დიდი სპორტიდან წასვლა გადაიფიქრა. საუკეთესო ჩინელი მძლეოსანი ამ სეზონში აპირებს სარბენ ბილიკზე დაბრუნებას. შეგახსენებთ, ფეხის ტრავმამ ლიუ სიანს პეკინის ოლიმპიადა გამოატოვებინა და ამ დაზიანების გამო, ცოტა ხნის წინ, აქტიური სპორტიდან წასვლა ჰქონდა განზრახული.

*„მირჩევნია, რაც შეიძლება მალე დავუბრუნდე ტურნირებს, მაგრამ კონკრეტული ვადის თქმა არ შემიძლია. ვფიქრობ, ამ სეზონში შევძლებ სარბენ ბილიკზე გასვლას, რადგან ფეხი თითქმის ალარ მაწუხებს“*, - აღნიშნა სიანმა.

ჩინელმა დეკემბერში ამერიკაში გაიკეთა ფეხის ოპერაცია, სარეაბილიტაციო კურსიც იქ გაიარა და მარტში დაბრუნდა სამშობლოში.

*„ახლა თავს გაცილებით უკეთ ვგრძნობ და ერთი სული მაქვს, როდის მომცემენ ექიმები სრული დატვირთვით ვარჯიშის უფლებას“*, - ამბობს 2004 წლის საუკეთესო მძლეოსანი.

უკვე გარკვეულია, რომ ლიუ სიანი ბერლინში გასამართ მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობას არ მიიღებს, თუმცა ჩინელი გერმანიის დედაქალაქში მაყურებლის სტატუსით ჩავა და იქ თანამემამულეებს გაამხნევებს.



ლიუ სიანი

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **იტალია** | |
| **სერია B** | |
| ასკოლი-აველინო | 1:1 |
| **გერმანია** | |
| **III ბუნდესლიგა** | |
| აალენი-ემდენი | 0:0 |
| **დანია** | |
| ესბერგი-ნორდსილანდი | 1:2 |
| **ნორვეგია** | |
| ფრედრიკსტადი-სტაბეკი | 0:1 |
| **II დივიზიონი** | |
| ჰამ კამი-ალტა | 7:0 |
| **შვედეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| სირიუსი-ლიუნგსკილე | 2:2 |
| **სლოვაკეთი** | |
| რუჟემბეროკი-ტრნავა | 1:0 |
| **უნგრეთის თასი** | |
| დიორი-მტკ | 2:1 |
| **რუმინეთის თასი** | |
| კლუჟი-პანდური | 1:0 |
| უნირეა-ვასლუი | 0:2 |
| **ჩრ. ირლანდია** | |
| ბალიმენა-ნიური | 0:4 |
| გლენავონი-დუნგანონი | 3:1 |
| ინსტიტუტი-ბანგორი | 4:0 |
| კოლრეინი-ლინფილდი | 1:2 |
| კრუზეიდერსი-გლენტორანი | 0:1 |
| ლისბურნი-კლიფტონვილი | 1:1 |
| **ჰოკეი** | |
| **ფინეთი** | |
| კერპეტი-იუვიასკიულა | 2:5 |

| ჩოგბურთი | |
|---|---|
| **ATP. მონტე კარლო** | |
| პერდიხი-ფონინი | 6:1, 3:6, 3:6 |
| მონფილსი-ტიპსარევიჩი | 3:6, 1:6 |
| ალმაგრო-მონტანიესი | 6:7, 6:4, 6:7 |
| ნალბანდიანი-მატიო | 6:4, 3:6, 6:3 |
| სიმონი-ბეკი | 5:7, 1:6 |
| ანდრეევი-ვასალო არგელო | 6:2, 6:7, 2:6 |
| მიურეი-ჰანესკუ | 6:3, 6:2 |
| ფერერი-ლოპესი | 6:2, 6:3 |
| რობრედო-მონაკო | 2:6, 4:6 |
| ჯოკოვიჩი-ერნანდესი | 6:1, 6:2 |
| სერა-კარლოვიჩი | 4:6, 4:6 |
| ჰიუიტი-საფინი | 4:6, 5:7 |
| **WTA. ბარსელონა** | |
| ვაიდიშოვა-სავრანსკა | 6:2, 6:4 |
| გრონეფელდი-ბრემონი | 6:7, 2:6 |
| კანეპი-ზეჩ პესკრიჩი | 6:3, 2:6, 4:6 |
| სკიავონი-დომინგეს ლინო | 7:6, 6:4 |
| კირსტეა-იაკომოვა | 6:7, 6:7 |
| კირილენკო-პინი | 6:2, 6:0 |
| ლაგოსტერა ვივესი-მალეკი | 3:6, 6:3, 1:6 |
| ლუა-იუგიჩი | 7:6, 3:6, 6:2 |
| მარტინეს სანჩესი-ფლიპკენსი | 6:2, 6:2 |
| სუარეს ნავარო-კაბეზა | 6:2, 6:0 |
| **WTA. ჩარლსტონი** | |
| დუბუა-ო'ბრაიენი | 4:6, 6:2, 6:1 |
| კორიტცევა-კუტუზოვა | 1:6, 1:6 |
| ლისიცკი-პელეტიე | 7:5, 6:4 |
| მატეკი-დუკე მარინო | 7:6, 7:5 |
| სტრიუკოვა-პერი | 5:7, 1:6 |
| ვესნინა-როდინა | 6:0, 6:2 |
| ვოზნიაკი-სპირსი | 6:3, 4:6, 6:0 |
| ზვონარევა-დე ლოს რიოსი | 6:3, 6:2 |
| მირზა-კარატანჩევა | 6:4, 6:4 |
| ჰაინესი-კუდრიავცევა | 4:6, 7:5, 0:6 |
| ამანმურადოვა-სტივენსონი | 6:2, 6:4 |
| ბარტოლი-სევასტოვა | 6:1, 6:3 |
| ციბულკოვა-პაშეკი | 6:4, 6:0 |
| პეტროვა-მეირი | 6:1, 2:6, 6:2 |

TV პროგრამა

### 15 აპრილი. ოთხშაბათი

**რუსთავი 2**

**22:40** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. პორტუ-მანჩესტერ იუნ (LIVE).
**01:00** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. არსენალი-ვილიარეალი.

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

**10:00** ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. ბაიერნი-ბარსელონა.
**12:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**12:20** ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. ჩელსი-ლივერპული.
**14:15** ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. ბაიერნი-ბარსელონა.
**16:10** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**16:25** საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**17:25** ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
**18:10** გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**19:10** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**19:30** არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**20:30** ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. ჩელსი-ლივერპული.
**22:30** ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. პორტუ-მანჩესტერ იუნ (LIVE).
**00:40** ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. არსენალი-ვილიარეალი.
**02:45** ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. პორტუ-მანჩესტერ იუნ.
**04:45** ლიბერტადორესის თასი. ჯგუფური ტურნირი. ინდეპენდიენტე მედელინი (კოლუმბია)-სან პაულუ (ბრაზილია) (LIVE).

**НТВ-პლუსი (ონლაინი)**

**10:00** სპორტული დილა.
**10:45** ფიგურული სრიალი. გრანპრი. რუსეთი.
**12:45** ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატი(იუნიორები). კანადა-შვედეთი. აშშ.
**14:45** სპორტული დღე.
**15:30** ფიგურული სრიალი. გრანპრი. რუსეთი.
**16:50** კალათბურთი. კვირა NBA-ში.
**17:35** ყინულზე ცოცვა. რუსეთის ჩემპიონატი. რუსეთი.
**18:15** ახალი ამბები.
**1..45** ფეხბურთი. რუსეთის თასი. 1/4 ფინალი. რუბინი-სიბირი (LIVE).
**21:00** ცხენოსნობა. კონკური. რუსეთის ჩემპიონატი.
**22:00** სპორტული საღამო.
**22:30** ფიგურული სრიალი. GOLDEN SKATE AWARDS 2008.
**23:30** ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატი(იუნიორები). აშშ-რუსეთი. აშშ.
**01:30** ახალი ამბები.
**01:40** წყალბურთი. ტელეჟურნალი.
**02:10** ყინულზე ცოცვა. რუსეთის ჩემპიონატი. რუსეთი.
**02:50** ახალი ამბები.
**03:00** ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. 1/8 ფინალი (LIVE).
**05:30** ახალი ამბები.

**EUROSPORT**

**10:30** ტრიატლონი. სამხრეთ აფრიკა.
**11:00** ექსტრემალური სპორტი.
**11:15** ფიგურული სრიალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. საჩვენებელი გამოსვლები. ლოს ანჯელესი. აშშ.
**13:00** სნუკერი. მასტერსი. ფინალი. ლონდონი. ბრიტანეთი.
**15:00** ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. კაცები. +105 კგ. რუმინეთი.
**16:00** ველოსპორტი. თურქეთის ტური. IV ეტაპი (LIVE).
**18:00** სნუკერი. დიდების დარბაზი.
**19:00** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/4 ფინალი. პირველი მატჩი. ჰამბურგი-მანჩესტერ სიტი.
**20:00** ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
**20:15** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. პირველი მატჩი. ბარსელონა-ბაიერნი.
**21:15** ფიგურული სრიალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. საჩვენებელი გამოსვლები. ლოს ანჯელესი. აშშ.
**22:15** სპორტული კურორტი. ტელეჟურნალი.
**22:25** ოლიმპიური თამაშები. ტელეჟურნალი.
**22:55** მულტისპორტი.
**23:00** ცხენოსნობა. ახალი ამბები.
**23:05** გოლფი. მასტერსი. აშშ.
**00:05** გოლფი. US PGA-ის ტური.
**01:05** გოლფი. ევროპის ტური. ევროპის ლია. ირლანდია.
**01:35** გოლფ-კლუბი.
**01:40** აფროსნობა. იახტ-კლუბი.
**01:50** მულტისპორტი.
**02:00** სპორტული ცეკვები. საჩვენებელი გამოსვლები. მონაკო.

**EUROSPORT-2**

**10:00** ახალი ამბები.
**12:00** ავსტრალიური ფეხბურთი. ტელეჟურნალი.
**13:00** ახალი ამბები.
**13:30** სერფინგი. ავსტრალია.
**14:30** ახალი ამბები.
**15:00** სკეიტბორდი. საჩვენებელი გამოსვლები. ჰოლანდია.
**15:30** ახალი ამბები.
**16:00** ფრენბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ქალები. 1/4 ფინალი. I მატჩი.
**17:15** ფეხბურთი. იაპონიის ჩემპიონატი. V ტური. ჰიროშიმა-კაშივა.
**18:15** ფეხბურთი. იაპონიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**18:45** ახალი ამბები.
**19:00** ექსტრემალური სპორტი.
**20:00** ახალი ამბები.
**20:30** ექსტრემალური სპორტი.
**21:30** ახალი ამბები.
**21:45** სერფინგი. ავსტრალია.
**22:00** რესტლინგი.
**22:30** ფრენბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ქალები. 1/4 ფინალი. I მატჩი.
**23:30** პროფესიული კრივი. IBF-ის ვერსია. ნახევრადმძიმე წონა. ტ. ადამეკი (პოლონეთი)-ჯ. ბენქსი (აშშ). აშშ.
**01:00** კალათბურთი. საბერძნეთის ჩემპიონატი. რეგულარული ჩემპიონატი. პანათინაიკოსი-კავალა.
**02:00** ახალი ამბები.
**02:45** სერფინგი. ავსტრალია.
**03:00** ახალი ამბები.
**03:45** სერფინგი. ავსტრალია.
**04:00** ახალი ამბები.
**04:45** სერფინგი. ავსტრალია.
**05:00** ახალი ამბები.

ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩები

**ჩელსი–ლივერპული 4:4 (3:1)**

**ჩელსი:** ჩეხი - ივანოვიჩი, ალექსი, რიკარდო კარვალიო, ე. კოული - ესიენი - ბალაკი, ლემპარდი - კალუ (36. ანელკა), მალუდა - დროგბა (90+4. დი სანტო).

**ლივერპული:** რეინა - არბელოა (85. ბაბელი), შკრტელი, კარაგერი, ფაბიო აურელიო - მასკერანო (69. რიერა) - ლუკასი, ჩაბი ალონსო - კუიტი, ფერნანდო ტორესი (80. ნ'გოგი), ბენაიუნი.

**გოლები:** 0:1 ფაბიო აურელიო (19), 0:2 ჩაბი ალონსო (28-პენ), 1:2 დროგბა (51), 2:2 ალექსი (57), 3:2 ლემპარდი (76), 3:3 ლუკასი (81), 3:4 კუიტი (83), 4:4 ლემპარდი (89)

**მსაჯი:** ლუის მედინა კანტალეხო (ესპანეთი)

**მაყურებელი:** 35 000

სტატისტიკა

**მატჩი დაიწყო:** ლივერპული
**პირველი ჯარიმა:** ლივერპული
**პირველი კუთხური:** ჩელსი
**პირველი გაფრთხილება:** ჩელსი

| ჩელსი | | ლივერპული |
|---|---|---|
| 16(6) | დარტყმა | 16(7) |
| 14 | ჯარიმა | 29 |
| 3 | კუთხური | 5 |
| 3 | თამაშგარე | 4 |
| 3 | გაფრთხილება | 2 |
| 42% | ბურთის ფლობა | 58% |

**ბაიერნი–ბარსელონა 1:1 (0:4)**

**ბაიერნი:** ბუტი - ლელი, ლუსიო, დემიკელისი, ლამი - ვან ბომელი, ოტლი - სოსა (78. ჰამით ალთინთოფი), ზე რობერტო (78. ბოროვსკი) - ტონი, რიბერი.

**ბარსელონა:** ვიტორ ვალდესი - დანიელ ალვეში, პუიოლი, პიკე, აბიდალი - ტურე - ჩავი, ს. კეიტა - მესი, ეტო'ო, ინიესტა (78. გლები).

**გოლები:** 1:0 რიბერი (47), 1:1 ს. კეიტა (73)

**მსაჯი:** რობერტო როზეტი (იტალია)

**მაყურებელი:** 66 000

სტატისტიკა

**მატჩი დაიწყო:** ბარსელონა
**პირველი ჯარიმა:** ბაიერნი
**პირველი კუთხური:** ბაიერნი
**პირველი გაფრთხილება:** ბარსელონა

| ბაიერნი | | ბარსელონა |
|---|---|---|
| 9(2) | დარტყმა | 10(1) |
| 19 | ჯარიმა | 9 |
| 5 | კუთხური | 3 |
| 10 | თამაშგარე | 3 |
| 4 | გაფრთხილება | 2 |
| 43% | ბურთის ფლობა | 57% |

მოტორბოლა

**I ეტაპი (კატარის გრან-პრი)**

**125 cc**

1. ანდრეა იანონე (იტალია, „აპრილია“) - 8.37,245; 2. ხულიან სიმონი (ესპანეთი, „აპრილია“) - +0,180; 3. სანდრო კორტეზე (გერმანია, „დერბი“) - +5,211; 4. პოლ ესპარაგო (ესპანეთი, „დერბი“) - +5,769; 5. ბრედლი სმიტი (ბრიტანეთი, „აპრილია“) - +6,650; 6. იონას ფოლგერი (გერმანია, „აპრილია“) - +6,701.

საერთო ჩათვლა: 1. ანდრეა იანონე - 12.5 ქულა; 2. ხულიან სიმონი - 10; 3. სანდრო კორტეზე - 8; 4. პოლ ესპარაგო - 6.5; 5. ბრედლი სმიტი - 5.5; 6. იონას ფოლგერი - 5.

**250 cc**

1. ექტორ ბარბერა (ესპანეთი, „აპრილია“) - 26.50,940; 2. ჟულ კლუზელი (საფრანგეთი, „აპრილია“) - +0,826; 3. მაიკ დი მელიო (საფრანგეთი, „აპრილია) - +6,181; 4. ჰიროში აოიამა (იაპონია, KTM) - +6,609; 5. რაფაელე დე როსა (იტალია, „ჰონდა“) - +6,656; 6. თომას ლუტი (შვეიცარია, „აპრილია“) - +6,672.

საერთო ჩათვლა: 1. ექტორ ბარბერა - 25 ქულა; 2. ჟულ კლუზელი - 20; 3. მაიკ დი მელიო - 16; 4. ჰიროში აოიამა - 13; 5. რაფაელე დე როსა - 11; 6. თომას ლუტი - 10.

**მოტოგრანპრი**

1. კეისი სტოუნერი (ავსტრალია, „დუკატი“) - 42.53,984; 2. ვალენტინო როსი (იტალია, „იამაჰა“) - +7.771; 3. ხორხე ლორენსო (ესპანეთი, „იამაჰა“) - +16.244; 4. კოლინ ედვარდსი (აშშ, „იამაჰა“) - +24.410; 5. ანდრეა დოვიციოზი (იტალია, „ჰონდა“) - +27,263; 6. ალექს დე ანჯელისი (სან მარინო, „ჰონდა“) - +29,88[illegible]

საერთო ჩათვლა: 1. კეისი სტოუნერი - 25 ქულა; 2. ვალენტინო როსი - 20; 3. ხორხე ლორენსო - 16; 4. კოლინ ედვარდსი - 13; 5. ანდრეა დოვიციოზი - 11; 6. ალექს დე ანჯელისი - 10.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1

# წითელი კრიზისი

მსოფლიოს ჩემპიონატის პირველმა ორმა გრანპრიმ ნათლად დაგვანახა, რომ „ფერარი“ ღრმა კრიზისში იმყოფება, თანაც სიტუაცია რბოლიდან რბოლამდე უარესდება და **ლუკა დე მონტეძემოლოს** სასწრაფოდ მოუწევს გადამჭრელი ზომების მიღება.

დაახლოებით გასაგებია, რა ემართება იტალიურ გუნდს: „დრიმ-თიმი“ **მიხაელ შუმახერის, ჟან ტოდტის, როს ბრაუნისა** და **რორი ბირნის** შემადგენლობით დაიშალა - „ოქროს პერიოდი“ მუდმივად ვერ გაგრძელდებოდა. ამის შემდეგ, დე მონტეძემოლომ ყველა მნიშვნელოვან თანამდებობაზე თანამემამულე იტალიელები დანიშნა, თანაც ამ გადაწყვეტილებების მიღებისას, ეროვნება მთავარ როლს თამაშობდა. და ახლა, „ფერარი“ ამ პოლიტიკის შედეგებს იმკის: საკადრო ნაბიჯებმა ეფექტურობის კლება გამოიწვია, ხელმძღვანელობის დღევანდელი შემადგენლობის

მაგრამ ტექნიკური პრობლემები მედლის მხოლოდ ერთი მხარეა. სავარაუდოდ, კრიზისი მხოლოდ დაბალი სიჩქარითა და საიმედოობით რომ იყოს გამოწვეული, „ფერარიში“ გაცილებით უკეთესი მდგომარეობა იქნებოდა, მაგრამ საქმე გაცილებით რთულად არის. გუნდის შეცდომებისა და პილოტთა სტრატეგიული ლაფსუსების გამო, „ფერარი“ ქულების დიდ რაოდენობას კარგავს. ძნელი ასაქმელია, რომ ასეთი დონის გუნდი ამდენ შეცდომას უშვებს. 2009 წელს, „ფერარი“ უკვე იმდენჯერ შეცდა, რომ წინა სეზონებში ეს რაოდენობა მთელს ჩემპიონატს ეყოფოდა.

ავსტრალიის გრანპრი. „ფერარის“ სამი თავისუფალი პრაქტიკა ჰქონდა იმისთვის, რომ რბილი საბურავების მოქმედება შეესწავლა, მაგრამ რბოლის საწყის ეტაპზე მათ „სუპერსოფტი“ დააყენეს, რომელიც ხუთ წრეში მთლიანად იცვითება. პილოტები დროს კარგავენ, ბურავები დაუყენეს. და ეს იმ დროს, როცა ტრასაზე იმ მომენტისთვის ერთი წვეთიც არ იყო დაცემული! ბუნებრივია, ამის შემდეგ კიმის არაფრის იმედი არ უნდა ჰქონოდა, მით უმეტეს, რომ KERS-თან დაკავშირებული პრობლემების გამო, ისედაც არ აპირებდა ტრასაზე გასვლას.

მაშ ასე, ორი ფატალური შეცდომა, რის გამოც დაზარალდა „სკუდერიას“ ორივე პილოტი. და აქ უნდა გავიხსენოთ, რომ იმ დღეს ბოქსებში მუშაობდა მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი, ლეგენდარული **მიხაელ შუმახერი**, რომელიც კონსულტანტის თანამდებობაზე, ხელფასის სახით 5 მილიონ დოლარს იღებს. ისმის ლოგიკური კითხვა: როგორ კონსულტაციას უწევს ის გუნდს, თუ „ფერარი“ ასეთ უაზრო შეცდომებს უშვებს? რატომ არ დაეხმარა ბევრის მნახველი შუმახერი ამ შეცდომების თავიდან აცილებაში?



პროფესიონალიზმი კი წინამორბედების მაღალ დონეს ჯერ ვერ მიუახლოვდა.

ნაწილობრივ, ლუკა დე მონტეძემოლო თავად არის დამნაშავე დღევანდელ სიტუაცაში. 2007 წლის ბოლოს, მან არ მოისურვა გუნდის ხელმძღვანელობა **როს ბრაუნისთვის** გადაებარებინა და გადამდგარი ტოდტის ადგილი თავის კაცს - **სტეფანო დომენიკალის** ჩააბარა. დროთა განმავლობაში, ბრაუნის დაკარგვამ სერიოზული დარტყმა მიაყენა „სკუდერიას“: როს ბრაუნის ახალმა გუნდმა - „ბრაუნ გრანპრიმ“ უკვე ზედიზედ ორი რბოლა მოიგო და ლიდერობს კონსტრუქტორთა თასის ჩათვლას, „ფერარის“ კი ჯერ ქულაც არ აქვს მოპოვებული.

ჟან ტოდტი ინტუიციას არ უჩიოდა. 90-იან წლებში სწორედ მან გამოიყვანა ქაოსიდან „ფერარი“ და ის თანამედროვეობის ყველაზე წარმატებულ გუნდად აქცია. დღეს, „სკუდერიას“ პილოტთა ერთ-ერთი უძლიერესი წყვილი ჰყავს, გუნდის შემადგენლობაშია მსოფლიოს ჩემპიონი **კიმი რაიკონენი**, მაგრამ 2009 წლის სეზონის სტარტზე გუნდის გამოსვლა კატასტროფად უნდა ჩაითვალოს.

ამ ჩემპიონატის დაწყებამდე „სკუდერიას“ პერსონალი 800 (!) თანამშრომელს ითვლიდა, მარტში მათი რაოდენობა 700-მდე შემცირდა. ამასთან, გუნდი ვერ ახერხებს მიაღწიოს იმას, რასაც მისგან ყველანი ელიან: სიჩქარეს და ბოლიდის საიმედოობას. ხუთი წლის წინ ვინ იფიქრებდა, რომ „ფერარის“ მანქანები ასე ხშირად გამოვიდოდნენ მწყობრიდან?! თუნდაც წლევანდელი სეზონი ავიღოთ: ტესტებზე გუნდს მუდმივად ტექნიკური პრობლემების გადაჭრა უწევდა, ხოლო ორი სარბოლო უიქენდის განმავლობაში, ბოლიდი მინიმუმ სამჯერ დაზიანდა.

სხვებზე ადრე შედიან პიტსტოპზე და ბრძოლის საშუალება აღარ რჩებათ. ამის შემდეგ, გუნდში აცხადებენ - გაკვირვებულები ვართ, არ გვეგონა, თუ საბურავი ასე მალე გამოდიოდა მწყობრიდან. საინტერესოა, რატომ ვერ გაიგეს ამის შესახებ ვარჯიშების დროს, როცა საბურავების მოქმედებას სწავლობდნენ?

არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ საბოლოოდ მელბურნში ორივე პილოტი ვადაზე ადრე გამოეთიშა რბოლას: **ფელიპე მასას** ბოლიდი გაუფუჭდა, კიმი რაიკონენის შემთხვევაში კი ბევრი რამ გაურკვეველი დარჩა - კედელთან შეჯახება დიფერენციალთან დაკავშირებულმა პრობლემამ გამოიწვია თუ პირიქით, შეჯახებამ დააზიანა დიფერენციალი.

მალაიზიის გრანპრი. ამჯერად, „ფერარიმ“ ნამდვილი ფეიერვერკი მოაწყო. პრაქტიკის დროს, კიმის ბოლიდზე KERS-ის სისტემა გამოვიდა მწყობრიდან - ასე რომ, ტექნიკურ წუნს ვერც ამჯერად გაექცნენ. შემდეგ უარესი მოხდა: კვალიფიკაციის პირველ სეგმენტში ფელიპე მასამ ერთი წრე გაიარა და ბოქსებში დარჩა, იმ დროს, როცა სხვა პილოტები ტრასაზე საკუთარი დროების გასაუმჯობესებლად დაბრუნდნენ. „იქნებ გაგვიმართლოს“ ტაქტიკა არასწორი გამოდგა და მასა მე-16 ადგილზე დარჩა, კიმიმაც კინაღამ ფიასკო განიცადა - მას მე-14 ადგილი ერგო.

იტალიელებმა „სეპანგზე“ შემოკლებულ რბოლაშიც „გამოიჩინეს“ თავი. რას არ იგონებდნენ „ფერარიში“ ბოლო წელიწად-ნახევრის განმავლობაში, მაგრამ ასეთ რამეს მოფიქრება უნდოდა: როცა მოიღრუბლა და აწვიმებას აპირებდა, კიმი ბოქსებში გამოიძახეს და წვიმის სა-

მიხაელმა ეს ვერ შეძლო. უფრო მეტიც, ბრიტანული და იტალიური პრესის ინფორმაციით, გერმანელმა უშუალო მონაწილეობა მიიღო ორივე გადაწყვეტილების მიღებაში. სხვათა შორის, სიტუაცია კიმისთან მიმართებაში ყოველგვარ ლოგიკას იყო მოკლებული: თავად შუმახერი რბოლის შემდეგ ამბობდა, რომ თავიდან ისინი მცირე წვიმას ელოდნენ და მხოლოდ შემდეგ - თავსხმას. და ამ დროს, საშუალედო საბურავების ნაცვლად, წვიმის რეზინები დააყენეს.

სამწუხაროდ, დღევანდელი „სკუდერიას“ გარშემო კითხვები უფრო მეტია, ვიდრე პასუხები. სიტუაცია ნელ-ნელა იმ ქაოსს ემსგავსება, რომელიც ამ გუნდში 90-იანი წლების დასაწყისში იყო.

მართალია, ჯერ საქმე აქამდე არ მისულა, მაგრამ გარკვეული ზომების მიღება აუცილებელია. დომენიკალი აშკარად ვერ აკონტროლებს გუნდს ისე, როგორც ამას თავის დროზე ტოდტი აკეთებდა. საკადრო ცვლილებები გარდაუვალი იქნება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ხელმძღვანელობას დომენიკალის ჩამოაშორებენ. სავარაუდოდ, ის თავის ადგილს შეინარჩუნებს, მაგრამ სხვების პერსპექტივები ბუნდოვნად მოჩანს, მათ შორის, „სუპერკონსულტანტისაც“...

დღეს, ერთ დროს დიადი გუნდი საშუალო დონის საჯინიბოდ ჩამოყალიბდა, სადაც ბევრმა არ იცის, რა უნდა აკეთოს (ან იცის, მაგრამ არ აკეთებს). გუნდს ცვლილებები სჭირდება, ოღონდ არა რევოლუციური, არამედ ეტაპობრივი, რომელიც „ფერარის“ სწორი მიმართულებით წაიყვანს. ლუკა დე მონტეძემოლოს ბევრი საფიქრალი დაუგროვდა...

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ჩოგბურთი



# უცნაური ფსონები

ბრიტანულმა საბუკმეიკერო კანტორებმა ფსონების მიღება დაიწყეს შვეიცარიელი ჩოგბურთელის **როჯერ ფედერერისა** და მისი მეუღლის **მირკა ვავრინეცის** პირველი შვილის დაბადების ზუსტ თარიღზე. თუ ბავშვის დაბადების თვესა და რიცხვს „გაარტყამთ“, საკმაოდ კარგ თანხას გამოიმუშავებთ.

ბუკმეიკერთა აზრით, ფედერერის პირველი შვილი არ უნდა დაიბადოს უიმბლდონის მამაკაცთა ფინალური მატჩის დღეს. ამ თარიღზე ფსონი 100.0-ს შეადგენს. ასევე შესაძლებელია მოგება იმაზე, თუ როჯერსა და მირკას ტყუპები შეეძინებათ - ამ შემთხვევაში თქვენს მიერ დადებული თანხა 50-ზე გამრავლდება.

შეგახსენებთ, რომ ადრე ბუკმეიკერები ფსონებს იღებდნენ ფედერერების ბავშვის სქესზე, სახელსა და თვალების ფერზეც კი.

# ფლამენკო ელენასგან

მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა **ელენა იანკოვიჩმა** მარბელიაში მოგებული ტურნირის შემდეგ, ესპანური პუბლიკა იქაური ტრადიციული ცეკვით - ფლამენკოთი გაახარა. ამისთვის სერბ ჩოგბურთელს შესაბამისი კაბის ჩაცმა დასჭირდა.

როგორც იანკოვიჩმა განაცხადა, ის ოდნავ დისკომფორტს გრძნობდა იმის გამო, რომ კაბა სპორტული ფორმის ზემოდან ჰქონდა გადაცმული და ფეხზეც სპორტული ფეხსაცმელი ეცვა. ასე რომ, ჩოგბურთელი ცოტათი სასაცილო სანახავიც კი იყო.

შეგახსენებთ, ელენამ თითქმის ხუთთვიანი შესვენების შემდეგ მოიგო WTA-ის ტურნირი. მან ფინალში ადგილობრივი ჩოგბურთელი **კარლა სუარეს ნავარო** დაამარცხა.



